http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი

უნივერსიტეტი

10 მარტი, ორშაბათი, 2008 წ. №3 (2070) ფასი 30 თეთრი

„ნეტავ იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს!“

ქალი მთელი თავისი ბრწყინვალებით გაზაფხულთან რომ ასოცირდება — ეს უდავოა. ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროს, რომაელი ქალები მარტის პირველ დღეს ქალთა დღესასწაულს ზეიმობდნენ, საგანგებოდ ირთვებოდნენ, იკაზმებოდნენ და ერთმანეთს საჩუქრებსაც უძღვნიდნენ. დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რომ სწორედ ამ ფაქტმა დაუდო ქალთა სოლიდარობის დღის – 8 მარტის აღნიშვნის ტრადიციას საფუძველი, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა დააწესეს, მაგრამ ეს დღესასწაული ყველა თაობის ქალისთვის სასიამოვნო რომ გახლავთ, ფაქტია. ეს არის დღე, როცა მთელი კაცობრიობა თაყვანს სცემს ქალის ფენომენს.

თამარ მარუაშვილი

ქალი შობს, ქალი ზრდის, ქალი იცავს, ქალი ამაყობს თავისი შვილებით. როცა მდიდარმა რომაელმა მანდილოსნებმა თვალისმომჭრელი მორთულობით ტრაბახი დაიწყეს, კორნელია გრაკხს სთხოვეს, მათთვის თავისი სამკაულები ეჩვენებინა. დედამ საკუთარი შვილები საზოგადოებას წარუდგინა და დასძინა: „აი ჩემი სამკაულები“. სწორედ ასეთ ქალს, დედას გულისხმობდა აკაკი წერეთელი, როდესაც წერდა: „ქალი ბურჯი და ქვაკუთხედია როგორც კერძოდ ოჯახის, ისე საზოგადოებისაც, მთელი მისი ქვეყნის, მისი სამშობლოსი... ნეტავ იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს“.

საქართველო ყოველთვის იყო განებივრებული დიდი ქალბატონების მამულიშვილობითა და მოღვაწეობით, მათ წინაშე ქედს იხრიდნენ „ძლიერი ამა ქვეყნისანი“„, ქართველ დედებს სიტყვას ვერ უბრუნებდნენ სახელმწიფოს მმართველნი და გამგებელნი. აქ არის რაღაც ზებუნებრივი, შეუცნობელი ძალა ქართველი ქალის გონიერებისა და სიძლიერისა. „საქართველო მზეთუნახავთა ორანჟერეა გახლავთ“, — წერდა გერმანელი ფილოსოფოსი ემანუელ კანტი.

ქართველი ქალი არა მარტო სილამაზით, არამედ გონებრივი შესაძლებლობებითაც არის გამორჩეული. ამას ადასტურებს საქართველოში მეცნიერი ქალბატონების სიმრავლეც.

დავინტერესდით და აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში 497 ქალია. ფაკულტეტების მიხედვით მეცნიერ ქალთა რაოდენობა, მართალია, არ გაგვირკვევია, მაგრამ ის კი ნადვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათგან ვისაც გავესაუბრეთ, ყველა ამტკიცებდა ერთს — მეცნიერება ქალისგან ისეთივე დიდ მსხვერპლს მოითხოვს, როგორც ოჯახი. ვერც ერთი ვერ იტანს ღალატს.

მე-4 გვერდზე

უნივერსიტეტში საჯარო ლექციების ციკლი იწყება

ნინო კაკულია

რატომ ფსიქოლოგია? რატომ ფილოსოფია? რატომ დრამატურგია? და ა.შ. — გვიფიქრია თუ არა ჩვენს არჩევანზე, ჩვენს გადაწყვეტილებაზე — რა პროფესია ავირჩიეთ? რატომ და რისთვის? რატომ უნდა ვთქვათ სათქმელი ყოველთვის არგუმენტირებულად და რატომ უნდა ვძლიოთ დროის მოტანილ უსუსურ შიშს — თავი შევიკავოთ კრიტიკული აზრის გამოთქმისგან. დროა საზოგადოება გაიხსნას დიალოგისთვის, დისკუსიისთვის საჭირბოროტო საკითხების სამსჯავროზე გამოსატანად. დროა, უნივერსიტეტმა ის დაიბრუნოს, რაც დაივიწყა, ალბათ დროებით... რადგან არ შეიძლება ჩაკვდეს ის წარსული, რაც უნივერსიტეტის წიაღში დიდი ადამიანების ღირებული პოლემიკის მნიშვნელობას შეგვახსენებს ხოლმე თანამედროვე პრობლემების კვალდაკვალ.

თსუ-ის პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივით უნივერსიტეტში იწყება საჯარო ლექციების ციკლი, რომელიც ფართო აუდიტორიაზეა გათვლილი. ამ თემაზე თავად იდეის ავტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ბელქანია გვესაუბრა.

— რა ღონისძიებების მოწყობას აპირებთ? რა იქნება მისი ძირითადი არსი და დანიშნულება?

— ჩვენ ვიწყებთ საჯარო ლექციების ციკლს უნივერსიტეტში. ადრე ასეთი ღონისძიებები ყველა უნივერსიტეტში და, მათ შორის, ჩვენთანაც იმართებოდა. ჩემი სტუდენტობის დროსაც, მახსოვს, რამდენად საინტერესო ლექციები ტარდებოდა. ეს ტრადიცია უნდა აღდგეს. საჯარო ლექციებს შეიძლება დაესწროს ყველა – გარედან მოსულიც, უნივერსიტეტის თანამშრომელიც და, რაღა თქმა უნდა, სტუდენტიც.

მე-3 გვერდზე

მაგისტრატურაში 140 კონკურსანტი ჩაირიცხა
მე-2 გვერდზე

წელს ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან დაფინანსდა 139 პროექტი
მე-5 გვერდზე

მეცნიერები საგრანტო კონკურსზე უფრო მეტ ობიექტურობას მოითხოვენ
მე-6 გვერდზე

„თუ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა სამუშაო ვერ მოძებნა, საფრთხის ქვეშ დადგება შესაბამისი დარგების განვითარება“
მე-8 გვერდზე

თსუ-ში ნორჩ ფიზიკოსთა და ქიმიკოსთა სკოლები გაიხსნა
მე-8-9 გვ.

უმცირესობასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს უმრავლესობაზე
მე-12 გვერდზე

„სტუდენტური მოძრაობა — 1978“ დაიწყო...
მე-14 გვერდზე

მაგისტრატურაში 140 კონკურსანტი ჩაირიცხა

ინტერვიუ სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელთან თინათინ მარგალიტაძესთან

ნინო კაკულია

— უნივერსიტეტისთვის მეტად აქტუალურია სტუდენტების სამაგისტრო პროგრამებით დაინტერესება, რათა ბაკალავრიატდამთავრებულებმა სწავლის გაგრძელება სხვა უმაღლეს სასწავლებლებში არ მოისურვონ. 2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სამაგისტრო პროგრამებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, საინტერესოა, ამ ეტაპზე, რამდენია მაგისტრატურაში სწავლის მსურველთა რაოდენობა? პერსპექტივაში რა ღონისძიების გატარება მოგიწევთ იმისათვის, რომ ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ სტუდენტებმა მაგისტრატურაში სწავლა სწორედ ჩვენს უნივერსიტეტში გადაწყვიტონ?

— დღეს უნივერსიტეტში 1700 მაგისტრანტი სწავლობს, რაც ძალიან ცოტაა. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ბაკალავრიატიდან გაცილებით მეტმა სტუდენტმა გააგრძელოს სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში. გაზაფხულის სემესტრში ბევრ კონკურსანტს არ ველოდებოდით მაგისტრატურაში, რადგან სტუდენტთა უმრავლესობა სწავლას ზაფხულში ამთავრებს, ამიტომ, ბუნებრივია, რომ მაგისტრანტთა უფრო დიდი ნაკადი შემოდგომის სემესტრში მოვა. ამ მიზეზთა გამო იურიდიულმა ფაკულტეტმა ამ სემესტრში ვერ გამოაცხადა მაგისტრატურაში მიღება. მაგისტრატურაში მისაღებ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 266-მა კონკურსანტმა. გამოცდები ჩატარდა ორ ეტაპად: გამოცდა უცხო ენასა და გამოცდა სპეციალობაში. გამონაკლისი იყო სამაგისტრო პროგრამები — ,,ინგლისური ფილოლოგია" და „ევროპამცოდნეობა", რომლებზეც კონკურსანტები საერთო სავალდებულო ეტაპების გარდა გასაუბრებასაც გადიოდნენ.

ტრადიციული პოპულარობით სარგებლობდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამები, რომლებზეც ჩარიცხვის მსურველთა განაცხადები ყველაზე მეტი რაოდენობით შემოვიდა.

კერძოდ: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოტანილი იყო — 111 განაცხადი, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე — 72, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 41, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 37, ევროპული კვლევების ინსტიტუტში ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე ,,ევროპამცოდნეობა" — 5 განაცხადი.

მაგისტრატურაში მისაღები ორივე გამოცდა ფასდებოდა მაქსიმუმ 100 ქულით, გამსვლელი იყო 51 ქულა.

ჩატარებული გამოცდების შედეგად ყველა ეტაპი გადალახა და დადებითი შეფასება დაიმსახურა 140-მა კონკურსანტმა.

ასე რომ, 2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მაგისტრატურაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩაირიცხა 55 კონკურსანტი, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე — 47, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 18, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 17, ევროპული კვლევების ინსტიტუტში — 3 კონკურსანტი.

კონკურსის შედეგები გვიჩვენებს, რომ მაგისტრანტები ირჩევენ იმ პროგრამებს, რომლებიც პერსპექტიულია დასაქმების თვალსაზრისით ან პროგრამის ხელმძღვანელის მიერ საინტერესოდ არის გააზრებული. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ გვაქვს სამაგისტრო პროგრამები, რომლებიც ამ პირობებს აკმაყოფილებენ, მაგრამ მათ ნაკლებად იცნობენ სტუდენტები. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მათი პოპულარიზაცია.

სულ მალე უნივერსიტეტში ამოქმედდება შიდასაუნივერსიტეტო პროექტი, რომელიც სასწავლო პროგრამების მოდიფიკაციას ითვალისწინებს. ამ მიზნით შექმნილი დარგობრივი კომისიები გადახედავენ არსებულ სამაგისტრო პროგრამებსაც. ჩვენი მთავარი მიზანია, სამაგისტრო პროგრამები სტუდენტებისთვის მიმზიდველი გავხადოთ. იგეგმება ღია კარის დღეები, რათა სტუდენტები უკეთ გაეცნონ უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელებისგან — რა ტიპის სამაგისტრო პროგრამები არსებობს უნივერსიტეტში, ამ პროგრამის დასრულების შემდეგ რა პერსპექტივები ექნებათ დასაქმების თვალსაზრისით და ა.შ.

— როდესაც უნივერსიტეტში მაგისტრანტების მოზიდვის პრობლემაზე ვსაუბრობთ, მეტად აქტუალურია მათი დაფინანსების საკითხი. ჩვენი სამაგისტრო პროგრამებით სტუდენტთა დაინტერესება სახელმწიფოს მიერ დაფინანსების გაზრდით ხომ არ არის შესაძლებელი? ამჟამად უმეტესობა სწავლის გაგრძელებას უფრო კომფორტულ გარემოში ამჯობინებს — ამ რეალობას, ალბათ, თვალი უნდა გავუსწოროთ და მაგისტრანტების მოზიდვისთვის რაღაც გზები უნდა მოვძებნოთ...

— მირჩევნია, საერთოდ არ იყოს გადასახადი არც მაგისტრატურაში და არც დოქტორანტურაში. ყველა ფაკულტეტზე არსებობს წამახალისებელი სტიპენდიები იმ მაგისტრანტებისთვის, რომლებიც მაღალ ქულებს იღებენ, ზოგი ნაწილობრივ დაფინანსდა, ანუ უნივერსიტეტს რისი შესაძლებლობაც აქვს, ნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ვნერგავთ ინტერდისციპლინარულ სამაგისტრო პროგრამებს, რომლებიც მეტად პერსპექტიულია და სხვა.

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მაგისტრატურაში წინა მიღებაზე ზოგიერთ მიმართულებაზე ჯგუფები ვერ შედგა იმის გამო, რომ 5 კონკურსანტი ვერ შეგროვდა. დღეს რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით?

— ამ სემესტრში ჩვენ დავუშვით, რომ ჯუფები შედგა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სხვადასხვა მიმართულებაზე 5-ზე ნაკლები კონკურსანტი მოგროვდა. ამ მხრივ, ბევრ მიმართულებას და დარგს პრობლემა არა აქვს, მაგრამ რიგ ფაკულტეტზე ამ გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა მართლაც არის. უნდა შევინარჩუნოთ ის უნიკალური დარგები, რომლებიც ჩვენთან ტრადიციულად არსებობდა.

800–ის ნაცვლად მხოლოდ 266 სტუდენტი მივიღეთ

2007-2008 წლის გაზაფხულის სემესტრის გარე და შიდა მობილობისთვის უნივერსიტეტმა სტუდენტთა მისაღებად 800 ადგილი გამოაცხადა.

სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის თინათინ მარგალიტაძის განმარტებით, 800 ადგილი, მაშინ, როცა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს ჯერ კიდევ არ გაუვლიათ პროგრამული აკრედიტაცია, ძალიან ბევრია და გამოცდების ჩატარების აუცილებლობას წარმოშობს. მისი თქმით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოსვლის ინტერესი ძალიან დიდია. განცხადება შემოიტანა 842-მა სტუდენტმა. გამოცდა ჩატარდა სპეციალობაში ყველა მიმართულებაზე. ,,ეს იყო ურთულესი პროცესი. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს, რომელმაც ჩვენთან დამკვირვებლები მოავლინა. მთელი ეს პროცესი მათი მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ", — აღნიშნა სასწავლო დეპარტამენტის უფროსმა. მისი თქმით, გამოცდების შედეგად თსუ-ში გადმოსვლის, ან ერთი ფაკულტეტიდან მეორე ფაკულტეტზე გადასვლის უფლება მიიღო სულ 266 სტუდენტმა. გამოცდა ჩატარდა გამჭვირვალედ და ობიექტურად, რაც აკრედიტაციის ცენტრიდან მოვლენილმა დამკვირვებლების ჯგუფმაც დაადასტურა. „800 ადგილი ვერ ავითვისეთ, რადგან ჩვენთვის მთავარია ხარისხი. სტუდენტებს, რომელთაც ამჯერად ვერ ჩააბარეს გამოცდა, შესაძლებლობა აქვთ, უკეთესად მოემზადონ და შემდგომი მობილობის დროს კვლავ სცადონ ბედი", — განაცხადა თინათინ მარგალიტაძემ.

როგორც გაირკვა 266 სტუდენტიდან 88 არის ჩვენს უნივერსიტეტში ერთი ფაკულტეტიდან მეორეზე გადასვლის მსურველი, ხოლო 178 სტუდენტი სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოვიდა. შემოსული განცხადებების თანახმად, სტუდენტები ყველაზე მეტად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტსა და იურიდიულ ფაკულტეტს ირჩევენ. სტატისტიკის მიხედვით კი 266 სტუდენტიდან 76 მოხვდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, 74 სტუდენტი — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, 62 — იურიდიულ ფაკულტეტზე, 38 — ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, 11 — მედიცინის ფაკულტეტზე, და ყველაზე ცოტა რაოდენობა, კერძოდ კი 5 სტუდენტი მოხვდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

შემდეგი მობილობისათვის ვაკანსიები ზაფხულში გამოცხადდება.

ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის სავალდებულო რეგისტრაციის პროცესი წარმატებულად ჩატარდა

ხათუნა ხატიაშვილი

2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლის უფლების მოსაპოვებლად ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის სავალდებულო რეგისტრაციის პროცესი (ადმინისტრაციული და აკადემიური) წარმატებულად ჩატარდა.

სტუდენტთა მომსახურების განყოფილების ხელმძღვანელის მანანა ლობჟანიძის განმარტებით, გასული სემესტრებისგან განსხვავებით, რეგისტრაციისთვის დადგენილი ვადების ზუსტად დაცვა და პროცესის განსაკუთრებული სირთულეების გარეშე ჩატარება საინფორმაციო უზრუნველყოფასთან ერთად ადმინისტრაციისა და ფაკულტეტების კოორდინირებულმა მუშაობამ განაპირობა.

მისი თქმით, რეგისტრაციის კონკრეტული ვადების დაცვის აუცილებლობის შესახებ საინფორმაციო საშუალებებით რეკლამირებამ სტუდენტების აქტივობაზე იმდენად დადებითად იმოქმედა, რომ ბაკალავრიატის 10 ათასი სტუდენტიდან ნახევარზე მეტმა რეგისტრაციის გავლა მისი გამოცხადებიდან პირველსავე კვირაში მოასწრო.

ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ, აკადემიური (საგნობრივი) რეგისტრაციის ვადები 18 თებერვლიდან 15 მარტით არის განსაზღვრული. სტუდენტები, რომლებიც ვერ გაივლიან აკადემიურ რეგისტრაციას დადგენილ ვადებში, დაკარგავენ მეორე სემესტრში ლექციებზე დასწრების უფლებას.

თსუ-ის ადმინისტრაციული დადგენილების თანახმად, სტუდენტებს ბანკში სწავლის საფასურის გადახდიდან სამი დღის შემდეგ აკადემიური რეგისტრაციის ინტერნეტსისტემაში დაშვების უფლება ავტომატურად ეძლევათ. სტუდენტს, რომელიც დაშვებულია სისტემაში, ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან შედის საიტზე: http://sms.tsu.ge საკუთარი სახელის, გვარისა (ქართულად) და პაროლის მითითებით.

„სასწავლო ბარათში" შეტანილია სტუდენტის მიერ ჩაბარებული საგნების სია მიღებული შეფასებების მითითებით და დაგროვილი კრედიტების (როგორც საგნობრივი, ასევე ჯამური) რაოდენობით. განთავსებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რაიმე პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, საკითხი ირკვევა ფაკულტეტის სამდივნოში არსებული საგამოცდო უწყისების საფუძველზე.

„ინდივიდუალური ცხრილის ფორმირებაში" სტუდენტი გაეცნობა იმ საგნების ჩამონათვალს, რომლის შესწავლის უფლებაც მან ამ ეტაპზე დაგროვებული კრედიტების საშუალებით მოიპოვა.

ჩამონათვალიდან სტუდენტი გააკეთებს მიმდინარე სემესტრში შესასწავლი საგნების არჩევანს და კონსულტაციას გაივლის ტუტორთან.

„სასწავლო პროგრამა" სტუდენტს საშუალებას აძლევს, დაათვალიეროს მის ფაკულტეტზე არსებული სპეციალობების ნუსხა და თითოეულ მათგანზე არსებული დისციპლინების ჩამონათვალი (როგორც ძირითადი, ისე არჩევითი), რაც საშუალებას აძლევს დააფიქსიროს თავისი ძირითადი (major) და დამატებითი (minor) სპეციალობები.

მოკლედ

ღია კარის დღე აბიტურიენტებისთვის

1-2 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აბიტურიენტთათვის ღია კარის დღე გაიმართა. უნივერსიტეტის ექვსივე ფაკულტეტმა აბიტურიენტებს გააცნო ძირითადი მიმართულებები და სპეციალობები, რომელთაც სტუდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიძლება დაეუფლოს.

აბიტურიენტები დაინტერესდნენ, რა მიზნები აქვთ ფაკულტეტებს? რა სასწავლო პირობებს უქმნის უნივერსიტეტი სტუდენტობას? წახალისების რა ფორმებია წარჩინებული სტუდენტებისთვის? დაინტერესდნენ, ასევე, მობილობის სპეციფიკით, ძირითადი და მეორე სპეციალობის არჩევის შესაძლებლობებით და გაცვლითი პროგრამებით მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან.

ფაკულტეტების დეკანის მოვალეობის შემსრულებლებმა და მიმართულებების ხელმძღვანელებმა აბიტურიენტთა ყველა შეკითხვას უპასუხეს.

უნივერსიტეტში საჯარო ლექციების ციკლი იწყება

პირველი გვერდიდან

მაგრამ, ამ ეტაპზე, იდეის ორგანიზატორებისთვის მნიშვნელოვანია მსმენელის არა ძალით, არამედ საკუთარი ნებითა და სურვილით მოყვანა. მიმაჩნია, რომ აქ არ შეიძლება მხოლოდ ფორმალურად შეავსო აუდიტორია. ამისთვის თემაც და მომხსენებელიც საინტერესო უნდა იყოს. ჩვენ გვახსოვს საბჭოთა პერიოდის დროინდელი ტრადიცია, როდესაც აუდიტორიებს ძალით ავსებდნენ. წინა დღეს რაიონებიდან ჩამოიყვანდნენ ხოლმე ხალხს, 3 000 კაციან ფორუმს მოაწყობდნენ და 2 საათში ისევ უკან გაუშვებდნენ. ასეთი ღონისძიებებისგან კი მსმენელს ღირებული არაფერი რჩებოდა.მსგავსი ფორმალობისგან უნდა გავთავისუფლდეთ და ღონისძიებები ისე უნდა დავგეგმოთ, რომ ყოველი ლექციის შემდეგ აუდიტორია კმაყოფილი დარჩეს – რომ მოუსმინა პროფესიონალს და თავისი საქმის კარგ მცოდნეს. ამით ჩვენ უნივერსიტეტის იდეის ერთ ასპექტს კვლავ გავაცოცხლებთ.

მოგეხსენებათ, გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტი სასწავლო და კვლევითი დაწესებულებაა, ამასთანავე იგი ერთგვარი ფორუმიცაა. უნივერსიტეტი უნდა იქცეს იმ დაწესებულებად, სადაც აზრთა ჭიდილია. ეს ფუნქცია მას არ უნდა წავართვათ მით უფრო, თუკი ვსაუბრობთ უნივერსიტეტის რეალურ ავტონომიურობაზე. თუკი მის წიაღში აზროვნება იქნება ავტონომიური, მერწმუნეთ, რომ ნამდვილი ავტონომიაც უფრო ადვილი მისაღწევი იქნება. სუვერენული აზროვნება და თავისუფალი დისკუსია მოუტანს სწორედ უნივერსიტეტს იმ პატივისცემას, რასაც ისტორიულად ის იმსახურებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ან საჩუქრად მიიღებს ავტონომიას ან საერთოდ ვერ მიიღებს — საზოგადოებისთვის ორივეს ერთი მნიშვნელობა ექნება. ოპოზიციური აზრი მხოლოდ პოლიტიკაში არ არსებობს. ოპონირება მეცნიერებაშიც აუცილებელია და ჩვენ გაბატონებული აზრის საწინააღმდეგო აზროვნების არ უნდა გვეშინოდეს, თუ გვინდა განვითარება, დამოუკიდებლობა და უნივერსიტეტის იდეის რეალიზება.

— ხელმძღვანელობის მხრიდან თუ არის მზაობა იმისა, რომ უნივერსიტეტი სწორედ ასეთი პოლემიკის არენად იქცეს. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, ხომ არ არის მოსალოდნელი ოპოზიციური აზრების ხმამაღლა გამოთქმის შემთხვევაში ხელმძღვანელობა დიდი წნეხის ქვეშ აღმოჩნდეს და, თავისთავად, ჩაიშალოს ის იდეა, რისი განხორციელებაც თქვენ გნებავთ? ჩვენ იმ მენტალიტეტის საზოგადოება ჯერ კიდევ არ ვართ, რომ ოპოზიციურ აზრში კონსტრუქციულობა ვეძებოთ და ის პოზიტიურად გამოვიყენოთ...

— მზაობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან ნამდვილად არის, მხოლოდ ერთი რამ უნდა დავაზუსტოთ — უნივერსიტეტი არ უნდა იყოს პოლიტიკური ჭიდილის ასპარეზი. უნივერსიტეტი აზრთა ჭიდილის ასპარეზად უნდა ვაქციოთ — ეს ორი ამოცანა ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ. ყველა აზრი კარგად უნდა მოისმინო, კრიტიკაც უნდა გაიაზრო და მაშინ დაიბადება უფრო მომწიფებული აზრი, სწორი სტრატეგია, პოლიტიკაც უფრო გონივრული გახდება და მეცნიერებაც თავის მისიას უკეთ შეასრულებს. სტუდენტს, რომელსაც 4 წლის განმავლობაში საინტერესო საჯარო ლექცია არ მოუსმენია, რის შემდეგაც ის ბიბლიოთეკაში არ მისულა ან ინტერნეტის საშუალებით დამატებითი ინფორმაცია არ მოუძებნია, ასეთ სტუდენტს რაღაც მნიშვნელოვანი აკლდება. მას მხოლოდ ინგლისური ენის შესწავლას არ უნდა ვთხოვდეთ. ცოდნის პრობლემა დღეს მხოლოდ საქართველოში არ დგას. ამას ჩივის მთელი ევროპა. ინტერნეტის ეპოქამ წიგნებისადმი ინტერესი საკმაოდ შეამცირა. ეს მხოლოდ ახალგაზრდის ბრალი არ არის. ეპოქაა ასეთი. ამიტომ რაღაც უნდა ვიღონოთ.

საჯარო ლექციები არ შეეხება მხოლოდ მეცნიერებას ვიწრო გაგებით. ჩვენი განზრახვაა, მოვიწვიოთ ხელოვნების და კულტურის სხვადასხვა დარგის ცნობილი წარმომადგენლები. მათ მიეცემათ საშუალება — წაიკითხონ ლექციები საერთო რუბრიკის ქვეშ: რატომ ფსიქოლოგია? რატომ ფილოსოფია? რატომ ხელოვნება? რატომ რელიგია? ეს პრეტენზიული თემებია. ჩვენ არ გვექნება მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის ლექციები – რა არის რელიგია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია და ა.შ. მე რატომ ვსწავლობ ფსიქოლოგიას და რატომ მიმაჩნია ეს სფერო მნიშვნელოვნად, რა საფუძველი აქვს და რა ადგილი უჭირავს მას თანამედროვეობაში — ეს მეც უნდა ვიცოდე და სხვასაც უნდა დავანახო. ვისაც არ შეუძლია თავისი სფეროთი სხვისი დაინტერესება, იგი ამაოდ ირჯება მეცნიერების და პედაგოგიკის ასპარეზზე.

რატომ უნდა იწერებოდეს მასმედიის საშუალებებში სულ უარყოფითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჰყიდიან კორპუსებს, აუქმებენ პანთეონს და ა.შ. უნდა იწერებოდეს, რომ აი, უნივერსიტეტში რა მნიშვნელოვანი რამ გავიგე: უნივერსიტეტში საინტერესო კველევები ტარდება, საჯარო ლექციები იმართება, კომპეტენტური ადამიანები ძალიან საინტერესო თემებზე საუბრობენ... უნივერსიტეტს აქვს უზარმაზარი პოტენციალი და ის ამ მხრივაც უნდა უნდა გამოვიყენოთ. ამ საჯარო ლექციებზე ჩვენ უცხოელ მეცნიერ-მკვლევარებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც მოვიწვევთ, რომლებიც საინტერესო ლექციებსა და დისკუსიებს გამართავენ.

მიუხედავად იმისა, რომ რუბრიკას მათ ჩვენ ვთავაზობთ, მომხსენებელი თავად ირჩევს კონკრეტულ თემას, რაზეც მას სურს საუბარი. მაგალითად, ლაშა ბუღაძემ, რომელიც ჩვენ პირველი ლექციის წასაკითხად მოვიწვიეთ, თავად შეარჩია თემა — რატომ თანამედროვე ლიტერატურა? ეს მისი უფლება და კომპეტენციაა, თუ რაზე სურს მას აქცენტის გაკეთება. ჩვენ არ გვინდა, რომ ეს იყოს მხოლოდ იმპროვიზებული საუბარი. სასურველია მოკლე ანოტაციის სახით წინასწარ გავეცნოთ ხოლმე ლექციების შინაარსს, რომელიც ღრმა, საინტერესო და ამავე დროს, შეძლებისდაგვარად, ყველასათვის მისაწვდომი იქნება.

— გაქვთ თუ არა მოლოდინი იმისა, რომ თქვენი ინიციატივით მოწყობილ საჯარო ლექციებს არა მხოლოდ აუდიტორია, არამედ მასმედიაც აიტაცებს?

— ამის მოლოდინი არ მაქვს და არც არის საჭირო. მთავარია, კონკრეტული მსმენელი დაინტერესო და დროებით მაინც მოწყვიტო ყოფით სინამდვილეს და მაღალი იდეების სფეროში შეიყვანო. ეს ყველას სჭირდება. თქვენ მკითხველს და მსმენელს როგორ სთავაზობთ შემეცნებითი ხასიათის ინფორმაციას — ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. თავად თუ არ გაინტერესებთ ის საქმე, რასაც აკეთებთ, სხვასაც ვერ მოუყვებით საინტერესოდ. სტუდენტს ზედაპირულად, მშრალად როცა ვასწავლით, მას ეს არ მოსწონს, მაგრამ როცა ცოცხალ ცოდნას ვაწვდით, მაშინ ისიც ინტერესდება. არადა, ყველაზე მშრალი მეცნიერების ცოცხლად მოყოლაც შეიძლება. პედაგოგის თუ მომხსენებლის მოვალეობაა, გააცოცხლოს თემა, რომელიც წიგნში დაბეჭდილი სახით მკვდარია. თავად წიგნი და მით უმეტეს კომპიუტერი ცოდნას ვერ გააცოცხლებს. ეს ადამიანის ამოცანაა.

ჩვენი პირდაპირი მიზანი არ უნდა იყოს პოპულარული ინფორმაციით მასმედიის დაინტერესება. მეცნიერებას და, ზოგადად, კულტურას ჭეშმარიტებასთან და მარადიულ იდეებთან აქვს საქმე (კარლ იასპერსი). უნივერსიტეტის ერთ-ერთი ამოცანაც მათი დამკვიდრებაა. პლატონი დღესაც ისეთივე დიდი და აქტუალურია, როგორც 2500 წლის წინ, ხოლო ყოველდღიურ ინფორმაციას სხვა დანიშნულება აქვს და ის ერთი კვირის შემდეგ აღარავის აინტერესებს. ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. სწორედ ამ პათოსით გვინდა დავიწყოთ ლექციების ეს ციკლი. ჩვენს ლექციებს სისტემატური ხასიათი ექნება და იგი თვეში ორჯერ გაიმართება. უნივერსიტეტის სახელით მომხსენებელი ლექციის ჩანაწერს საჩუქრად მიიღებს. მთავარია, მსმენელი დარჩეს კმაყოფილი და შინაგანად ოდნავ მაინც გამდიდრებული.

„რატომ თანამედროვე ლიტერატურა?“

შეხვედრა მწერალ ლაშა ბუღაძესთან

საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის საჯარო სალექციო კურსის ციკლი განახლდა, რომელიც უკვე არსებული ტრადიციების გაგრძელებასთან ერთად, თანამედროვეობის შესახებ სიღრმისეული დიალოგის გზით, სტუდენტ-ახალგაზრდობისა და დაინტერესებული პირებისთვის მაღალი გემოვნების დამკვიდრებას ისახავს მიზნად.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინიციატივით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის დარბაზი ინტელექტუალური დისკუსიისთვის (თვის განმავლობაში) ორჯერ გაიღება, სადაც კულტურის და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცნობილი წარმომადგენლები დაინტერესებული აუდიტორიის წინაშე საკუთარი შეხედულებებითა და მოსაზრებებით გამოვლენ და ყველა აქტუალურ საკითხზე ახალგაზრდებთან ერთად იმსჯელებენ.

ხათუნა ხატიაშვილი

საჯარო ლექციისთვის ტრიბუნა პირველად მწერალ ლაშა ბუღაძეს დაეთმო, რომელიც 6 მარტს სტუდენტებს ესაუბრა თემაზე: „რატომ თანამედროვე ლიტერატურა?“

ლექციისთვის შერჩეული თემა, ბუნებრივია, ფართოა, თუნდაც იმიტომ, რომ თანამედროვე ლიტერატურა არ მოიცავს მხოლოდ იმ პერიოდს, რომელიც დღეს არის აქტუალური. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა მწერალმა ექსკურსად ის წინაპირობები გამოიყენა, რის საფუძველზეც თანამედროვე ლიტერატურის ათვლის წერტილად გასული საუკუნის 90-იანი წლებს მიიჩნევენ. „თანამედროვეობა, რა თქმა უნდა, სოციულურ-მხატვრულმა პროცესებმა მოგვიტანა და, გარკვეულწილად, შექმნა ის ყოფა, რომელშიც არსებობს დღევანდელი ლიტერატურული მსოფლმხედველობა. არსებობს მოსაზრება, რომ 2000-2001 წლებიდან თანამედროვეობის გარკვეულ სეგმენტს პოსტკომუნისტური ეპოქა შეადგენს. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ პოსტკომუნისტური ნიშა აქტუალური იყო 80-იანი წლებიდან და დღესაც ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოები შეიძლება ამ ჭრილში დახასიათდეს", — ითქვა ლექციის შესავალ ნაწილში.

თანამედროვე ლიტერატურაში განსხვავების მახასიათებელია თავად ის ჟანრობრივი კატეგორიები, რომელიც მკითხველს სხვადასხვა ვარიაციებში გაშლილ სიუჟეტებს სთავაზობს. მე-20 საუკუნის დასაწყისში შექმნილი ტექსტი კლასიკური ხედვით არ სცდებოდა დეტექტივის ჩარჩოებს და მკითხველიც მას ერთ სიბრტყეში შეიცნობდა, დღეს კი, მწერლები გარკვეულ თამაშში გვიწვევენ. ამ სტილით შექმნილი ნაწარმოებისთვის დამახასიათებელია ის, რომ ადამიანი იწყებს დეტექტიურ ჟანრში დაწერილი ტექსტის კითხვას და უცებ, გადაინაცვლებს ღრმად ინტელექტუალურ კატეგორიაში, რასაც, ბუნებრივია, თავად ლიტერატურული ჟანრის რადიკალური ცვლილება განაპირობებს.

„ვფიქრობ, თამაშის ელემენტების გამოყენება თანამედროვე ლიტერატურაში აქტუალური 80-იანი წლებიდან გახდა. ელემენტების ასეთი შეცვლით, იცვლება არა მხოლოდ წერის მეთოდიკა, არამედ კითხვის თავისებურებაც. თუ გავიხსენებთ ტექსტებს, რომლებიც არ აკმაყოფილებს, ერთგვარად, ტრადიციულ ფორმებს, სწორედ მათ ახასიათებთ ასეთი ტიპის ლიტერატურული თამაშები. ილუზიებით აღსავსე ტექსტი მკითხველისთვის შეუძლებელს ხდის — მასში უშუალოდ ამოიცნოს ავტორი. ამის მიუხედავად, სიუჟეტი საკმაოდ საინტერესოა“, — აღნიშნა ლაშა ბუღაძემ.

თანამედროვე მწერლობაში ლიტერატურული ტექსტის თემატურად შეცვლის თვალსაჩინო მაგალითად დასახელდა იტალიელი მწერლის უმბერტო ეკოს „ვარდის სახელები“, სადაც ნაწარმოებში გამოყენებული ლიტერატურული თამაშები მკითხველს აიძულებს, ტექსტის თითოეული თავი რამდენჯერმე ზედიზედ, ან ადგილ-ადგილ წაიკითხოს და თითოეულ ჯერზე, შესაძლოა, აფიქრებინოს, რომ ნაწარმოების ეს ნაწილი ან საერთოდ არ წაუკითხავს, ან რადიკალურად შეუცვალოს შთაბეჭდილება და დამოკიდებულება უკვე გაცნობილი სიუჟეტის, პერსონაჟის და მთლიანი ამბის მიმართ.

როგორც ახალგაზრდა ქართველი მწერალი მიიჩნევს, ერთი და იგივე ტექსტის წაკითხვისას სხვადასხვა შინაარსის წარმოჩენის ასეთი მეთოდი „ლიტერატურულ ჯადოსნობას“ ჰგავს და თანამედროვე ლიტერატურაში ეს, შესაძლოა, ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვან ცვლილებად შეფასდეს.

სტუდენტი თაობისა და გემოვნებიანი მკითხველისთვის საინტერესო და საყურადღებო ასპექტად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ თანამედროვეობაში არასწორხაზოვანი ლიტერატურა ერთგვარად არღვევს კითხვის კლასიკურ თანმიმდევრულობას და ბოლო წლებში დაწერილი ტექსტების გარკვეული ნაწილი მკითხველისთვის ახლებურად წასაკითხი ხდება. ამ ტიპის თანამედროვე ლიტერატურის თვალსაჩინო მაგალითად სერბი მწერლის, მილორად პავიჩის „ხაზარული ლექსიკონი“ გამოდგება, რომელიც უკვე ქართულად ითარგმნა და დაინტერესებული მკითხველისთვის ხელმისანვდომი მალე გახდება. ამ ნაწარმოების გარდა, პავიჩს აქვს სხვა რომანებიც, სადაც ის თანმიმდევრობის დარღვევას ადამიანის სიცოცხლისა და სიკვდილის თემატიკაში ცდილობს. მისი პერსონაჟის დაბადება-სიკვდილის სიუჟეტი შეიძლება დასრულდეს ნაწარმოების დასაწყისში, ან სულაც შუაში და მსგავსი აბსტრაქცია მკითხველისთვის ძალიან საინტერესო ხდება.

თანამედროვეობის ამგვარი მაგალითები, ბუნებრივია, ქართულ ლიტერატურაში გაჩნდა და უცხოურისგან განსხვავებით, ლიტერატურული თამაშები არა მარტო აბსტრაქციულ, არამედ პრაქტიკულად ხელშესახებ ხასიათსაც ატარებს. ამ მხრივ, მწერალი ლაშა ბუღაძე აკა მორჩილაძის რომანს „მისტერ X“ — გამოარჩევს, სადაც მკითხველი სიუჟეტს კონკრეტული პერსონაჟების, სახელების, ქაღალდის ნაგლეჯებისა და სხვა საგნობრივი საშუალებებით ეცნობა.

მე-4 გვერდზე

„ნეტავ იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს!“

პირველი გვერდიდან

მარიამ ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი:

— ჩემს ოჯახში ხელოვნების კულტი იყო გამეფებული. იმ დროისათვის საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა გვქონდა. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ჩემს მშობლებს თავის დროზე ძალიან კარგი განათლება ჰქონდათ მიღებული. ვერაზე, მლეთის ქუჩაზე ვცხოვრობდით... მახსოვს, კვირაობით მამას სასეირნოდ ქალაქგარეთ დავყავდით. „ქალაქგარეთ“ კი იყო — უნივერსიტეტი, რომლის წინ დიდი მინდორი იყო გაშლილი. ყოველთვის, როცა უნივერსიტეტს მივუახლოვდებოდით, მამა შეჩერდებოდა და ქუდს მოიხდიდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ეს სასწავლებელი დამთავრებული არ ჰქონდა. პატარებს მამის ასეთი საქციელი მაშინ არ გვესმოდა. ამ ტაძრისადმი იმდროინდელ ქართულ ინტელიგენციას განსაკუთრებული დამოკიდებულება და მოწიწება ჰქონდა.

რაც შეეხება სკოლაში სწავლის პერიოდს, მინდა გითხრათ, რომ შესანიშნავი პედაგოგები მყავდნენ: ქ-ნი ნინო ქებაძე — ძალიან განათლებული, ინტელიგენტი ქალი, ლიტერატურის მასწავლებელი ონოფრე ნიკოლეიშვილი, ბაბო მჭედლიძე, რომელმაც ერთხელ ასეთი შენიშვნა მომცა: „როდესაც აუდიტორიის წინაშე გამოდიხარ და მოხსენებას კითხულობ, ეს არ არის სწორი. საკითხი ჯერ უნდა მოამზადო, ჩაუღრმავდე და შემდეგ უნდა შეგეძლოს ზეპირად ისაუბრო ამ თემის ირგვლივ.“ ამის შემდეგ ლექციას ზეპირად ვკითხულობდი და ქ-ნი ბაბოს შენიშვნას დღესაც ძალიან ვაფასებ.

სკოლის დამთავრების შემდეგ მე და ჩემმა მეგობრებმა სწავლის გაგრძელება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე გადავწყვიტეთ. ხელოვნების ისტორიის სპეციალობა ავირჩიეთ და როდესაც ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ ჩემი მეგობრის — ოთარ ჯაფარიძის დედა (თავად ექიმი გახლდათ) საქმის კურსში ჩავაყენეთ, მაშინ ქალბატონმა რიტამ გვირჩია: „ბავშვებო, გაიგეთ, ექიმი ყველგან ექიმია, აქაც, ციხეშიც და გადასახლებაშიც“... მაშინ 1939 წელი იყო და ასეთი მოსაზრების გამოთქმა სავსებით ბუნებრივი გახლდათ.

ჩვენ ჩვენი მაინც გავიტანეთ და ასე გავხდი ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი. უნივერსიტეტში მასწავლიდნენ ბრწყინვალე პედაგოგები, ფაქტობრივად, თავიანთი დარგების ფუძემდებლები: გიორგი ჩიტაია, სიმონ ჯანაშია, ალექსანდრე ნამორაძე, გიორგი ნიორაძე, გიორგი ჩიტაია და სხვები.... ისინი რომ არა, მეცნიერად ვერ ჩემოვყალიბდებოდი. ჩემი წოდების რეგალიების მიღმა იმალება უსაზღვრო სიყვარული არჩეული პროფესიისადმი. უნივერსიტეტი ჩემთვის მეორე კი არა, პირველი სახლია.

როგორც იცით, დიდი პედაგოგიური გამოცდილება მაქვს, ამიტომ ერთ რამეს ვამჩნევ: სამწუხაროდ, დიდმა ნიჭმა შეიძლება მოზარდი „გააფუჭოს“, თუ მას შრომის, ძიების სურვილი და მონდომება არ აქვს. მშობელმა ამას ყურადღება აუცილებლად უნდა მიაქციოს...

— ქალბატონო მარიამ, თქვენ დიდი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და, ამავე დროს, კარგი, ტრადიციული ოჯახის დიასახლისიც ბრძანდებით. როგორ უთავსებდით ერთმანეთს ამ ორ საპასუხისმგებლო მოვალეობას?

— მიჭირდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებული ვიყავი, არ მქონდა იმის უფლება, რომ მზრუნველობა მომეკლო ჩემი ოჯახისა და შვილებისთვის. იცით, დღევანდელი გადასახედიდან მიკვირს — როგორ ვასწრებდი ყოველივე ამას, მაგრამ როცა ახალგაზრდა ხარ და შენი საქმე გიყვარს, მაშინ შეუძლებელი არაფერია.

ჩვენ ჩვენი ეპოქის შვილები უფრო ვართ, ვიდრე ჩვენი მამების...

ნათელა ქუთელია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი:

— დავიბადე საპორტო ქალაქ სოჭში. მამა სამსონ ქუთელია და ბიძა ტარას ქუთელია რევოლუციამდე და შემდეგ ნეპის პერიოდში თამბაქოსა და ხორცის მდიდარი მენარმენი იყვნენ და, ამავე დროს, პოლიტიკურად აქტიურნი. ბიძაჩემი კრასნოდარის მხარის მენშევიკური პარტიის ლიდერი გახლდათ. სოჭი მაშინ, შეიძლება ითქვას, ქართული ქალაქი იყო, სადაც ქართველ თავად-აზნაურთა კლუბი და ქართული სკოლა არსებობ-

და. ქალაქში ფეხს მძლავრად ბურჟუაზია იკიდებდა. აქ მოღვაწეობდნენ ქართველი მეწარმენი: ბესარიონ ხოშტარია — პირველი არქეოლოგი ქალის ნინო ხოშტარიას მამა, ტარიელ ჟვანია, ნოე მგალობლიშვილი, პეტრე ცხადაია. დიდი ეროვნული სულისკვეთებითა და პასუხისმგებლობით იყო განმსჭვალული ამ ადამიანების მოღვაწეობა. ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეძებდნენ ახალგაზრდა, გამრჯე ქართველ ვაჟკაცებს და ასაქმებდნენ მათ. პირობა ასეთი იყო: მეწარმე უზრუნველყოფდა მათ ბინით, საკვებითა და ტანსაცმლით, ხოლო კუთვნილ ჯამაგირს ბანკში უნახავდა. სამი წლის შემდეგ აძლევდა ამ დანაზოგს, პირად საკუთრებაში გამოუყოფდა მიწის ნაკვეთს ქალაქის მიდამოებში, სადაც ის ვალდებული იყო პირადი დანაზოგით სახლი ჩაედგა და ოჯახს მოკიდებოდა. ჩემს ბავშვობაში სოჭში მრავალი ქუჩის წარწერა მინახავს ჟანგიან რკინის ფირფიტაზე შემორჩენილი „გრუზინსკაია ულიცა“, „რაჩინსკაია ულიცა“ და ა.შ. 30-იანი წლებიდან დაიწყო ქართველთა ინტენსიური გასახლება სოჭიდან, რომელიც ომის შემდეგაც გრძელდებოდა. მახსოვს, სატვირთო მანქანა, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებდა „გრუზინსკაია ულიცა“, „იმერეტინსკაია ულიცა“, „მენგრელსკაია ულიცა“ და ა.შ. მამამ გადასახლებას თავი იმით დააღწია, რომ გორში გადავიდა საცხოვრებლად. მე მაშინ წლინახევრის ვიყავი.

გორში დავამთავრე მე-3 საშუალო სკოლა. ეს იყო სანიმუშო სკოლა, სადაც არაჩვეულებრივი მასწავლებლები გვყავდნენ: გრიგოლ ნუცუბიძე, ელისაბედ თარხნიშვილი, ალექსანდრა ხახიშვილი, პეტრე ჩიტაიშვილი, ელიზა გუგუშვილი... ზოგი მათგანი მანამდე გიმნაზიებშიც ასწავლიდა. განათლება, ძირითადად, ოჯახში და სკოლაში მივიღე, სადაც გამეფებული იყო წიგნის კულტი. გორში ძალიან საინტერესო საზოგადოება იყო — ძველი თავადაზნაურობა და ინტელიგენცია. ისინი ხშირად სტუმრობდნენ ჩვენს ოჯახში და საინტერესოდ საუბრობდნენ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, კულტურაზე... რომელი ერთი ჩამოვთვალო: ტატიშვილების ოჯახი, ელიოზიშვილების ოჯახი, გვერწითელების ოჯახი...

ჩემს აღზრდა-განათლებაში უდიდესი როლი დედამ ითამაშა. მივიღე სერიოზული მუსიკალური განათლებაც. სკოლაში კარგად ვსწავლობდი, მაგრამ, ამავე დროს, ცელქი და ონავარი მოსწავლე ვიყავი. მიუხედავად ამისა, ზრდილობას, მასწავლებლისადმი პატივისცემას ყოველთვის ვინარჩუნებდი. მსურდა ისტორიულ ფაკულტეტზე გამეგრძელებინა სწავლა, მაგრამ ოჯახის მეგობარმა, ცნობილმა ეთნოგრაფმა, პროფესორმა სერგი მაკალათიამ მირჩია, დასავლეთ ევროპის ენების ფაკულტეტზე ინგლისური ენისა და ლიტერატურის განხრით ჩამებარებინა. ლექციებს კორიფეები მიკითხავდნენ. არ შემიძლია განსაკუთრებით არ გავიხსენო ბატონი გიორგი ახვლედიანი — სულით და სისხლით არისტოკრატი კაცი. იგი ინდო-ევროპულ ენათა შედარებით გრამატიკას გვიკითხავდა. იყო მისი სტუდენტი-ასპირანტი, ესწრებოდა გიორგი ახვლედიანის სემინარებს და გქონდეს მასთან ყოველდღიური ურთიერთობა — ამის შედარება არანაირ სიამოვნებასთან არ შეიძლება! 30-იანი წლებისთვის დამახასიათებელი შიში, რაც უნივერსიტეტის კედლებს გარეთ იყო, თითქოს ჩვენ არ გვეხებოდა. აქ არაჩვეულებრივი მეცნიერული ატმოსფერო სუფევდა. თბილისში, იმ დროს, კულტურული ცხოვრება დუღდა. კინო, დრამატული თეატრები, ოპერა, ხელოვნება... დიდი მეცნიერები: დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, არნოდ ჩიქობავა, წერეთელი და ბევრი სხვა ჩვენი თანამედროვენი იყვნენ.

ასპირანტურაში ჩემი სნავლის პერიოდი დაუღალავ შრომასა და ძიებაში გავატარე. ამ დროს ბატონმა გიორგი ახვლედიანმა შემომთავაზა ძალიან სერიოზული საკანდიდატო თემა „ჰარმონიულ ჯგუფთა ორი სისტემა“, რომელიც ექსპერიმენტალურად უნდა შემესწავლა. საკანდიდატო დისერტაცია ძალიან ახალგაზრდამ დავიცავი, მაგრამ დოცენტის წოდება გვიან მომცეს, ანუ 15 წლის შემდეგ, რასაც კორიფეებისგან შემდგარი დიდი საუნივერსიტეტო საბჭო წყვეტდა.

იცით, როდის ვიგრძენი პირველად, რომ რაღაცის გაკეთება შემიძლია? 50 წლის ასაკში. ყველაზე დიდი სკოლა — ეს არის აუდიტორია და სტუდენტი. მასწავლებლობა მოწოდებაა. შენ მოწოდებული უნდა იყო ამისათვის! სადოქტორო დისერტაციას ზუსტად 15 წელი ვწერდი, შემდეგ კი 2 წელი ვამოწმებდი. ფილოლოგია ისეთი მეცნიერებაა, რომელიც დიდი ხნის შრომას, ძიებას, განათლებას მოითხოვს. გენიალურმა ნიკო მარმა, თუ არ ვცდები, 41 წლის ასაკში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია...

ჩემი მონოგრაფია „ლაზურის ფონემატური სტრუქტურა“ ჩემს მასწავლებელს, ბატონ გიორგი ახვლედიანს მივუძღვენი. ეპოქები იცვლება... და ამ ბოლო დროს შემწყნარებლობის ელემენტმა ჩემში უფრო იმძლავრა, ჩავწვდი ამ გამონათვალის სიბრძნეს, მის ჭეშმარიტებას: „ჩვენ ჩვენი ეპოქის შვილები უფრო ვართ, ვიდრე ჩვენი მამების... მე არ ვიცი, რამდენად მოვერგე ამ ეპოქას, მაგრამ დისკომფორტს ვერ ვგრძნობ. ავიღოთ, თუნდაც, საუნივერსიტეტო რეფორმა – ეროვნული გამოცდები. შედეგი ცხადია: მოვიდა სტუდენტი აქტიური, მონდომებული, სწავლას მოწყურებული... არ შეიძლება ასეთი სერიოზული რეფორმა ისე გაკეთდეს, რომ ყველაფერი ერთბაშად აეწყოს. სასწავლო პროცესი რთულია და ის აშკარად დახვეწას ითხოვს. ამ უნივერსიტეტში შეიქმნა მსოფლიოში აღიარებული სამეცნიერო სკოლები: მათემატიკის, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, ენათმეცნიერების, ქართველოლოგიის, ინდოირანისტიკის, სემიტოლოგიის, თურქოლოგიის. ტრადიცია დიდია და ორიენტირიც ის უნდა იყოს – ბრმად არაფრის გადმოღება არ შეიძლება, ქართველები დაჯილდოებულნი არიან დიდი შემოქმედებითი ნიჭით. ეს ეხება მეცნიერებას, ხელოვნებას, სპორტს და ასე განსაჯეთ ბიზნესსაც, ამიტომ მათი სტანდარტულ ჩარჩოებში მოქცევა შეუძლებელია“.

— საინტერესოა, თქვენი, როგორც მეცნიერის, შეხედულება ქართველი ქალის ძირითად ფუნქციასა და დანიშნულებაზე?

— ქალის ძირითადი ფუნქციაა ოჯახის შექმნა, შვილების ღირსეულად აღზრდა, მეუღლეობის ღირსეულად გაწევა. კაცმა ქალს უნდა მოუსმინოს. ეს არ ნიშნავს, რომ მის ჭკუაზე უნდა იაროს! ამიტომ ქალს რომ მოუსმინოს, ქალს სათქმელიც უნდა ჰქონდეს. ამისათვის სჭირდება მას განათლება და არა იმისთვის, რომ დიდი თანამდებობა დაიკაოს. თუ ეს ოჯახის ხარჯზე მოხდება, დაუშვებელია. ქალს დიდი ფუნქცია აქვს, თუმცა ისიც არ შეიძლება — ქალი მარტო ოჯახისათვის არსებობდეს. რატომ უნდა დაკარგოს ხელოვნებამ, კულტურამ, მეცნიერებამ ნიჭიერი ქალი?! მიუხედავად ამისა, მთავარი მაინც ოჯახია. მე მომწონს ქართული ოჯახების ტრადიცია, სადაც დედა არის ძალიან პატივცემული.

— როგორ უყურებთ ფემინისტ და კარიერის მოყვარულ ქალებს?

— კარიერა მაშინაა გამართლებული, თუ ქალი დიდი ნიჭითაა დაჯილდოვებული და ამ ნიჭის რეალიზაციის უნარი და პირობები აქვს. ქალის უფლებები არ უნდა გავუთანაბროთ მამაკაცისას. ვერავინ წაშლის იმ სხვაობას, რომელიც მათ შორის ბუნებამ დააწესა. ქალის მთავარი მისია დედობაა, ერის გამრავლება. ქალისა და მამაკაცის ფუნქციათა აღრევა ძალიან დამაფიქრებელია. როგორც ჩანს, კაცობრიობა დიდი პრობლემების წინაშე დგას, რომელმაც წინ ეს საკითხი წამოსწია...

ქართულ ეთნოფსიქიკაში ქალი მოცემულია არა მხოლოდ განცდებისა და მგრძნობელობის სუბიექტად, არამედ როგორც დედა-კაცი

ქართველი ქალის ფენომენზე, მის საინტერესო ფსიქოლოგიურ პორტრეტზე საუბარი ვთხოვეთ ფსიქოლოგს, ქალბატონ **ნანა ჩაჩუას:**

— მართლაც, ძალიან საინტერესოა ქართველი ქალის ფსიქოლოგიური პორტრეტი, ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ის, რასაც ქართველი ცნობიერება მიაწერს თვითონ საქართველოს – საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ქრისტე ხომ სიყვარულია, ამიტომ ქართულ წიაღში მხოლოდ სიყვარული უნდა აღმოცენდეს. არსებობს იანისა და ინის, ანუ მამაკაცურისა და ქალური საწყისის აღმოსავლური გაგება: ქალი არის ნელი, ქვევით მდგომი და გრძნობებზე ორიენტირებული. მამაკაცი კი პირიქით... ქართველი ქალის ფსიქოლოგიური პორტრეტი ქალურობისა და მამაკაცურობის ერთდროულ მატარებლობაში გამოიხატება. როგორც დიდი ილია იტყოდა – ეს არის დედაკაცი. ქართველი დედაკაცი როგორც ინის, ასევე იანის მატარებელია. როგორ შეიძლება სუსტი სქესის წარმომადგენელი იყოს მასკულინური ძალის მატარებელი, მაგრამ დედობრივი ინსტიქტი, მისი დედობრივი მოცემულობა ამის საფუძველს იძლევა. ქართველი ქალი თავისი ბუნებით არის ნაზი, ფაქიზი, სათნოებით სავსე, მაგრამ იგი სავსეა მასკულინური ძალით, რომელიც მოდგმის დაცვის ინსტინქტში ვლინდება. მოდგმის დაცვა არა მხოლოდ ბიოლოგიურ დონეზეა გაგებული, არამედ სოციალურ-ფილოსოფიურ დონეზეც.

მეცნიერება — ეს არის შემეცნებითი პროცესების მასკულინური მოცემულობა. ისტორიამ აზროვნებასა და ინტელექტზე დაფუძნებული ქართველი ქალის ბევრი მაგალითი იცის. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ნონა გაფრინდაშვილის ფენომენი რად ღირს. გინდათ „ვეფხისტყაოსანი“ ქალების მაგალითი აიღეთ. ნესტანი, თინათინი და ფატმანი საოცრად რაციონალურ გადაწყვეტილებებს იღებდნენ... რაციონალური განსჯა ერთი წუთითაც არ ტოვებთ მათ: ხვარაზმის ძეზე ნესტანის გათხოვების საკითხი, ტარიელის მიერ მისი მოკვდინება – ეს ეპიზოდები ამის ნათელი დადასტურებაა. საინტერესოა ოთარაანთ ქვრივის სახეც... იმის გამო, რომ უკიდურესად რაციონალისტია, იღუპება ისიც და თავისი შვილიც. ანუ ამით რისი თქმა მინდა: ქართულ ეთნოფსიქიკაში ქალი მოცემულია არა მხოლოდ განცდებისა და მგრძნობელობის სუბიექტად, არამედ როგორც დედა-კაცი.

ქართველი ქალის მეცნიერული ძიებანი შემეცნების დიდი სურვილი, ინტერესი, ქართული სივრცისთვის ძალიან პრიორიტეტულია. მთელი საქართველოს სიმდიდრე ხომ მისი ინტელექტუალური მოცემულობაა.

P.S. *უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ყველა ქალბატონს ულოცავს ქალთა დღეს გაზაფხულის შემობრძანებასთან ერთად. სააქტო დარბაზში ამ დღისადმი მიძღვნილი კონცერტი 7 მარტს გაიმართა.*

„რატომ თანამედროვე ლიტერატურა?“

შეხვედრა მწერალ ლაშა ბუღაძესთან

მე-3 გვერდიდან

ლაშა ბუღაძის შეფასებით, გასული საუკუნის 50-იანი წლების შემდგომ, მწერალმა აკა მორჩილაძემ საკუთარ თავზე გარკვეული დოკუმენტურობის ფუნქცია აიღო და ქართველი მკითხველი თანამედროვე ქართული ლიტერატურით დააინტერესა. იგი წერს ტექსტებს, რომლებიც ძალიან განსხვავდება არა მხოლოდ ტრადიციული თანმიმდევრობისგან, არამედ მის მიერვე შექმნილი იმ ნაწარმოებებისგანაც, რომელსაც მკითხველი ათი ან ოცი წლის წინათ იცნობდა.

დისკუსიისას აღინიშნა, რომ რადიკალურად შეცვლილი ტიპის წიგნების კითხვის მოთხოვნილება საზოგადოებაში არსებობს და მსგავსი ტიპის ტექსტებს ქმნიან სხვა ქართველი მწერლებიც. როგორც ჩანს, რადიკალური, სოციალურად მძიმე ტიპის ტექსტების წერის მოთხოვნილება არსებობდა თავად მკითხველშიც და გარკვეული თვალსაზრისით აგრესია, ინსტრუქციები და არაცენზურული თავისუფლება, რომელიც ბოლო წლებში გადმოიღვარა თანამედროვე, თუმცა მძიმე და ტრაგიკულობით დატვირთული ლიტერატურიდან, პირდაპირ კავშირშია გულწრფელ პირდაპირობასთან.

საზოგადოების რადიკალური მოთხოვნილების მთავარ მოტივად, შესაძლოა, ორი წლის წინათ ნობელის პრემიით დაჯილდოებული თურქი მწერლის ორნახ პამუკის სიტყვები გამოდგეს: „იქ, სადაც გვატყუებს მიმიკა, სადაც გვატყუებენ პოლიტიკოსები, ლიტერატურა არის ერთადერთი, რომელიც არ მოგვატყუებს!“.

სწორედ ასეთია თანამედროვე ქართული ლიტერატურაც. არსებობს გარკვეულ სიმართლეთა კატეგორიები, რომელიც განსხვავებული კუთხით უნდა მიიღოს მკითხველმა. ასეთ შემთხვევაში, ლიტერატურა ცდილობს, შეავსოს რეალობაში არსებული ვაკუუმი, რომელიც, უპირველესად, თავად საზოგადოებას სჭირდება.

თანამედროვე ლიტერატურის ასპექტებით სტუდენტების დაინტერესება, რა თქმა უნდა, დიდია. თავად ლაშა ბუღაძე შორს დგას იმ სრულფასოვანი ანალიზისა და შეფასებისგან, რომელიც მწერლობის ახლებურ მიმართულებებს კონკრეტულ ლიტერატურულ ჩარჩოში მოაქცევს, თუმცა მიმდინარე „ცხელ პროცესებთან“ ერთად ბეჭდვით მედიაში არსებობს ჟურნალი „ცხელი შოკოლადის“ ლიტერატურული დამატება, სადაც ტექსტური ორიგინალების პარალელურად იბეჭდება გამოხმაურებები, რეცენზირებადი მოსაზრებები, რომელიც მთლიანობაში ქართული ლიტერატურის სფეროში მიმდინარე საინტერესო ტენდენციებზე მიუთითებს.

წელს ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან დაფინანსდა 139 პროექტი

გაცემული გრანტებიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოიპოვა 21 გრანტი + 2

მეცნიერების განვითარების საგრანტო სისტემა საქართველოში სულ რამდენიმე წელია არსებობს. 2006 წლის 19 აპრილს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის შესახებ დებულებისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმის დამტკიცების თაობაზე. დადგენილების მიხედვით სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი, როგორც მეცნიერების დაფინანსების ერთერთი საშუალება, არის მეცნიერების წარმატებული რეფორმის განხორციელების ძირითადი მექანიზმი, რომელიც საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენისა და განვითარებისთვის კონკურენტუნარიან გარემოს ქმნის.

ამავე კანონში მითითებულია, რომ სამეცნიერო გრანტის მიზანია საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დამტკიცებული და დამოუკიდებელ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტთა შეფასების საფუძველზე ღია კონკურსის გზით შერჩეული სამეცნიერო კვლევების ფინანსური უზრუნველყოფა.

მაია ტორაძე

სამეცნიერო გრანტების შეფასებისას ექსპერტები ითვალისწინებენ – რამდენად ნათლად არის საკონკურსო პროექტში ჩამოყალიბებული პრობლემის არსი, მიზანი და ამოცანები, აქვს თუ არა მას მაღალი მეცნიერული ან/და პრაქტიკული (გამოყენებითი) ღირებულება, აქვთ თუ არა პროექტის შემსრულებლებს სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება, განსაზღვრულია თუ არა მოსალოდნელი შედეგები, რამდენად რეალურია დროსა და ბიუჯეტის ფარგლებში პროექტის განხორციელება. საბოლოო ჯამში, დანესებულ ქულათა მიხედვით, პროექტის შეფასება 100 ქულიანი სისტემით ხდება.

2007 წელს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა განიხილა უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი 1015 სამეცნიერო პროექტი, რვა ძირითადი სამეცნიერო მიმართულების მიხედვით. ამათგან ორი მიმართულება – ქართველოლოგიური მეცნიერებები და ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები რუსთაველის ფონდმა დააფინანსა, დანარჩენი ექვსი – მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო; სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები; საინჟინრო მეცნიერებები და მაღალტექნოლოგიური მასალები და აგრარული მეცნიერებები ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა.

საგრანტო კონკურსის შედეგად 2008 წლის ბიუჯეტის (5 000 000 ლარი) ფარგლებში ექსპერტთა დამოუკიდებელი შეფასების საფუძველზე, ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭომ დასაფინანსებლად დაამტკიცა 108 სამეცნიერო პროექტი (საერთო ბიუჯეტით 15 მილიონ ლარამდე), რაც შარშანდელთან შედარებით 25 პროექტით მეტია.

საკონკურსო პროექტები შეაფასა 946-მდე უცხოელმა და 75-მა ქართველმა ექსპერტმა. გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

წარდგენილი პროექტები

ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში თსუ-დან წარდგენილი იყო 142 საგრანტო პროექტი. მათგან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დამოუკიდებლად წარადგინა 104 პროექტი. 24 პროექტში თსუ სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და სამეცნიერო ინსტიტუტთან ერთად მონაწილეობდა, როგორც წამყვანი ორგანიზაცია, ხოლო 14 პროექტში — როგორც თანამონაწილე ორგანიზაცია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან წარდგენილ საგრანტო პროექტებში 97 პროექტით ლიდერობდა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი. 28 პროექტი წარადგინა ჰუმანიტარულმა ფაკულტეტმა, 10 – მედიცინის ფაკულტეტმა, 3-3 ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიულმა ფაკულტეტებმა.

დაფინანსებული პროექტები ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან

წელს ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან დაფინანსდა 139 პროექტი, მათგან მათემატიკაში – 10; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში – 20; სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში – 26, საინჟინრო ტექნოლოგიებში — 21; დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში — 17; აგრარულ მეცნიერებებში — 14; ჰუმანიტარულ მეცნიერებებში — 31 პროექტი.

გაცემული გრანტებიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოიპოვა 21 გრანტი (დამატებით 2 გრანტი სხვა სამეცნიერო დაწესებულებასთან თანამონაწილეობით).

მათემატიკის მიმართულებით გაცემული 10 გრანტიდან 4 მიიღო ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა; 2 — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (დამატებით 1 გრანტი მოპოვებულია თსუ-ის თანამონაწილეობით), რაც საერთო რაოდენობის 20 პროცენტია; 2 გრანტი გაიცა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე, თითო-თითო — ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კიბერნეტიკის ინსტიტუტზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით გაცემული 20 გრანტიდან თსუ-მა მოიპოვა 9 გრანტი (დამატებით 1 გრანტი მოპოვებულია თსუ-ის თანამონაწილეობით), რაც საერთო რაოდენობის 45 პროცენტია, 3-3 გრანტი მოიპოვეს ე. ხარაძის ეროვნულმა ასტროფიზიკურმა ობსერვატორიამ და ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტმა, 2 — საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, თითო-თითო – ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტმა და გ. წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტმა.

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით გაცემულია 26 გრანტი, საიდანაც 6 გრანტი მოიპოვა ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა, 4 – თსუ-მა, რაც საერთო რაოდენობის 15 პროცენტია, 4 გრანტი მოიპოვა ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, 3 – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, თითო-თითო ცხრა სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ.

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების მიმართულებით გაცემული 17 გრანტიდან მხოლოდ ერთი მოიპოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, 4 – გეოლოგიის ინსტიტუტმა, 3 – სეისმური მონიტორინგის ცენტრმა, დანარჩენი — სხვადასხვა სამეცნიერო და კვლევითმა ინსტიტუტებმა.

საინჟინრო მეცნიერებების მიმართულებით გაცემული 21 გრანტიდან არც ერთი არ მოუპოვებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ლიდერობენ: 5 გრანტით ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 4 გრანტით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

ასევე არც ერთი გრანტი არ მიუღია თსუ-ს აგრარული მეცნიერებების მიმართულებით გაცემული 14 გრანტიდან. ლიდერი ამ მიმართულებებში სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი (5 გრანტი) და მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი (4 გრანტი) არიან.

დაფინანსებული პროექტები რუსთაველის ფონდიდან

ქართველოლოგიური და ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით 31 პროექტი დააფინანსა რუსთაველის ფონდმა. აქედან 5 გრანტი მოიპოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, 3-3 ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტმა, დანარჩენი გრანტები — სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ.

კონკურსები ახალგაზრდა მეცნიერთათვის

2007 წელს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ახალგაზრდა მეცნიერთათვის (35 წლამდე) გამოაცხადა კონკურსები საგრანტო და სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად:

1. ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი;
2. ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის ეროვნული პროგრამა (აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდისა (CRDF) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) თანამონაწილეობით);
3. ივანე ბერიტაშვილის სახელობის სტიპენდია;
4. ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია;

ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსში უნივერსიტეტებიდან, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და ფიზიკური პირებიდან მონაწილეობა მიიღო 211-მა სამეცნიერო პროექტმა რვა ძირითადი სამეცნიერო მიმართულების მიხედვით. ესენია: ქართველოლოგიური მეცნიერებები; ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მიმართულებები; მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო; სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები; საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები და აგრარული მეცნიერებები.

შეტანილი პროექტებიდან, მიმართულებების მიხედვით სტატისტიკა ამგვარია:

ქართველოლოგიური მეცნიერებების მიმართულებით შეტანილი იყო 22 პროექტი, დაფინანსდა - 5, მათ შორის, 1 გრანტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოიპოვა;

ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მიმართულებებით შეტანილი 49 პროექტიდან დაფინანსდა 10, აქედან 3 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან;

მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით წარდგენილი 16 პროექტიდან დაფინანსდა 6, მათგან 4 გრანტი გაიცა თსუ-ის წარმომადგენლებზე;

საბუნებისმეტყველო მიმართულების 17 პროექტიდან დაფინანსდა 2, მათგან ერთი მოიპოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა;

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით შეტანილი 52 პროექტიდან დაფინანსდა 5; მათგან თსუ-მა მოიპოვა 1 გრანტი;

რაც შეეხება საინჟინრო, დედამიწის შემსწავლელი და აგრომეცნიერებების მიმართულებებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არც ერთი გრანტი არ მოუპოვებია;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები მოიპოვეს: მირიან მახარაძემ, მაია მესტვირიშვილმა, მაია გაბრავამ, გიული შაბაშვილმა, ზურაბ კიღურაძემ, გიორგი ჭელიძემ, ანა დანელიამ, მაგდა ცინცაძემ, შორენა სამკაშვილმა, ნოდარ სურგულაძემ.

ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის ეროვნულ პროგრამაში წარმატებას მიაღწიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერებმა: ნოდარ სურგულაძემ, ზურაბ კიღურაძემ, ქეთევან ჯარიაშვილმა და გიორგი სახელაშვილმა.

ილია ვეკუას სტიპენდია მოიპოვეს უნივერსიტეტელებმა: გიორგი ღვედაშვილმა, მარიამ ავალიშვილმა, გია ავალიშვილმა, მიხეილ წიკლაურმა, ზურაბ კიღურაძემ, ანა დანელიამ და გიორგი ჭელიძემ, ხოლო ივანე ბერიტაშვილის სახელობის სტიპენდია — ნინა კულიკოვამ და ნოდარ სურგულაძემ.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა მეცნიერთაგან ზოგიერთმა რამდენიმე გრანტი ერთდროულად მოიპოვა. სამ-სამი გრანტის მფლობელები არიან ზურაბ კიღურაძე და ნოდარ სურგულაძე. ისინი, ამავე დროს, ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაცემული დიდი სამეცნიერო გრანტების მენეჯერი და თანამონაწილენიც არიან; ორ-ორი გრანტი მოიპოვეს გიორგი ჭელიძემ და ანა დანელიამ.

მონაცემები დამუშავებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ

კომენტარი

ჩვენ თავს თვითკმაყოფილების უფლებას ვერ მივცემთ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა **იაგორ კალანდაძემ** ჩვენთან საუბარში განაცხადა:

— ეროვნული სამეცნიერო ფონდის მუშაობის პრინციპები — სახელმწიფო გრანტები, ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდასაჭერი პროგრამები, სხვადასხვა სტიპენდიები, სამოგზაურო გრანტები და ა.შ, სრულად შეესაბამება მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის თანამედროვე მოთხოვნებს. ანალოგიური სისტემით მუშაობს საჯარო სამართლის იურიდიული პირი — „რუსთაველის ფონდი“, რომელიც ქართველოლოგიურ, საზოგადოებრივ და სოციალურ მეცნიერებებს აფინანსებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი როგორც შარშან, წელსაც ლიდერია ორივე ფონდიდან მიღებული გრანტების მიხედვით.

გასულ წელს უნივერსიტეტს მოგებული ჰქონდა 22 გრანტი, წელს მოიპოვა 21 დამოუკიდებელი გრანტი და 2 გრანტი სხვა დაწესებულებასთან თანამონაწილეობით.

მართალია, გრანტების რაოდენობა დაახლოებით იგივეა, რაც შარშან, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი რამ: პროექტები გათვლილია სხვადასხვა პერიოდზე — არის რამდენიმე კვარტლიანი, ერთწლიანი, ორწლიანი და სამწლიანი გრანტები. მკვლევართა ჯგუფები, რომლებმაც გასულ წელს გაიმარჯვეს, წელს, გარკვეულწილად, აღარ მონაწილეობდნენ კონკურსში, რადგან შარშანდელ საგრანტო პროექტებს ასრულებენ.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გამარჯვებული პროექტის გვერდით საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი მაღალქულიანი პროექტები, რომლებიც შეფასებულია 80 და მეტი ქულით. გულდასაწყვეტია, რომ წელს ეს პროექტები არ დაფინანსდა, მაგრამ იმედი მაქვს, ჩვენი კოლეგები აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას მომდევნო კონკურსებში და ეს ნამუშევრები შემდგომ აუცილებლად დაფინანსდება.

მიუხედავად ამისა, ჩვენ თავს თვითკმაყოფილების უფლებას ვერ მივცემთ, რადგან, მიმაჩნია, უნივერსიტეტს გაცილებით მეტი შეუძლია. ჩვენ გვაქვს ლიდერი კვლევითი დაწესებულების ამბიცია და ამ გადასახედიდან არც თუ ისე კარგად გამოიყურება ის ფაქტი, რომ ვერ მოვიპოვეთ გრანტი საინჟინრო მეცნიერების, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით. მართალია, აგრარული მეცნიერება ორგანული არ არის ჩვენი სპეციფიკისთვის, მაგრამ მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტმა ამ მიმართულებითაც უნდა გამოიჩინოს გარკვეული აქტივობა. აქ მაღალი სამეცნიერო პოტენციალია, რომელიც კარგ პროექტებში უნდა გამოვლინდეს.

მეცნიერთათვის აქტიური კონსულტაციის გაწევისა და დახმარების თვალსაზრისით, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტმა. ჩვენ ვაპირებთ, შეფასების სისტემის თაობაზე წინადადებებით მივმართოთ ეროვნულ სამეცნიერო ფონდს. მათ შევთავაზებთ იმ მოსაზრებებს, რომელიც გამომუშავდა საგრანტო კონკურსის შედეგების გაანალიზების პროცესში. ეს შეეხება ექსპერტების შერჩევას და თანაბარი პირობების დაცვას პროექტების შეფასებისას. უნდა ვეცადოთ, რომ კომპეტენტურობის პარალელურად, დაცული იყოს ანონიმურობა და თანაბარი, სიმეტრიული ფორმატი, როგორც ექსპერტების შერჩევის, ასევე ქულათა დათვლის თვალსაზრისით.

მეცნიერები საგრანტო კონკურსზე უფრო მეტ ობიექტურობას მოითხოვენ

29 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა შეხვდა 2007 წელს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და რუსთაველის ფონდის საგრანტო კონკურსებში გამარჯვებულ და მაღალი შეფასების მქონე პროექტების ავტორებს.

მაია ტორაძე

შეხვედრაზე გამოიკვეთა რამდენიმე სერიოზული საკითხი, რომელიც, მეცნიერთა აზრით, მომავალ საგრანტო კონკურსებში შესაბამისმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ.

მიღებული სამეცნიერო გრანტების რაოდენობით წელს, ისევე როგორც შარშან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდერია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართულების პროფესორთა მიერ წარდგენილი პროექტები, რომელთაგან თითქმის ნახევარი დაფინანსდა, ხოლო დაუფინანსებელ პროექტებში არ იყო არც ერთი დაბალი სამეცნიერო დონის პროექტი.

მიუხედავად ამისა, შეხვედრაზე პრობლემები მაინც გამოიკვეთა. როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, შედეგები გაცილებით მაღალი იქნებოდა, ჩვენი მეცნიერები გრანტების წერის ხელოვნებას რომ ფლობდნენ. მისივე თქმით, წელს პროექტების თითქმის 10 პროცენტი უკან დაბრუნდა მხოლოდ იმიტომ, რომ ციფრები არ იყო სწორად დათვლილი. ამან, გარკვეულწილად, უნივერსიტეტის კვოტა დააზარალა.

თვითკმაყოფილების უფლებას არც ის გვაძლევს, რომ არის მთელი რიგი მიმართულებები, რომელშიც უნივერსიტეტს არც ერთი გრანტი არ მოუპოვებია – მაგალითად, საინჟინრო, აგრარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები.

„მნიშვნელოვანია აქცენტის გაკეთება პერსპექტიულ მიმართულებებზე. უნდა შევეცადოთ განვავითაროთ ისინი, მოვიზიდოთ პროფესიონალი კადრები და შევქმნათ კრიტიკული მასა, რათა შემდგომში ეს მიმართულებები მაღალ დონეზე წარმოჩინდეს“, - განაცხადა გიორგი ხუბუამ.

მან, ასევე, აღნიშნა იმის თაობაზეც, რომ უნივერსიტეტში მეცნიერების კომერციალიზაციის კუთხით რამდენიმე სერიოზული პროექტი მუშავდება. რექტორის თქმით, არის მოსაზრება, განხორციელდეს პროექტი: „უნივერსიტეტი — იდეების სამყარო“, რომელიც გულისხმობს ყველაზე თამამ, ერთი შეხედვით არარეალისტურ და ავანტიურის ზღვარზე გამავალ იდეებსაც კი.

შეხვედრაზე ითქვა, რომ უახლოეს ხანებში დონორ ორგანიზაციებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან და ბიზნესსექტორთან ერთად განსაზღვრულია კონკრეტული პროექტების განხორციელება. „გამოჩნდნენ უცხოელი მეწარმეები, რომლებიც ეძებენ იდეებს, მუშახელს, მზად არიან აქ საწარმო ააშენონ და იდეები განახორციელონ. ჩვენ მათი პარტნიორები ვიქნებით. ქველმოქმედება არ გვჭირდება, რადგან გვაქვს ინტელექტუალური კაპიტალი, რომლითაც ფინანსებს მოვიზიდავთ.

დაგეგმილი გვაქვს მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე ტექნოპარკების აშენება, სადაც ყველას მიეცემა სამეცნიერო იდეების რეალიზების საშუალება“, — აღნიშნა რექტორმა.

მეცნიერებმა შეხვედრაზე დასვეს პრობლემატური საკითხები, რომელიც, ძირითადად, საგრანტო კონკურსზე ობიექტურობის დაცვას შეეხებოდა.

პროფესორმა პაატა ცხადაიამ წამოაყენა წინადადება, რომელიც ქართველოლოგიური მიმართულების პროექტების შეფასებას მიეძღვნა. მისი აზრით, ისეთი პროექტები, რომელშიც ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები უნდა განხორციელდეს, კარგი იქნება, თუ მხოლოდ ქართველი ექსპერტების მიერ იქნება შეფასებული, რადგან უცხოელი ექსპერტებისთვის ზოგჯერ გაუგებარია პრიორიტეტები, რომელსაც ჩვენ ვანიჭებთ ქართველოლოგიურ მიმართულებებს.

ამ წინადადებას, გარკვეულწილად, მხარი დაუჭირა უნივერსიტეტის რექტორმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქართველოლოგიურ მიმართულებებში მართლაც საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა და შესაძლოა გარკვეული პროექტები მხოლოდ ქართველმა ექსპერტებმა შეაფასონ. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ საჭიროა, ჩვენი მოსაზრებები უცხოეთში სამეცნიერო პროექტების ფორმით გავიდეს.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი მალაშხიამ აღნიშნა, რომ სამეცნიერო პროექტების რეცენზირების პროცესი ჯერ კიდევ დასახვეწია, რადგან ხშირია შემთხვევები, როცა დასკვნები ურთიერთგამომრიცხავი და ალოგიკურია.

ექსპერტების საკითხს ხაზი სხვა გამომსვლელებმაც გაუსვეს. თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ვახტანგ ცაგარეიშვილმა განაცხადა, რომ სასურველია — კონკურსის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდეს ექსპერტთა ვინაობა. „ეს საჭიროა იმისთვის, რომ მათაც იგრძნონ პასუხისმგებლობა. ხშირია შემთხვევები, როცა პროექტს უცხოელი ექსპერტები მაღალ შეფასებას აძლევენ და ქართველი ექსპერტები – საეჭვოდ დაბალს. ჩვენს დარგში, მათემატიკაში, ვინც კი რამეს წარმოადგენს, ყველა პროექტებშია ჩართული და მაინტერესებს, ვინ არის ის ქართველი ექსპერტი, რომელიც მხოლოდ ქულების დაწევაზე მუშაობს“, — განაცხადა ვახტანგ ცაგარეიშვილმა.

ექსპერტების შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა აღმოსავლეთმცოდნე ფატი ანთაძემაც. მისი აზრით, ქართველი ექსპერტები პროექტებს მხოლოდ ქართველოლოგიურ მიმართულებებში უნდა აფასებდნენ. „სხვა შემთხვევაში ობიექტურობა დაცული ვერ იქნება, რადგან ქართული სამეცნიერო საზოგადოება იმდენად მცირერიცხოვანია, რომ ერთი მიმართულების მეცნიერებმა ზუსტად იციან, ვინ რა სამეცნიერო თემაზე მუშაობს. ასე რომ, აქ ობიექტურობა ნაკლებად შესაძლებელია“, - განაცხადა მან.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს იმის თაობაზეც, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლების ნაწილმა, რომლებიც პროექტების ავტორებად სხვა ინსტიტუტების წარმომადგენლებთან ერთად მოგვევლინენ, პროექტში არ მიუთითეს, რომ მუშაობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რამაც ჩვენი კვოტა დაბლა დასწია. ასეთი შემთხვევების კონკრეტული მაგალითები მოიყვანა თსუ-ის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი ჯაიანმა. მანვე აღნიშნა, რომ კონკურსის პირობები ნათლად და ცხადად უნდა იყოს მითითებული, რათა მეცნიერებმა შეცდომა არ დაუშვან. „მაგალითად, ჩვენი თანამშრომლების მიერ წარდგენილ ერთერთ პროექტში ერთი წლის ბიუჯეტი გათვლილი იყო სწორად, მეორე წლის ბიუჯეტი კი – რადგან მითითებული არ იყო, აღარ დაშალეს. ამან, ცხადია, პროექტის ჩავარდნა გამოიწვია“, - განაცხადა გიორგი ჯაიანმა.

გამომსვლელებმა კიდევ რამდენიმე პრობლემას გაუსვეს ხაზი. მათი აზრით, ზოგჯერ ეროვნული სამეცნიერო ფონდი არასწორ აქცენტებს აკეთებს. მათი აზრით, არასწორია, როცა ნანოტექნოლოგიები და საინფორმაციო ტექნოლოგიები დაუფინანსებელი რჩება და ფინანსდება სხვა, ნაკლებ პერსპექტიული პროექტები.

გამომსვლელთა მიერ დასმულ საკითხებზე ისაუბრა თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა იაგორ კალანდაძემ. მან გააანალიზა ის თემები, რომელსაც ეს სამსახური მოკლე ხანში ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ერთად განიხილავს.

შეხვედრის დასასრულს, უნივერსიტეტის რექტორმა კიდევ ერთხელ მიულოცა გამარჯვებულ მეცნიერებს წარმატება და განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მიზანია, მოიძებნოს სპონსორები, რომელთა დახმარებითაც უნივერსიტეტის სამეცნიერო ფონდი შეძლებს მაღალი შეფასების მქონე (80 ქულა და მეტი) სამეცნიერო პროექტების დაფინანსებას.

გაცილებით რთულია, ვიყოთ ინტეგრირებული ევროპულ სივრცეში ჩვენი აზროვნების წესისა და კულტურის მიხედვით

„ტემპუსის“ პროგრამის მეოთხე ფაზის დაწყებას თსუ-ში სპეციალური კონფერენცია მიეძღვნა

ხათუნა ხატიაშვილი

ევროკავშირის საუნივერსიტეტო თანამშრომლობის პროგრამა „ტემპუსის“ საინფორმაციო დღის აღნიშვნას და საქართველოში ამავე პროგრამის ახალი, მეოთხე ფაზის დაწყებას თსუ-ში სპეციალური კონფერენცია მიეძღვნა, რომელიც ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოში ეროვნული ბიურო „ტემპუსის“ ორგანიზებით 22 თებერვალს გაიმართა.

„ტემპუსის“ პროგრამა, რომლის მიზანსაც უმაღლესი განათლების სფეროში ევროკავშირსა და მის პარტნიორ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა წარმოადგენს, საქართველოში 1995 წლიდან ეტაპობრივად ხორციელდება და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის სრულ ინტეგრირებას ითვალისწინებს.

როგორც თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ კონფერენციაზე განაცხადა, „ტემპუსით“ დაინტერესებულთა ფართო აუდიტორიის არსებობა არ ნიშნავს, რომ ეს პროგრამა მხოლოდ წმინდა სამეცნიერო და აკადემიური მნიშვნელობისაა, რადგან საქართველოს ევროპასთან ინტეგრაცია, პირველ რიგში, საზოგადოების აზროვნებისა და კულტურის ევროპულ სივრცეში დამკვიდრებას გულისხმობს. „ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განათლებას. სამოქალაქო საზოგადოების, თავისუფალი პიროვნების ფორმირების პროცესში უნივერსიტეტის ფუნქცია უნიკალურია, ინდივიდუალური ავტონომიის იდეას უმაღლესი სასწავლებლები ტრადიციულად ყოველთვის უფრთხილდებოდნენ, მაგრამ გაცილებით რთულია, ვიყოთ ინტეგრირებული ევროპულ სივრცეში ჩვენი აზროვნების წესისა და კულტურის მიხედვით. პირველი ქართული უნივერსიტეტი დაფუძნებისას რეალურად იყო ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი, ამიტომ გარკვეული ხარისხით და თვალსაზრისით, ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ვესწრაფვით უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ევროპულ სივრცეში რეინტეგრაციას“, — აღნიშნა რექტორმა.

უმაღლესი განათლების პროგრამა „ტემპუსი“ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის საშუალებას აძლევს მეცნიერებს, განახორციელონ და ხელი შეუწყონ თანამედროვე ევროპული ღირებულებების იმპორტს საქართველოში, არამედ მსგავსი პროექტები საშუალებას იძლევა, ახლებურად იქნას დანახული უნივერსიტეტის მისიაც.

გიორგი ხუბუას განცხადებით, საუნივერსიტეტო რეფორმის ერთერთი მნიშვნელოვანი გარემოება ის არის, რომ უნივერსიტეტი უნდა განიხილებოდეს მეცნიერების მეწარმედ, მეცნიერება კი — დიდ ინდუსტრიად, რომლის შესაბამისად, აკადემიურ პერსონალს ამ მიმართულებით უკვე გარკვეული მენეჯერული უნარ-ჩვევებიც მოეთხოვება.

„ევროკომისიის მხრიდან ფინანსურ ხელშეწყობასთან ერთად, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი სამეცნიერო კვლევისთვის, მნიშვნელოვანი ეფექტია ის, რომ ამ სახის პროექტებით საქართველოში მკვიდრდება სამეცნიერო კვლევისა და სწავლების ახალი კულტურა. ქვეყნის მომავლისთვის უმაღლესი განათლება არის სერიოზული და წაუგებელი ინვესტიცია, რომელსაც ყოველთვის აქვს მხოლოდ პოზიტიური შედეგი“, — თქვა რექტორმა.

„ტემპუსის“ პროგრამის მნიშვნელობას სრულად იზიარებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გია ნოდია, რომელსაც მიაჩნია, რომ „ტემპუსის“ მიმდინარეობა სრულად შეესაბამება იმ მაგისტრალურ მიმართულებას, რომელიც მსოფლიო დონეზე კონკურენტული განათლებისა და მეცნიერების სისტემის შექმნას ითვალისწინებს.

მე-14 გვერდზე

ესტონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე თსუ-ში აღინიშნა

21 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესტონეთის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნად გაიხსნა გამოფენა „ჩემი ესტონეთი“. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ტარტუს კურს-დამთავრებული, გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების და ესტონეთის რესპუბლიკის თვითმყოფადობისთვის მებრძოლი ერნსტ იაკსონის ფოტოები, ასევე ესტონეთის სახელმწიფო არქივებში და ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდებში დაცული მასალები.

მაკა ლდოკონენი

ესტონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღის თსუ-ში აღნიშვნა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში ესტონეთის უკეთ გაცნობასა და იმ ქართველი თანამემამულეების გახსენებას ემსახურებოდა, რომლებმაც განათლება ესტონეთში მიიღეს.

ტარტუს უნივერსიტეტი იყო ადგილი, სადაც თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა ღვივდებოდა და მისი განცდა თანაბრად შეეძლო სტუდენტსა თუ პროფესორს.

ქართულ-ესტონურ ურთიერთობებს საფუძველი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ჰიმნის ავტორმა კოტე ფოცხვერაშვილმა ჩაუყარა. ტარტუს უნივერსიტეტში დაიწყო თავისი მწერლური თუ პუბლიცისტური მოღვაწეობა გრიგოლ რობაქიძემ. ტარტუს უნივერსიტეტი ხუთასმა ქართველმა დაამთავრა, რომლებიც შემდგომ ცნობილი ადამიანები გახდნენ.

„როდესაც ესტონეთის დამოუკიდებლობის დღეს ვზეიმობთ, უნივერსიტეტების როლი უსათუოდ უნდა წარმოჩინდეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი წვლილი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეში. იმედს გამოვთქვამ, რომ ქართველი ახალგაზრდები გამოიყენებენ შანსს და მონაწილეობას მიიღებენ თსუ-სა და ტარტუს უნივერსიტეტებს შორის გაცვლით პროგრამებში“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

თსუ-ში მალე გაიხსნება მინი-აუდიტორია, სადაც სტუდენტები ესტონეთის სულს შეიგრძნობენ, აპრილში კი თბილისის უნივერსიტეტს ტარტუს უნივერსიტეტის რექტორი ესტუმრება.

ესტონეთის ელჩმა საქართველოში ჰარი მარტინმა მადლობა გადაუხადა თსუ-ის რექტორსა და ადმინისტრაციას მისი ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი თარიღის უნივერსიტეტში აღნიშვნისთვის. „ეს დღე ძალზე მნიშვნელოვანი გახლავთ ჩვენთვის, ვინაიდან იგი ესტონეთის ნაციის მშვიდობას ეხება“, - განაცხადა მან.

ემოციური და გულითადი გახლდათ საქართველოში ესტონეთის დიასპორის წარმომადგენლის რეგინა კახიძის გამოსვლა. მან ესტონეთის ისტორიასა თუ კულტურაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ესტონურ ენაზე ჟღერადი ენა არ არსებობს, რომ ესტონურად საუბარი სიმღერას ჰგავს, რომ ევროპის ყველაზე ძველი აფთიაქი ტალინში მდებარეობს და ის დღემდე მოქმედებს, რომ ესტონური როიალები საქვეყნოდ სახელგანთქმულია და ერთი მათგანი ცნობილი მომღერლის მადონას კოლექციაშიც ინახება.

ახლო მომავალში თსუ-ში აზერბაიჯანის კუთხე გაიხსნება

25 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ტერიტორიული კონფლიქტები პოსტსაბჭოთა სივრცეში“, რომელიც მთიანი ყარაბაღის, კერძოდ კი ხოჯალინის ტრაგედიას მიეძღვნა.

მაია ტორაძე

კონფერენციას ესწრებოდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩი, პროფესორი ნამიკ ალიევი და რუმინეთის ელჩი დან მიჰაი ბარლიბა.

ღონისძიება გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აუდიტორიაში, სადაც სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გაიმართა, ახლო მომავალში გაიხსნება აზერბაიჯანის კუთხე, სადაც სტუდენტები თავისუფლად შეძლებენ მუშაობას და აზერბაიჯანის ისტორიის, კულტურისა და მეცნიერების მიღწევათა გაცნობას.

„აზერბაიჯანი ჩვენი მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორია. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მეგობრული ურთიერთობა კიდევ უფრო უნდა გაამყაროს ახალგაზრდობის დაინტერესებამ თანამედროვე აზერბაიჯანით, მით უფრო, რომ არის თემები, რომელიც ღრმა შესწავლას მოითხოვს. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის თემა ძალზე მტკივნეულია ჩვენი ქვეყნებისთვის, მით უფრო, რომ რეგიონალური ინტეგრაციის პროცესი პირდაპირ კავშირშია ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების საკითხებთან“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში ნამიკ ალიევი. მან თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის კუთხის გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესანიშნავი საშუალებაა ამ ორი ქვეყნის კიდევ უფრო დასაახლოებლად.

„აუდიტორიაში განთავსდება აზერბაიჯანის ისტორიის, კულტურის, ეკონომიკის, მეცნიერების განვითარების, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ამსახველი საინფორმაციო დაფები. მოგეხსენებათ, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის მეგობრობა და სტრატეგიული პარტნიორობა კავკასიის რეგიონში სტაბილურობის გარანტია. სწორედ ჩვენი ურთიერთობების საფუძველზე შეიძლება შეიქმნას, ასე ვთქვათ, „ერთიანი კავკასიური სახლი“, სადაც ამ რეგიონის სხვადასხვა ხალხები მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვრებენ.

აუდიტორია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღიჭურვება და იგი ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის“, — განაცხადა პროფესორმა ნამიკ ალიევმა.

მან, ასევე, ისაუბრა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის თემის შესახებ.

„1992 წლის 26 თებერვალს აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე დაწყებული საბრძოლო მოქმედებების შედეგად ხოჯალინში დახვრიტეს მშვიდობიანი მოსახლეობა. ტრაგედიის შედეგად 813 ადამიანი დაიღუპა და ათასობით დაიჭრა. ასეთი მოვლენა არც საქართველოსთვის არის უცხო: აფხაზეთთან და ცხინვალთან შექმნილი კონფლიქტების შედეგად ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. ხოჯალინზე საუბრისას ჩვენ ვგულისხმობთ სეპარატისტულ მოძრაობებს და იმ პირობებს, რომლებიც შეუძლებელს ხდის ქვეყნის ნორმალურ განვითარებას. ნებისმიერი ახალი სახელმწიფო უნდა წარმოიქმნას სამართლებრივი გზით. არც აფხაზეთი, არც ცხინვალის რეგიონი და არც მთიანი ყარაბაღი მსოფლიოს ცივილიზებულმა საზოგადოებამ არ აღიარა იმიტომ, რომ ისინი ძალისმიერი მეთოდებით შეეცადნენ დამოუკიდებლობის მოპოვებას“, — განაცხადა ნამიკ ალიევმა.

სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე მეცნიერები საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ ისაუბრა ავტონომიაზე, როგორც კონფლიქტის გადაწყვეტის ერთერთ სამართლებრივ საშუალებაზე. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გურამ მარხულიამ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი და ხოჯალინის ტრაგედია მიმოიხილა, ბაქოს უნივერსიტეტის პროფესორმა კამილ სალიმოვმა არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ ისაუბრა. აქვე განიხილეს საერთაშორისო სამართლის ნორმების საკითხები მთიანი ყარაბაღის რეგიონში. კონფერენციის დასასრულს ყველა ამ საკითხზე ღია დისკუსია გაიმართა.

ინდოეთის სრულუფლებიანი ელჩი უნივერსიტეტს ესტუმრა

28 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ინდოეთის სრულუფლებიანი ელჩი სომხეთსა და საქართველოში რიინა ფენდი ეწვია. მან უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა ინგლისურენოვანი ლიტერატურა ინდური კულტურის, ფილოსოფიის, ხელოვნებისა და ისტორიის შესახებ.

მაია ტორაძე

საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან შეხვედრაზე ქალბატონმა რიინა ფენდიმ აღნიშნა, რომ გურუს ტრადიცია ინდოეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანია და ამიტომ მასწავლებლებს განსაკუთრებულ პატივს სცემენ.

„ქვეყნებს შორის ორმხრივი მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა როდია. იგი ეყრდნობა კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობებსაც, რაც მომავალ თაობებს ერთმანეთთან აკავშირებს. დღეს, როცა მსოფლიოს ძირითადი აქცენტი გლობალიზაციისკენაა მიმართული, ასეთი კონტაქტები ქვეყნებს შორის დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციას ასრულებს და კულტურათა დიალოგის საფუძველს ქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ სათაო ოფისი ერევანშია განთავსებული, ინდოეთის საელჩოს ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. საქართველოში ვაწყობთ უფასო ტრენინგებს, რომელიც საბანკო საქმეს, საინფორმაციო ტექნოლოგიებს, განათლებასა და კულტურას ეძღვნება. ინდოეთი განვითარებადი ქვეყანაა. ჩვენ მზად ვართ, გამოცდილება გავუზიაროთ სხვა განვითარებად ქვეყნებს და, ასევე, ბევრი რამ ვისწავლოთ მათგანაც“, - განაცხადა ქალბატონმა რიინა ფენდიმ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მადლობა გადაუხადა ინდოეთის ელჩს მობრძანებისა და მდიდარი ბიბლიოთეკის გადმოცემისთვის. მისი თქმით, ლიტერატურა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკაში დაიდებს ბინას, ცოდნის გაღრმავების კუთხით დიდ დახმარებას გაუწევს ინდოეთის ისტორიით, კულტურით, ფილოსოფიითა და პოლიტიკით დაინტერესებულ პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

„ინდოეთი დიდი ტრადიციების ქვეყანაა. ჩვენ დაინტერესებული ვართ, ინდოელი ახალგაზრდებისთვის მიმზიდველი გავხადოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამ

მიზნით, შევთავაზებთ რამდენიმე ინგლისურენოვან პროგრამას, რომელიც საინტერესო იქნება ამ ქვეყნის სტუდენტებისთვის. გამოვიყენებთ ყველა შესაძლებლობას, რაც მათ საგანმანათლებლო სფეროსთან დაგვაახლოებს – იქნება ეს სტუდენტთა მობილობა თუ ერთობლივი კვლევების განხორციელება.

ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ ქვეყნის უკეთ გაცნობის მიზნით, ივნისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ე.წ. ინდოეთის დღე გაიმართება“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

„თუ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა სამუშაო ვერ მოძებნა, საფრთხის ქვეშ დადგება შესაბამისი დარგების განვითარება“

— მიიჩნევს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი რამაზ ბოჭორიშვილი, რომელიც ფაკულტეტზე არსებულ პრობლემებსა და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ გვესაუბრა.

რამაზ ბოჭორიშვილი: — ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით ორ მნიშვნელოვან ასპექტს გამოვყოფ — კომპიუტერული პარკის არსებითი შევსება-განახლება და ანალიზური ხელსაწყოს ცენტრის შექმნა. ამ სემესტრის დასაწყისისათვის გვექნება სრულად აღჭურვილი 7 კომპიუტერული კლასი, მაშინ როცა გასული წლის ანალოგიური პერიოდისათვის ამ კლასების 80 პროცენტი ძველი, შეიძლება ითქვას უვარგისი ტექნიკით იყო დაკომპლექტებული და ისიც არასრულად. ცხადია, ეს დადებითად იმოქმედებს სწავლის დონის ამაღლებაზე. ანალიზური ხელსაწყოს ცენტრისათვის ტექნიკის შესაძენად საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 410 000 ლარის ღირებულების გრანტი იქნა გაცემული. უკვე შეძენილია ხუთი თანამედროვე ხელსაწყო და ცენტრი, რომელიც უახლოეს მომავალში ამოქმედდება, გზას გაუხსნის თანამშრომლებს ახალი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების მქონე კვლევების ჩასატარებლად.

სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით მინდა შემდეგი ოთხი ასპექტი გამოვყო: სასწავლო პროგრამების მოდიფიკაცია, თანამედროვე სწავლების მეთოდების შემოღება, პოტენციურ დამქირავებელთა ინტერესების გათვალისწინება და ელიტარული პროგრამის შემუშავება. სასწავლო პროგრამების მოდიფიკაცია დიდ ძალისხმევას მოითხოვს და გარკვეული თვალსაზრისით პროცესი მტკივნეულია. ფაკულტეტზე არსებულმა ყველა სასწავლო პროგრამამ განიცადა მოდიფიკაცია და პროცესი ჯერ კიდევ დაუსრულებელია. ზოგიერთ მიმართულებაზე ეს პროცესი გაცილებით წინ არის წასული. მაგალითად, მათემატიკის სასწავლო პროგრამამ მოდიფიკაცია განიცადა თუნინგ როჯეცტ-ის რეკომენდაციების შესაბამისად და უკვე მზად არის პირველი საერთაშორისო ექსპერტიზისათვის, გამოყენებითი ბიოლოგიის მიმართულებით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს თშ-ის ხაზით დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ბრისტოლის, დუბლინის და თესალონიკის უნივერსიტეტების მონაწილეობით, ქიმიის პროგრამის ევრობაკალავრთან თავსებადი კურიკულუმის პირველი ვარიანტი უკვე დაიდო. ფაკულტეტი, ასევე, ჩართულია ტემპუსის ახალ პროექტში "თუნინგი-საქართველო" მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა დარგში, რაც ევროპელი ექსპერტების დახმარებით განახლებულ კურიკულუმებამდე მიგვიყვანს უკვე მიმდინარე წლის ბოლოსათვის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამების მოდიფიკაციის და მისი რეალიზაციის თვალსაზრისით სამუშაო კვლავ ბევრია და, ასევე, არსებობს ამ სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო პოტენციალი.

ელიტარული პროგრამის მიზანია გამორჩეული ნიჭის, სწავლისა და კვლევის სურვილის მქონე სტუდენტების დახმარება ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის განხორციელების გზით ხელმძღვანელის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. ელიტარულ პროგრამაზე სწავლა გულისხმობს გარანტირებულ შედეგამდე მისვლას, რაც გარკვეულ საგნებში კრედიტების დაგროვების გარდა ითვალისწინებს, სულ ცოტა, ერთი პუბლიკაციისა და ერთ საერთაშორისო ფორუმზე სამეცნიერო მოხსენების გაკეთებას. ბუნებრივია, ასეთი მაღალი მოთხოვნების პირობებში ელიტარულ პროგრამაზე სწავლის შემძლე სტუდენტთა რაოდენობა ბევრი ვერ იქნება, მაგრამ ის, ვინც კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, თავისი თანატოლებისაგან ნამდვილად გამორჩეული იქნება. პროგრამაზე სწავლის მსურველთა შერჩევის ბოლო ეტაპი აკადემიურ რეგისტრაციის პროცესთან ერთად დასრულდება.

ელექტრონული სწავლების სისტემის დანერგვა ფაკულტეტზე გასულ სემესტრში დაიწყო. ამ მხრივ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ და პროფესურასაც და სტუდენტებსაც ბევრი რამ სასწავლი აქვთ — თუ როგორ გამოვიყენოთ უფრო ეფექტურად ის შესაძლებლობები, რასაც ეს სისტემა იძლევა. მთავარია, რომ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია და ზოგიერთი მიმართულება მას საკმაოდ წარმატებითაც იყენებს. გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები დისტანციურად ვიდეოხიდით სწავლების სისტემის გამოყენების თვალსაზრისითაც. ფრანგმა პროფესორმა მარკ აბადიმ სინგაპურის ნანიანგის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან ჩვენი უნივერსიტეტის ქიმიის მიმართულების სტუდენტებისთვის დიდ აუდიტორიაში ლექცია წაიკითხა. ამ მეთოდის გამოყენება სათანადო აპრობაციის შემდეგ რეგულარულად შეიძლება სასწავლო პროცესში, განსაკუთრებით მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეზე.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ თუ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა სამუშაო ვერ მოძებნა, საფრთხის ქვეშ დადგება შესაბამისი დარგების განვითარება. გასულ წელს პირველი ნაბიჯები გადაიდგა პოტენციური დამქირავებლების ინტერესების გათვალისწინებით სასწავლო პროგრამების მოდიფიკაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, ჩვენ ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამქირავებლებს ვთავაზობთ, რომ მათ საჭიროებებს შეძლებისდაგვარად გავითვალისწინებთ სასწავლო პროგრამებში, ანუ სტუდენტებს ვასწავლით იმას, რაც მათ ჭირდებათ. ამით მოიგებს დამქირავებელი, რომელიც კვალიფიციურ კადრს მიიღებს და მოიგებს სტუდენტიც, რომელიც დიპლომის აღების შემდეგ სამუშაოს იპოვის. ვფიქრობ, რომ ფაკულტეტზე წარმოდგენილი ყველა მიმართულებით სემესტრის განმავლობაში მომზადდება დასაქმებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პაკეტი, რომელსაც სტუდენტებს შევთავაზებთ. ამ მხრივ გარკვეული პირველადი მონახაზი უკვე არსებობს გამოყენებითი ბიოლოგიისა და გეოლოგიის მიმართულებებზე.

სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისით ფაკულტეტი ლიდერია უნივერსიტეტში. ამის დამადასტურებელია ფაკულტეტის თანამშრომელთა საერთაშორისო პუბლიკაციები და მათ მიერ მოპოვებული დაფინანსება ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი პროექტებისათვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2007 წლის კონკურსში უნივერსიტეტის მიერ მოპოვებული პროექტების 78 პროცენტი სწორედ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე მოდის. მიუხედავად ამ წარმატებისა, უნდა აღინიშნოს, რომ აქაც არსებობს გარკვეული პრობლემები, რადგან სამეცნიერო კვლევების და დაფინანსებული პროექტების თვალსაზრისით ფაკულტეტზე მიმართულებებს შორის მდგომარეობა არათანაბარია. ვფიქრობ, რომ ზოგიერთ მიმართულებას საკუთარი პოტენციალის გამოსავლენად უფრო მეტი აქტიურობა მართებს, თუნდაც საგრანტო განაცხადების გაკეთების თვალსაზრისით.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები დღეს ნაკლები პოპულარობით სარგებლობენ, ვიდრე იურიდიული ან ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების მიერ შეთავაზებული სპეციალობები. ამის მიზეზი სხვა მნიშვნელოვან მიზეზთან ერთად, ჩვენი ვარაუდით, ისიც არის, რომ სკოლა ახალგაზრდებს სათანადო ცოდნას ვერ აძლევს, რათა ამ მიმართულებით მათ ინტერესი გაუღვივოს. სკოლებს არ აქვთ თუნდაც შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სწორედ ამიტომ ფაკულტეტმა გადაწყვიტა — დაეხმაროს სკოლებს და ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. კერძოდ ფაკულტეტი ეხმარება თბილისის საშუალო სკოლებს მოსწავლეთა ქიმიით დაინტერესების კუთხით და მათ სთავაზობს ლაბორატორიული სამუშაოების სერიის განხორციელებას ფაკულტეტზე მათი მოთხოვნის შესაბამისად. გარდა ამისა, მუშაობა დაიწყო ნორჩ ქიმიკოსთა სკოლამ, რომელიც უკვე 15 წელია აღარ ფუნქციონირებდა. საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა ლექციები ფიზიკის მიმართულებით, ასევე დაგეგმილია ლექციები ქიმიისა და ბიოლოგიის მიმართულებითაც. ანალოგიური ღონისძიებების გატარებას ვაპირებთ სხვა მიმართულებებითაც. ვფიქრობ, რომ სკოლასთან კავშირის გაძლიერება აუცილებელია ფაკულტეტზე წარმოდგენილ კონკრეტულ დარგებში განათლების მიღებაზე ორიენტირებული და მოტივირებული სტუდენტების მოსაზიდად.

სხვა სახის პრობლემები, რა თქმა უნდა, არსებობს. დღეს მხოლოდ ორ მტკივნეულ პრობლემაზე მინდა ვისაუბრო, რომელიც მაგისტრატურას და დოქტორანტურას უკავშირდება. პირველი — ეს არის დაფინანსების საკითხი, მეორე — შესაბამისობა უნივერსიტეტში უცხო ენის სწავლებას და მისაღებ გამოცდაზე მოთხოვნილ დონეს შორის. გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს, ამ მხრივ, განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება და ეს მხარდაჭერა მას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან აქვს კიდეც. თუმცა უნივერსიტეტის რესურსები შეზღუდულია და პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია სახელმწიფო დონეზე გადაწყდეს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დაფინანსების საკითხი ისე, რომ თანაბარ პირობებში ჩავაყენოთ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველებიც და საქართველოში არსებული უნივერსიტეტებიც. იმედი მაქვს, რომ ეს პრობლემა გადაიჭრება, მით უმეტეს, რომ ქვეყანაში არსებობს გამოცდილება ბაკალავრიატში მისაღები გამოცდების ორგანიზებისა და სწავლის მსურველთა დაფინანსების სქემის თვალსაზრისით.

სიახლე

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულებაზე „ნორჩ ქიმიკოსთა სკოლა“ გაიხსნა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტზე არსებულ „ნორჩ ქიმიკოსთა სკოლას“ ჯერ კიდევ 1961 წელს ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ამავე ფაკულტეტის სტუდენტმა ილო ხითარიშვილმა დააარსა. შემდგომში სკოლას ცნობილი პროფესორები: რამაზ გახოკიძე და ნოდარ ლეკიშვილი ჩაუდგნენ სათავეში.

შურთხია ბეროშვილი

წლების მანძილზე ამ სკოლის მრავალმა კურსდამთავრებულმა სწავლა ქიმიის ფაკულტეტზე გააგრძელა.

მოგვიანებით, ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, „ნორჩ ქიმიკოსთა სკოლამ“ დროებით შეწყვიტა ფუნქციონირება. გარკვეულწილად სკოლის გაუქმებამაც შეუშალა ხელი ქიმიის მიმართ ახალგაზრდების დაინტერესებას. გაჩნდა აზრი, რომ საქართველოში ამ დარგს მომავალი არ ჰქონდა და იგი აღარავის აინტერესებდა.

უკანასკნელ წლებში საქართველოში საწარმოების ამუშავებამ, ფარმაცევტული, კვების მრეწველობის და სხვა დარგების განვითარებამ, აგრეთვე ისეთი მიმართულებების წინ წამოწევამ, როგორიცაა: გარემოს კონტროლის აუცილებლობა, საკვების ხარისხზე ზრუნვა, სოფლის მეურნეობაში ქიმიკატების გამოყენება, ქიმიის პედაგოგების მომზადება უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებისთვის, მაღალი კვალიფიკაციის მკვლევარების მომზადება... კვლავ დღის წესრიგში დააყენა სპეციალისტების მომზადების საკითხი ქიმიის დარგში.

თსუ-ის რექტორის გიორგი ხუბუას ინიციატივით და ხელშეწყობით, „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულებაზე კვლავ აღდგა „ნორჩ ქიმიკოსთა სკოლა“.

ამ სკოლის ახლად არჩეული დირექტორის ვაჟა ცხოვრებაშვილის ინფორმაციით, სკოლის ძირითადი მიზანია, ახალგაზრდებში გააღვიძოს ინტერესი ამ საგნისადმი, გამოუმუშავოს მათ დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები და ხელი შეუწყოს მომავალში კვალიფიციური ქიმიკოსების მომზადებას.

სკოლაში ყოფნის პერიოდში მოსწავლეებს საშუალება ექნებათ ცოდნის შესაძენად და გასაღრმავებლად გამოიყენონ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ში არსებული ყველა საშუალება: კაბინეტები, ლაბორატორიები... სკოლის მოსწავლეები აქ გაივლიან საშუალო სკოლის პროგრამას ქიმიაში, დამატებით შეისწავლიან იმ საკითხებს, რომლებსაც ევროპის სკოლებში ასწავლიან, დაეუფლებიან ქიმიის თეორიულ საკითხებს და სავარჯიშოების ამოხსნის მეთოდებს, ჩაატარებენ ლაბორატორიულ სამუშაოებს და სახალისო თვალსაჩინო ცდებს. დაინტერესებულ მოსწავლეებს მიეცემათ ინდივიდუალური სამეცნიერო პროექტების განხორციელების საშუალება. მათ ლექცია-სემინარებსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლები ჩაუტარებენ.

ვაჟა ცხოვრებაშვილის ინფორმაციით, ლექციაზე დასწრება შეუძლიათ არა მხოლოდ „ნორჩ ქიმიკოსთა სკოლის“ მოსწავლეებს, არამედ ყველა იმ მოსწავლეს, რომელიც ლაბორატორიული სამუშაოების პროგრამის ფარგლებში, საშუალო სკოლების ჯგუფებთან ერთად დადის უნივერსიტეტში. მათ საშუალება ექნებათ დამოუკიდებლად ჩაატარონ მცირე ზომის საკვლევი სამუშაოები, მოამზადონ თემები უცხო ენაზე და წარადგინონ საუნივერსიტეტო კონფერენციაზე.

სკოლის მესვეურები სწავლის პროცესში გეგმავენ ექსკურსიებს ქიმიურ საწარმოებში, შეხვედრებს ცნობილ მეცნიერებთან, ასევე, ვიდეოხიდით უცხოეთში მოღვაწე მეცნიერების ჩართვასაც.

„ნორჩ ქიმიკოსთა სკოლის“ პრეზენტაციას უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუაც დაესწრო, რომელიც მოსწავლეებს და მშობლებს მიესალმა და აღნიშნა, რომ ქიმიის დიდ აუდიტორიაში ამდენი მოსწავლის შეკრება უკვე იმის დასტურია, რომ ამ დარგისადმი ინტერესი დღითი დღე იზრდება. მისი თქმით, ახლა ბევრი რამ თვით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებზეა დამოკიდებული.

„მინდა შეგახსენოთ, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორი, ცნობილი მეცნიერი, ბატონი პეტრე მელიქიშვილი ქიმიკოსი იყო. ჩვენი ვალია, უნივერსიტეტში კვლავ ავაღორძინოთ საბუნებისმეტყველო დარგები. ქიმიური ინდუსტრია, შეიძლება ითქვას, რომ განვითარების საწყის ეტაპზეა, მაგრამ მას ნამდვილად აქვს მომავალი. დღეს საქართველოში კვალიფიცირებული კადრების დეფიციტია. ამ თვალსაზრისით, ჩვენს პროფესურას დიდი მისია აკისრია. უნივერსიტეტი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც „იდეების სამყარო“, სადაც მრავალი, ზოგჯერ ერთი შეხედვით უტოპიური იდეებიც ხორციელდება“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

ვაჟა ცხოვრებაშვილის აზრით, რთული პერიოდი საქართველომ უკან მოიტოვა, ამუშავდა საწარმოები, მაგრამ ჯერჯერობით ქიმიის მიმართ ინტერესი კვლავ დაბალია. „შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად დღეს ამ სფეროს უჭირს, ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ, აგვეღორძინებინა ეს ტრადიცია... ის ფაქტი, რომ ამ პროექტში მონაწილეობის სურვილი თბილისის ბევრმა სკოლამ გამოთქვა, ნამდვილად სასიხარულოა. ჩვენ ძალიან საინტერესო პროგრამა გვაქვს შედგენილი. მოსწავლეებს ლექციებს წაუკითხავენ ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები: შოთა სამსონია, ნოდარ ლეკიშვილი, რამაზ გახოკიძე, ლიანა ნაკაიძე და სხვები. ჩვენი ლაბორანტების დახმარებით საშუალება ექნებათ ჩაატარონ საინტერესო ცდები, რისი საშუალებაც, სამწუხაროდ, დღეს სკოლებში არ აქვთ“, — აღნიშნა ვაჟა ცხოვრებაშვილმა.

სკოლის მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრამ უფრო გაამყარა ინტერესი ამ საგნის მიმართ.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე შემომსვლელთათვის ფიზიკის ჩაბარება სავალდებულო უნდა იყოს!

გამოხმაურება წერილზე: „რატომ იკლო ფიზიკის მიმართულებით სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობამ?“

ფიზიკის მიმართულებით სტუდენტთა კონტინგენტის შემცირებას მრავალი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი აქვს. მათი განხილვის ამომწურავი პრეტენზია არა გვაქვს, გვინდა მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევეხოთ.

პრობლემის თავი და თავი სკოლაშია. სინამდვილეს თვალებში უნდა შევხედოთ და ვაღიაროთ: სკოლაში ფიზიკა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, პრაქტიკულად არ ისწავლება! მიზეზი სახეზეა – ფიზიკის ცოდნა თითქმის არავის მოეთხოვება. საშუალო სკოლის ატესტატის მისაღებად საჭირო ცოდნას ვერც დავარქმევთ „ცოდნას“, ხოლო უმაღლესი განათლების მისაღებად კი მხოლოდ რამდენიმე სასწავლებელი ითხოვს ფიზიკის (ქიმიასა და ბიოლოგიასთან ერთად) ჩაბარებას. იმ 40 000–მდე აბიტურიენტიდან, შარშან რომ ეროვნულ გამოცდას აბარებდა, მხოლოდ 1000-მდე აბიტურიენტმა ჩააბარა ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგია, მათგან მხოლოდ 100-მდე აბიტურიენტმა მიანიჭა პრიორიტეტი ფიზიკას. თავად ვმონაწილეობდი ეროვნულ გამოცდებში და თამამად შემიძლია ვთქვა: პროცედურული თვალსაზრისით გამოცდები ახლოსაა იდეალურთან. უნივერსიტეტში ამ გამოცდებით ჩარიცხულ სტუდენტებს ვასწავლი და ბოლო ორნახევარი წლის გამოცდილებიდან, ასევე, თამამად შემიძლია ვთქვა: სტუდენტთა მომზადების დონე ფიზიკაში სავალალოა. ფიზიკოსებთან შეხვედრისას რექტორმა განაცხადა: „უნდა შეიცვალოს მისაღები გამოცდების სისტემა“. დიახ, უნდა შეიცვალოს, აუცილებლად უნდა შეიცვალოს, სანამ გვიან არაა!

აბსურდულად მეჩვენება სიტუაცია, როდესაც სტუდენტი მოდის უნივერსიტეტში, საბუნებისმეტყველო განათლების მიღება სურს და წარმოდგენა არა აქვს ფიზიკაზე (ქიმიაზე, ბიოლოგიაზე)! არ იფიქროთ, „საკუთარი სამრეკლოს“ სინდრომი მალაპარაკებდეს, მაგრამ არსებობს გარკვეულ „საგანთა იერარქია“, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ: მათემატიკა – ფიზიკა – ქიმია – ბიოლოგია (რაც შეეხება კომპიუტერს, მისი ცოდნა გარკვეულ დონეზე ნებისმიერ წიგნიერ ადამიანს მოეთხოვება). აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე შემომსვლელთათვის ფიზიკის ჩაბარება სავალდებულო უნდა იყოს. საწყის ეტაპზე ამან შეიძლება შეამციროს აბიტურიენტთა ისედაც მწირი ნაკადი ამ მიმართულებით, მაგრამ აუცილებლად ასწევს ფიზიკის სწავლების დონეს სკოლაში და გაზრდის საგნისადმი ინტერესს – დღევანდელ კვერცხს კი ხვალინდელი ქათამი გვერჩივნოს!

კურსდამთავრებულთა დასაქმება – რა პერსპექტივები აქვს ამ მხრივ ფიზიკის ბაკალავრს ან მაგისტრს? რბილად რომ ვთქვათ, ბუნდოვანი. მცირე ნაწილი ახერხებს სამსახურის დაწყებას, მათგან ძალიან ცოტა – სპეციალობის მიხედვით. მინდა გავიზიარო აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას მოსაზრება, რომელიც მან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოთქვა. საქმე ეხება ბაკალავრებისთვის პედაგოგიური ლიცენზიის გაცემას. არ ვიცი, თავის დროზე ვის და რატომ მოუვიდა ასეთი იდეა თავში, მაგრამ ფაქტია – ბაკალავრებს სკოლაში მასწავლებლობის უფლება არ ეძლევათ. პედაგოგიკა რეგულირებად სპეციალობათა ნუსხაში აღმოჩნდა, რის გამოც ფიზიკის (მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) ბაკალავრს არა აქვს საშუალება მეორად სპეციალობად (minor) პედაგოგიკა აიღოს. არადა, ბევრი ჩვენი ახალგაზრდა კურსდამთავრებული წარმატებით მუშაობს სკოლაში. თუ ეს შეზღუდვა არ მოიხსნა, 5-10 წელიწადში ფიზიკის მასწავლებელი სანთლით საძებარი გახდება.

კიდევ ერთი მოსაზრება დასაქმების თვალსაზრისით. დასავლეთში ჩამოყალიბდა მთელი ფენა ფიზიკოსებისა, რომლებიც ბიზნესის სფეროში მუშაობენ,-ტერმინიც კი შემოვიდა: "The Business of Academic Physics". „როცა ჩვენთან პრობლემები ჩნდება, ვეძახით ჩვენს ფიზიკოსებს“ – განაცხადა ერთერთი ცნობილი ფირმის ადამიანური რესურსცენტრის დირექტორმა. ასეთმა ტენდენციამ ჩვენთანაც კარგა ხნის წინ მოიკიდა ფეხი, ბევრი ჩვენი ახალგაზრდა და ნიჭიერი კოლეგა წარმატებით მუშაობს ბიზნესში ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ. სწორი მენეჯმენტის პირობებში ეს არხი ფიზიკოსთა დასაქმების მნიშვნელოვან წყაროდ შეიძლება გადაიქცეს.

სერიოზული განხილვის საგანი უნდა გახდეს ფიზიკის შესავალი კურსი, რომელიც ეკითხება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელებს პირველივე სემესტრში. გასულ წელს ეს საკითხი გახლდათ ჩვენი ფაკულტეტის წარჩინებული კურსდამთავრებულის ირმა ინიაშვილის სამაგისტრო ნაშრომის თემა. კვლევის დასკვნით ეტაპზე მაგისტრანტმა ჩაატარა გამოკითხვა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის შესავალი კურსის რაობისა და მიზნების შესახებ. მართალია, სტატისტიკა არასაკმარისი იყო (კურსი პირველად იქნა წაკითხული), მაგრამ აშკარად გამოიკვეთა საერთო აზრი: კურსი ვერ აღწევს მიზანს. თუ მიზეზებს ჩავეძიებით, ისევ სკოლას მივადგებით, მაგრამ სკოლა გაცილებით უფრო მობილური სისტემაა, ვიდრე უნივერსიტეტი – აქ უფრო მარტივად შეიძლება ცვლილებების განხორციელება. იქნებ ყური მივუგდოთ გამოცდილი მასწავლებლის ნათელა ჩაჩავას მოსაზრებას, რომელიც მან რექტორთან შეხვედრისას გამოთქვა: შესავალი კურსი გავხადოთ ორსემესტრიანი სათანადო შინაარსობრივი ცვლილების გათვალისწინებით. მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, რომლებსაც გაცილებით დიდი გამოცდილება გააჩნიათ ამ მიმართულებით, ინტენსიური კვლევა მიმდინარეობს ფიზიკის შესავალი კურსის დახვეწის მიზნით. აშშ-ში შექმნილია სპეციალური უწყება "National Task Force on Undergraduate Physics", რომელმაც შეიმუშავა საგანგებო პროექტი "SPIN-UP (Strategic Programs for Innovations in Undergraduate Physics)", ჩემის აზრით, ამ ტიპის სამუშაო ჯგუფის შექმნა ფიზიკის მიმართულებით აქტუალური სადღეისო ამოცანაა.

არ შემიძლია არ შევეხო ფიზიკის სწავლების საკითხს არაფიზიკურ სპეციალობებზე. ერთსემესტრიანი კურსი აშკარად არაა საკმარისი კვალიფიციური ქიმიკოსის ან ბიოლოგის მოსამზადებლად. საათობრივი დატვირთვის განაწილებისას არსებული შეზღუდვები გასაგებია, მაგრამ არა მისაღები. ვთხოვდი ჩემს კოლეგა-ქიმიკოსებს ან ბიოლოგებს (რომელთა მაღალ პროფესიონალიზმს უდიდეს პატივს ვცემ), გადახედონ ნობელის პრემიის ლაურეატთა სიას ქიმიისა და ბიოლოგიის მიმართულებით — რამდენი „წარმოშობით ფიზიკოსია“ ამ სიაში! ან გაიხსენონ თავიანთი სტუდენტობა – რა დონით ისწავლეს ფიზიკა უნივერსიტეტში. ჩემი აზრით, ქიმიისა და ბიოლოგიის მიმართულებით ფიზიკა უნდა ისწავლებოდეს არანაკლებ ორი სემესტრის (ლაბორატორიითურთ). იქნებ გამოსავალი შესავალი კურსის ახლებურ გააზრებაში იყოს?

ისევ ფიზიკისადმი ინტერესს მინდა მივუბრუნდე. გასულ ზაფხულს ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორებმა გია დვალმა და გიგა გაბადაძემ წაიკითხეს ლექციების ციკლი თანამედროვე ფიზიკის უაღრესად აქტუალურ საკითხებზე. ლექციებმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია და დამწყებ ფიზიკოსთათვის ნამდვილ სკოლად იქცა. იანვარში გია დვალი რამდენიმე დღით ეწვია თბილისს და ხუთი ლექცია წაიკითხა თსუ-ის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში. სავსე აუდიტორიის შემხედვარე ვერ იტყოდი, რომ საქართველოში ფიზიკისადმი ინტერესი განელდა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გამოვხატო ჩემი და ჩემი კოლეგების მადლიერება ბატონ გიას და ბატონ გიგას მიმართ, რომლებიც ასე უანგაროდ აკეთებენ დიდ მამულიშვილურ საქმეს. მართლაც, ძალიან უნდა გიყვარდეს შენი პროფესია, შენი ერი და მისი ახალგაზრდობა, რომ მშობლიურ ქალაქში გატარებული რამდენიმე დღე ნათესავებისა და მეგობრების მონახულების ნაცვლად ლექციების კითხვაში გაატარო!

და ბოლოს, ფიზიკისადმი (საერთოდ, მეცნიერებისადმი) ინტერესის კლება არა მარტო ქართული მოვლენაა, ეს გლობალური ტენდენციაა, მაგრამ განვითარებული ქვეყნები საგანგებო ზომებს მიმართავენ ამ ტენდენციის გამოსასწორებლად. სახელგანთქმული ბილ გეიტსი გასული წლის მარტში საგანგებო მიმართვით წარსდგა ამერიკის სენატის წინაშე. სტატისტიკური მონაცემებით, 2004 წელს ამერიკის უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მხოლოდ 11%-მა მიიღო განათლება ინჟინერიაში, მათემატიკასა და ფიზიკურ მეცნიერებებში, რაც თითქმის 3-ჯერ ნაკლებია 1960 წელთან შედარებით. კომპიუტერულ მეცნიერებებში პირველკურსელთა რაოდენობა 2000-დან 2005 წლამდე თითქმის 70%-ით შემცირდა. ამერიკის შრომის დეპარტამენტის მონაცემებით კი 2014 წლისთვის 2 მილიონი ვაკანტური სამუშაო ადგილი იქნება მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, ინჟინერიის და ფიზიკური მეცნიერებების განხრით. ბილ გეიტსმა წამოაყენა დევიზი: „გავაორკეცოთ მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათემატიკის მიმართულებით უმაღლესი სკოლების კურსდამთავრებულთა რიცხვი 2015 წლისთვის“. პრობლემის სათავე იქაც სკოლაშია. გამოსავალს იგი ხედავს სპეციალიზებული სკოლების რიცხვის გაზრდაში, სადაც აქცენტი მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე კეთდება. ერთ შტატში ეს უკვე გააკეთა "Microsoft"-მა. ბილ გეიტსის აზრით, “ყოველწლიურად უნდა დავიქირაოთ 10 000 ახალი მასწავლებელი მეცნიერებისა და მათემატიკის განხრით და ავამაღლოთ მოქმედი მასწავლებლების კვალიფიკაცია; ყოველწლიურად უნდა უზრუნველვყოთ 25 000 ახალი ოთხწლიანი სტიპენდია, 5000 ახალი სამაგისტრი სტიპენდია... მესმის, რომ ამ გადაწყვეტილებების მიღება არ იქნება მარტივი, მოითხოვს ძლიერ პოლიტიკურ ნებას და გაბედულ ხელმძღვანელობას. მაგრამ ღრმად მწამს, რომ ჩვენი მცდელობა, თუკი მიზანს მივაღწევთ, მოგვცემს დიდ უკუგებას მომავალი თაობებისთვის. ჩვენ საოცრად იღბლიანები ვართ – ვცხოვრობთ ყველაზე ხელსაყრელ და ინოვაციურ პერიოდში. არ უნდა გავფლანგოთ ეს შესაძლებლობა, რომ უზრუნველვყოთ ამერიკის მომავალი კონკურენტუნარიანობა და კეთილდღეობა“.

ჩამოაჭერით აქ მოყვანილ რიცხვებს ერთიორი ნული, შეცვალეთ ბოლო წინადადებაში სიტყვა „ამერიკის“ სიტყვით „საქართველოს“ და ჩემი სათქმელიც ეგ იქნება (იმედია, ბილ გეიტსი არ მიწყენს!). შეიძლება შემომედავოთ – სად ჩვენ და სად ამერიკაო? გიპასუხებთ: ამერიკას თავისი ეკონომიკური რენომეს შესანარჩუნებლად სხვა უამრავი ბერკეტიც აქვს. ჩვენ კი, „მზის ქვეშ ადგილის“ დასაკავებლად რომ მივილტვით, რა შეგვიძლია გავიტანოთ „მსოფლიო ბაზარზე?“ – მხოლოდ ინტელექტუალური პროდუქცია, ცოდნა. სახელდახელოდ გადავხედე ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა სიას. 2000 – 2005 წლებში ფაკულტეტი წარჩინებით 64-მა სტუდენტმა დაამთავრა, მათგან 39 დღეს საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებში და კვლევით ცენტრებში მუშაობს, რამდენიმე მათგანი კი დღევანდელი ფიზიკის მექაში – ცერნში. მაშ, არის მოთხოვნა ჩვენს „პროდუქციაზე“! აუცილებელია ამ პოზიციების შენარჩუნება-განმტკიცება. პირველი რიგის ამოცანად მიმაჩნია უნივერსიტეტსა და სკოლას შორის კავშირის აღდგენა. გავიხსენოთ მოძრაობა „თბილისის უნივერსიტეტი –სკოლას“, რომელმაც ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა, განსაკუთრებით რეგიონებში. სულ ახლახან ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ძალისხმევით გაიხსნა „საბავშვო უნივერსიტეტი“. თბილისისა და რუსთავის საშუალო სკოლების მოსწავლეებს საშუალება აქვთ კვირაში ერთხელ მოისმინონ ლექციები, ლაბორატორიებში ნახონ და თავადაც ჩაატარონ საინტერესო ექსპერიმენტები. ოპტიმიზმის საბაბს მაძლევს რექტორის დაინტერესება და მხარდაჭერა, ასევე, მოსწავლეთა დიდი ენთუზიაზმი. დასაწყისი კარგია და მჯერა, რომ უნივერსიტეტი ღირსეულად გაართმევს თავს მის წინაშე მდგარ ამოცანებს.

იური პაპავა
ზოგადი ფიზიკის ლაბორატორიის გამგე

სიახლე

თსუ-ში „ნორჩ ფიზიკოსთა სკოლის“ პრეზენტაცია გაიმართა

შურთხია გეროშვილი

22 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში „ნორჩ ფიზიკოსთა სკოლის“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელზეც თბილისის და რუსთავის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მოისმინეს პროფესორ იური პაპავას საჯარო ლექცია თემაზე: — „წესრიგი და უწესრიგობა ბუნებაში“.

როგორც უნივერსიტეტის რექტორმა და პროფესორ-მასწავლებლებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, საბავშვო უნივერსიტეტი სკოლის მოსწავლეების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვას და მათი სასწავლო და კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. საბავშვო უნივერსიტეტის პირველ ნაკადში ის კატეგორია მოხვდა, რომელიც ყველაზე მეტად საბუნებისმეტყველო დარგებით არის დაინტერესებული.

მონაწილეებს უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა მიესალმა და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„დარწმუნებული ვარ, თქვენს შორის ბევრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომავალი სტუდენტია და, აქედან გამომდინარე, ჩვენი პასუხისმგებლობა ორმაგდება. თქვენი ინტერესი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ დასაფასებელია. ამ კედლებში ძალიან ბევრი ცნობილი ფიზიკოსი მოღვაწეობდა და ახლაც მოღვაწეობს, ეს ტრადიცია არ უნდა დაიკარგოს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა უნივერსიტეტის პროფესურას, რომლებიც ძალას და ენერგიას არ იშურებენ თქვენთვის მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად.

პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია, მისი განხორციელების წინაპირობა, პირველ რიგში, თქვენი ინტერესი და მონდომებაა. თქვენი წარმატება ქართული სახელმწიფოს უკეთეს პერსპექტივას ნიშნავს“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

მისი ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში უნივერსიტეტში ახალი, პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებაც იგეგმება, რაც ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სკოლის მოსწავლეებს შორის კონტაქტის გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა რამაზ ბოჭორიშვილმა მოსწავლეებს თანადგომა აღუთქვა და უნივერსიტეტში არსებული პირობები გააცნო.

„ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა ფიზიკით დაინტერესებულ ახალგაზრდებთან შეხვედრა. პირობას გაძლევთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გექნებათ ისეთი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სრულად გამოყენების საშუალება, როგორიც საქართველოში არსებულ არც ერთ სხვა სკოლას არ გააჩნია. ლექციებს კი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები წაგიკითხავენ“, — აღნიშნა რამაზ ბოჭორიშვილმა.

მისი ინფორმაციით, ამ პროექტზე მუშაობაში სტუდენტებიც აქტიურად არიან ჩართულნი და ისინი შემდგომშიც გააგრძელებენ სკოლის მოსწავლეებთან ურთიერთანამშრომლობას.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილემ კახაბერ თავზარაშვილმა აღნიშნა, რომ მომავალში საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში ამ ტიპის სკოლების შექმნა სხვადასხვა მიმართულებებზეც იგეგმება.

„უახლოეს მომავალში ეს პროექტი განხორციელდება ბიოლოგიის და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებებზეც. ამავე დროს, მოსწავლეებს საშუალება ექნებათ — კვირაში ერთხელ მოისმინონ საჯარო ლექციები, რომლებსაც ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორები წაიკითხავენ, ასევე ჩაატარებენ ლაბორატორიულ კვლევებს, საინტერესო მასალების მოსაძიებლად გამოიყენებენ უნივერსიტეტში არსებულ კომპიუტერულ რესურსცენტრს“, — აღნიშნა კახაბერ თავზარაშვილმა.

მისი თქმით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით მომავალში საბავშვო უნივერსიტეტი უფრო ფართო მასშტაბებს შეიძენს. მოსწავლეების მხრიდან დაინტერესება დიდია. არის იდეა, რომ საბავშვო უნივერსიტეტს თავისი ადმინისტრაციაც ჰყავდეს, რომელშიც სკოლის მოსწავლეებიც იქნებიან.

„მომავლის გეგმები იმედს გვაძლევს, რომ საბუნებისმეტყველო დარგების აღორძინება სასიკეთოდ წაადგება ქვეყანას“, — აღინიშნა „ნორჩ ფიზიკოსთა სკოლის“ პრეზენტაციაზე.

დასაქმების ფორუმი თსუ-ში

27 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და „საქართველოს საკარიერო სერვისმა“ „სამშობლოში დაბრუნებული პროფესიული კადრების პროგრამის“ ფარგლებში დასაქმების ფორუმი გამართა, რომელზეც წარმოდგენილნი იყვნენ მსხვილი კომპანიები — „იბერია და ბიზნეს ჯგუფი“, „ალდაგი ბი-სი-აი“, „მარიოტი“, „შერატონი“, „პროკრედიტ ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „სახალხო ბანკი“, „ქართუ ბანკი“, და სარეკლამო კომპანია „სარკე“. ფორუმს დაესწრნენ გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები და ადგილობრივი ექსპერტები.

შურთხია ბეროშვილი

როგორც „საქართველოს საკარიერო სერვისის“ კონსულტანტმა ირმა წერეთელმა განაცხადა, ფორუმში მონაწილეობას იღებენ „სამშობლოში დაბრუნებული კადრების პროგრამის“ აპლიკანტები და თსუ უნივერსიტეტის სტუდენტები. მისი ინფორმაციით, ფორუმის ფარგლებში ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ პირადად შეხვდნენ და გაესაუბრონ დამსაქმებლებს.

აღნიშნული პროგრამა იმ პროფესიული კადრების მხარდაჭერასა და დახმარებას ითვალისწინებს, რომელთაც განათლება გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს.

ამჟამად გერმანიის წამყვან უნივერსიტეტებში (მიუნხენის, ბერლინის, დუისბურგის, ესენის, ფრაიბურგის, აუგსბურგის) 3300 ქართველი სტუდენტი სხვადასხვა სპეციალობას ეუფლება. ირმა წერეთლის ინფორმაციით, სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდა კადრები ფლობენ საერთაშორისო დიპლომებს და საერთაშორისო საგნობრივ ნოუჰაუს, მათ შესწევთ ძალა, თავისი წვლილი შეიტანონ ქვეყნის მნიშვნელოვანი სტრუქტურების განვითარებაში.

როგორც ფორუმზე აღინიშნა, საქართველოში ძირითადი მოთხოვნა კადრებზე მოდის შემდეგ სფეროებზე: ბანკებზე, სასტუმროებზე (რომელშიც შედის სერვისი და ტურიზმი), ოფისმენეჯმენტზე, ბუღალტერიაზე და ა.შ. ახალგაზრდებს დასაქმებას სთავაზობენ გერმანული და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

პრეზენტაციაზე სტუდენტები გაეცვნენ კომპანიების მიერ წამოყენებულ პირობებს და განაცხადები შეავსეს.

„სახალხო ბანკის“ სტუდენტური სესხების მენეჯერის ბექა ავალიანის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების პროგრამის ფარგლებში ბანკმა მრავალი ადამიანი დაასაქმა, ვაკანსიები სტუდენტებისთვის მაინც გამოიძებნება. მისი თქმით, უპირატესობა იმ ახალგაზრდებს მიენიჭებათ, ვისაც ეკონომიკური განათლება აქვთ მიღებული.

კომპანიების წარმომადგენელთა განცხადებით, შეიქმნება კანდიდატთა ბაზა, რომლის მიხედვით მოხდება კადრების შერჩევა. მათი ინფორმაციით, ქვეყანაში ბანკების ფილიალების რაოდენობა დღითი დღე იზრდება და მათ მოტივირებული ახალგაზრდები ესაჭიროებათ.

„დასაქმების ფორუმის მიზანია, როგორც აპლიკანტების, ასევე უნივერსიტეტის მაგისტრანტების დასაქმება, რადგანაც უნივერსიტეტი ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციაა. პროგრამას უშუალოდ გერმანიის მთავრობა აფინანსებს და, ძირითადად, იმ ახალგაზრდების დასაქმებას ითვალისწინებს, ვინც გერმანული დიპლომებით უკან ბრუნდება. ჩვენ, ასევე, ვავრცელებთ პროგრამას უნივერსიტეტის სტუდენტებზე და მაგისტრანტებზეც, მათ აქვთ შანსი პირადად გაესაუბრონ, შეხვდნენ დამსაქმებლებს და გააცნონ თავიანთი შესაძლებლობები.

უმოკლეს ვადაში მეორე გერმანული პროგრამაც გაიხსნება, რომელიც უშუალოდ უნივერსიტეტის სტუდენტებზე იქნება ორიენტირებული.

ამჟამად სამშობლოში დაბრუნებული სტუდენტებიდან, დაახლოებით, სამოცამდე სტუდენტია დარეგისტრირებული. მაგრამ ეს არ არის ზუსტი ციფრი, რადგან ჩვენ რეკომენდაციას მხოლოდ მაღალკვალიფიცირებულ კადრებს ვუწევთ. პროგრამის მიზანია, რომ მათ შევუქმნათ ისეთი პირობები, რასაც ხშირად სახელმწიფო ვერ სთავაზობთ. მათ, ასევე, უფასოდ ჩაუტარდებათ ტრენინგები, სემინარები.

დასაქმების დროს უპირატესობა ექნებათ გერმანიის სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, რადგან პროგრამას გერმანიის ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის სამინისტრო აფინანსებს, თუმცა ბოლოს მაინც დამსაქმებელი წყვეტს, ვის მიანიჭოს უპირატესობა. ჩვენც, პირველ რიგში, იმ ახალგაზრდებს ვუწევთ რეკომენდაციებს, ვინც გემანიიდან იქაური დიპლომით ბრუნდება“, — განაცხადა ირმა წერეთელმა.

„სამშობლოში დაბრუნებული პროფესიული კადრების პროგრამის“ ფორუმის მონაწილეებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა მიესალმა. მან თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა გერმანიის მთავრობას, „საქართველოს საკარიერო სერვისს“ და საქართველოში არსებული კომპანიების წარმომადგენლებს. მისი თქმით, უნივერსიტეტსა და ბიზნესექტორს შორის კავშირი დღითი დღე ინტენსიური ხდება, ეს კი სტიმულია სტუდენტებისთვის და საინტერესო — დამსაქმებლისთვის. ასეთი სახის პარტნიორული ურთიერთობა საერთო საქმეს წაადგება.

გიორგი ხუბუას თქმით, ამ პროექტით ბევრი მაღალკვალიფიცირებული კადრი კვლავ სამშობლოს დაუბრუნდება.

პროექტის — „საგადასახადო რეფორმა და ფისკალური პასუხისმგებლობა: საფინანსო და სოციალური პოლიტიკის შემდგომი სრულყოფის გზები საქართველოში“ შედეგები

გერმანელი მეცნიერების ჯგუფისა და თსუ-ის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის თანამშრომელთა ერთობლივი პროექტი "საგადასახადო რეფორმა და ფისკალური პასუხისმგებლობა: საფინანსო და სოციალური პოლიტიკის შემდგომი სრულყოფის გ ზები საქართველოში", რომლის საქართველოში განხორციელებასაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა გააჩნია, მიმდინარე წლის დასაწყისში დასრულდა.

ხათუნა ხატიაშვილი

28 თებერვალს უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში პროექტის საბოლოო შედეგების პრეზენტაცია გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იქნა ის ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მიღწევები, რაც ხელს შეუწყობს ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა საერთაშორისო დონეზე განავითარონ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნული პროექტის განხორციელება 2005 წლის სექტემბერში გერმანელ მეცნიერთა ჯგუფმა ქართველ კოლეგებთან ერთად იდეის ავტორის, თსუ-ის პროფესორის სიმონ გელაშვილის განაცხადის საფუძველზე დაიწყო, რომელიც 2001 წლიდან გერმანიის პოტსდამის უნივერსიტეტთან თანამშრომლობს.

ფოლკსვაგენის ფონდის დაფინანსებულ პროექტში გერმანიის მხრიდან ჩართული იყო: ბერლინის, ჰაიდელბერგის, ჰამბურგის, პოტსდამის უნივერსიტეტები და გერმანიის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტი; საქართველოს მხრიდან კი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის და ეკონომიკური სტატისტიკის კათედრები.

პროფესორ სიმონ გელაშვილის განცხადებით, უნივერსიტეტის არსებობის ისტორიის განმავლობაში, ეს კვლევითი პროექტი იყო პირველი, გერმანელ და ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა ერთობლივი თანამშრომლობის სფეროში, რომელიც მოიცავდა ძირითად მიმართულებებს: მეცნიერებისა და ცოდნის ტრანსფერი; საგადასახადო პოლიტიკა; სოციალური პოლიტიკა და სიღარიბე; საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა; ფინანსური ურთიერთობები ცენტრსა და რეგიონებს შორის; ფინანსური პროცესების მოდელირება და პროგნოზირება. როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, მისი განხორციელება უპირველესად სასარგებლო თავად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისთვის აღმოჩნდა.

პროექტის განხორციელების პროცესში, ჯერ კიდევ 2005 წლის ოქტომბერში ფაკულტეტზე შემოიტანეს ახალი კომპიუტერული ტექნიკა, აგრეთვე გარკვეული რაოდენობის სპეციალური ლიტერატურა გერმანულ და ინგლისურ ენებზე; განხორციელდა ცოდნისა და გამოცდილების ტრანსფერი გერმანიიდან საქართველოში პროექტის პრობლემატიკაზე; 2005-2007 წლებში გაიმართა ერთობლივი კონფერენციები და სემინარები თბილისსა და ბათუმში; გაფართოვდა მეცნიერული კონტაქტები საქართველოს სხვადასხვა ორგანიზაციებთან; ბოლო 3 წელიწადში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2 სტუდენტი (გერმანიის მხარის დაფინანსებით) ყოველწლიურად ერთი თვის განმავლობაში სწავლობდა პოტსდამის უნივერსიტეტის საზაფხულო აკადემიაში. კვლევით პროექტში მონაწილე აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობა მიეცა გერმანიაში გამოექვეყნებინა სამეცნიერო სტატიები (უფასოდ).

გერმანელმა კოლეგებმა პროექტის ფარგლებში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს გადასცეს 23 დასახელების თანამედროვე სპეციალური ლიტერატურა ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

პროექტის ხელმძღვანელის, პროფესორ ჰანს-გეორგ პეტერსენის განმარტებით, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფთან ერთად ინტენსიურად მუშაობს პოტსდამის უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის პარტნიორული ურთიერთობის დასამყარებლად.

სწორედ ამ მიზნით, მიმდინარე წლის ივნისში, თბილისში ჩამოვა პოტსდამის უნივერსიტეტის რექტორი, ქალბატონი საბინე კუნსტი, რომლის ვიზიტის ფარგლებშიც გაფორმდება თანამშრომლობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება, რომ თითოეულმა ფაკულტეტმა და კათედრამ უშუალო ორმხრივი კავშირი დაამყაროს პოტსდამის უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან.

პროექტის "საგადასახადო რეფორმა და ფისკალური პასუხისმგებლობა: საფინანსო და სოციალური პოლიტიკის შემდგომი სრულყოფის გზები საქართველოში“ შედეგების პრეზენტაციაში, მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიიღეს და მიღებული შედეგები დადებითად შეაფასეს საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა თემურ მურღულიამ, თსუ-ის ფინანსთა და საბანკო საქმის, ეკონომიკური სტატისტიკის კათედრების თანამშრომლებმა, საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინანსთა, ეკონომიკის განვითარების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების წარმომადგენლებმა.

ბლიცი

კარგი სტუდენტი უმუშევარი არ რჩება

უკანასკნელ ხანს ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე არაერთი რეფორმა განხორციელდა, მრავალი ინიციატივა თუ სიახლე დაინერგა. ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ჯამლეტ ჯანჯღავა აცხადებს, რომ მათი ფაკულტეტის ყველა კარგი სტუდენტი დღეს სათანადოდ არის დაფასებული და რომ უმუშევარი არავინ რჩება.

მაკა ლდოკონენი

„სამწუხაროდ, დღეს, საქართველოში მუსირებს აზრი, რომ ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებული ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნებს და არ არის სათანადო დონეზე მომზადებული კადრი. მინდა მოვახსენო ჩვენს საზოგადოებას, რომ ეს მცდარი შეხედულებაა. სტატისტიკას გადავხედე, საკუთარი ინიციატივით კვლევაც კი ჩავატარე, საქართველოში მოქმედ 14 ბანკს დავუკავშირდი და აღმოვაჩინე, რომ მეოთხეკურსელი 300 სტუდენტი უკვე დასაქმებულია“, — განაცხადა ბატონმა ჯამლეტმა.

პირველ სემესტრში ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტმა ეროვნულ ბანკთან ერთად სამეცნიერო კონფერენცია გამართა, რის შედეგადაც ბანკში სტუდენტთა ერთი ნაწილი სტაჟიორად დაიტოვეს, ხუთი მათგანი კი სამუშაოდ.

ფაკულტეტის მიზანია, უნივერსიტეტი კავკასიის რეგიონში მოწინავე უნივერსიტეტად წარმოაჩინოს. რაც შეეხება პროფესურას, ისინი მაღალ შეფასებებს იმსახურებენ უცხოელი კოლეგებისგან. მიმდინარეობს მათი აქტიური გადამზადებაც, რათა უახლოეს მომავალში ლექციების ჩატარება ელიტარული პროგრამის სტუდენტებისთვისაც შეძლონ.

ელიტარული პროგრამები ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ერთერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ფაკულტეტის პირველ კურსზე შეირჩა უცხო ენასა და მათემატიკაში ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე 77 სტუდენტი, რომლებიც ამჟამად განსხვავებული პროგრამით სწავლობენ – ქართულ ენაზე ისმენენ ლექციებს, სემინარები კი ინგლისურ ენაზე უტარდებათ. ფაკულტეტს პედაგოგების შერჩევის კუთხით დახმარება ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ გაუწია. ყოველი სემესტრის ბოლოს დაბალი რეიტინგის მქონე 15 სტუდენტი ჩვეულებრივ პროგრამას დაუბრუნდება, ხოლო საუკეთესოებს საშუალება ექნებათ — ელიტარული პროგრამით განაგრძონ სწავლა. ბატონი ჯამლეტი თვლის, რომ ელიტარული პროგრამის სტუდენტების მომზადების დონე ამჟამად დამაკმაყოფილებელია.

საქართველო-ყაზახეთს შორის სასწავლო-სამეცნიერო ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და ასტანის გუმილიოვის სახელობის ევრაზიის უნივერსიტეტებს შორის პარტნიორული ურთიერთობის დასამყარებლად მზადება იწყება.

საქართველო-ყაზახეთის საგანმანათლებლო-სამეცნიერო კუთხით ურთიერთობის გაღრმავების ინიციატივა ყაზახეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ეკუთვნის. მოსალოდნელია, რომ მისი აქტიურობის შედეგად, ორი ქვეყნის პირველ უნივერსიტეტებს შორის პარტნიორული თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება ახლო მომავლის პერსპექტივად იქცეს.

ხათუნა ხატიაშვილი

20 თებერვალს დავით სარაჯიშვილის სახელობის აუდიტორიაში თსუ-ის წარმომადგენლობასა და საქართველოში ყაზახეთის რესპუბლიკის დროებით რწმუნებულ იგორ მუსალიმოვს შორის პირველი გაცნობითი სახის შეხვედრა გაიმართა, რომელსაც აკადემიურ პერსონალთან ერთად დაინტერესებული სტუდენტების ნაწილიც დაესწრო.

თსუ-ის იურიდიული და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტებმა ყაზახეთის სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებთან დაკავშირებული ინფორმაციისა და შესაბამისი ლიტერატურის გარდა, მიიღეს დაპირება, რომ ამიერიდან, თანამშრომლობის მიზნით, ყაზახეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის კარი თსუ-სთვის ყველა მიმართულებით გაიხსნება.

როგორც იგორ მუსალიმოვმა დამსწრე აუდიტორიის წინაშე განაცხადა, აზიის კონტინენტის შემადგენელი 2 მილიონ 700 ათასი კვ. კილომეტრის ფართობისა და 15 მილიონიანი მოსახლეობის ქვეყანა, რომელსაც უმსხვილესი ეკონომიკური კაპიტალი გააჩნია, თავად არის დაინტერესებული, რომ ყაზახეთის აწმყო და განვითარების სამომავლო პერსპექტივები მსოფლიოს ევროპულ ნაწილს სრულფასოვნად გააცნოს. ასტანისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ წინადადება კი, ყაზახეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის წინაშე პროფესორმა გუგული მაღრაძემ დასვა და ყაზახეთის რწმუნებულისგან მიიღო თანხმობა, რომ ამ მიმართულებით კონსულტაციები ასტანის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან მალე დაიწყება.

პროფესორს მიაჩნია, რომ მთელი ევრაზია საქართველოსთვის პერსპექტიული რეგიონი, თავად ყაზახეთი კი, მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყანაა, რომელიც საქართველოში ინვესტიციებს ახორციელებს. იქიდან გამომდინარე, რომ ყაზახეთისთვის საქართველოს ევროპის ბაზარზე გასასვლელად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მისი მხრიდან კავკასიის რეგიონის ქვეყნებით დაინტერესება ბუნებრივია.

„სოციალისტურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ჩვენ და ყაზახეთს საერთო ფესვები გვაქვს. ამიტომ ამ ქვეყნის შესახებ სტუდენტებმა ბევრი რამ უნდა იცოდნენ. ნელ-ნელა უნივერსიტეტში უნდა ჩამოყალიბდეს ანალიტიკური ცენტრი, რომელსაც შეეძლება ჰყავდეს იმ დონის სპეციალისტები, რომლებიც მოამზადებენ ანალიზს და გასცემენ რეკომენდაციებს კონკრეტული ქვეყნების, მათ შორის, ყაზახეთის სახელმწიფო უწყებებისთვის“, — აღნიშნა გუგული მაღრაძემ. მისი აზრით, ევრაზიის რეგიონის ანალიტიკოსი სპეციალისტების მოსამზადებლად საჭიროა თანამშრომლობის ნიადაგის მომზადება, რათა მოხერხდეს თსუ-ის მაგისტრი სტუდენტების გაგზავნა ყაზახეთის შესაბამის სასწავლო-სამეცნიერო და სახელმწიფო დაწესებულებებში.

საქართველო-ყაზახეთს შორის სასწავლო-სამეცნიერო ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივას მნიშვნელოვან მოვლენად აფასებს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ბელქანია, რომელსაც მიაჩნია, რომ პოლიტოლოგიის კუთხით ურთიერთობას მხოლოდ დადებითი შედეგები მოჰყვება. მისი თქმით, ყაზახეთის დიპლომატიური წარმომადგენელი თავდაპირველად სწორედ ამ კონკრეტული ფაკულტეტით დაინტერესდა, მოგვიანებით კი, თანამშრომლობის სურვილი მთლიანად უნივერსიტეტთან გაუჩნდა.

„ქვეყანაში სპეციალისტები ყველა მიმართულებით უნდა არსებობდნენ. ჩვენ ევროპაზე პოლიტიკურად ვართ ორიენტირებული, ყაზახეთი კი, საქართველოში ინვესტიციებს ახორციელებს. ევროპისა და ამერიკისგან განსხვავებით, საერთო წარსული და მონათესავე მენტალიტეტი გვაქვს. ყაზახეთი ცდილობს საკუთარი კულტურა, ეკონომიკა გააცნოს სხვებს და ამით მეტად საინტერესო პოლიტიკას ეწევა. ყაზახეთი ეუთოს პრეზიდენტობისთვის ემზადება და მისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი განვითარების პრიორიტეტების ფართოდ წარმოჩენა“, — აღნიშნა ნოდარ ბელქანიამ.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, მსგავსი ფორმატის შეხვედრები დაინტერესებულ სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან პერმანენტულ სახეს მიიღებს. ყაზახეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის ინიციატივა როგორც მთელ ქვეყანას, ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი პერსპექტივების გზას უხსნის. ევრაზიის რეგიონის უკეთ გაცნობა და მასთან მჭიდრო კონტაქტი მიმზიდველია, როგორც საინვესტიციო, ისე სამეცნიერო კუთხით. სამომავლო პერსპექტივაში თბილისისა და ასტანის სახელმწიფო უნივერსიტეტები ერთობლივად მოამზადებენ გაცვლით პროგრამებს, გახსნიან საზაფხულო სკოლებს, მანამდე კი, სამეცნიერო კონფერენცია გაიმართება, სადაც დაინტერესებული აუდიტორია ყაზახეთის წარსულსა და აწმყოსთან ერთად, მსოფლიოში მის სამომავლო ადგილსაც უკეთ გაიცნობს.

თსუ-სა და კიბერნეტიკის ინსტიტუტს შორის მემორანდუმი გაფორმდა

27 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კიბერნეტიკის ინსტიტუტს შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ორმხრივ თანამშრომლობას ითვალისწინებს.

ხათუნა ხატიაშვილი

თსუ-ის რექტორ გიორგი ხუბუასა და კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორ თამაზ სულაბერიძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის მიხედვით, ერთობლივად უნდა დამყარდეს მრავალმხრივი ურთიერთობები მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან, რათა შესაძლებელი გახდეს ერთობლივი კვლევებისა და სამეცნიერო პროექტების განხორციელება.

საუნივერსიტეტო რესურსის ფარგლებში ინსტიტუტი საბაზო სამეცნიერო დაწესებულების როლს შეასრულებს და კოლაბორაციულ მხარდაჭერას გაუწევს თსუ-ის კიბერნეტიკის მიმართულებებით ბაკალავრი და მაგისტრი სტუდენტების მომზადებას, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამას შესაბამისი სამეცნიერო ბაზითა და ხელმძღვანელებით. უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორებს მიეცემათ საშუალება, ისარგებლონ კიბერნეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკით.

როგორც თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ კიბერნეტიკის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან საუბრისას განაცხადა, ორმხრივი რესურსების გაერთიანება მისასალმებელი ფაქტია, თუმცა მისი განხორციელება რთულია, რადგან ყველა სახის პოტენციალი მაქსიმალურად უნდა მოხმარდეს სწავლებისა და კვლევის თანამედროვე პროცესში სტუდენტური კონტინგენტის ჩართვას.

კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორის თამაზ სულაბერიძის განცხადებით, სამეცნიერო საქმიანობის თვალსაზრისით, აღნიშნულ ინსტიტუტს უნიკალური ბაზა გააჩნია, თუმცა დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ხშირად კვლევისა და სასწავლო პროგრამების განხორციელება დაინტერესებული სტუდენტების ნაკლებობას განიცდის.

ორმხრივი ვალდებულებებისა და პოტენციური შესაძლებლობის ფარგლებში საინტერესო პროგრამების სათანადოდ მომზადება- რეალიზების იმედი გამოთქვა თსუ-ის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა რამაზ ბოჭორიშვილმაც.

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის გაფორმებისას ითქვა, რომ ანალოგიური სახის პარტნიორული თანამშრომლობა კიბერნეტიკის ინსტიტუტს ქვეყანაში მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებს შორის მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან აქვს გაფორმებული.

„ინგლისური წიგნი საქართველოში“ საგანმანათლებლო თანამშრომლობას იწყებს

22 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“ შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც საქართველოსა და დასავლურ სამყაროს შორის ურთიერთობების განმტკიცებას, განვითარებას, საგანმანათლებლო თანამშრომლობასა და ახალგაზრდა თაობის განათლების სრულყოფას შეუწყობს ხელს.

მაკა ლდოკონენი

"The English Book Distribution Company, Ltd, Nottigham" არის ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობის ექსკლუზიური შვილობილი კომპანია საქართველოში. მისი წარმომადგენელი ლისა ბრაუნი თსუ-ის რექტორს გიორგი ხუბუას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გულნაზ გალდავას და ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანს დარეჯან თვალთვაძეს შეხვდა. საუბარში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მემორანდუმის მიზანია თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებთან თანამშრომლობა ინგლისური ენის ხარისხიანი სწავლების უზრუნველსაყოფად, ინგლისური ენის სწავლების ექსპერტიზა, თსუ-ის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ხარისხიანი სწავლების საშუალების ხელმისაწვდომობა, ამ თვალსაზრისით მათი სათანადოდ მომზადების უზრუნველყოფა, აგრეთვე ახალი სასწავლო გეგმებისა და შესაბამისი სასწავლო მეთოდოლოგიის დანერგვა შერჩეულ საბაზისო დაწყებით სკოლებში.

კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“ მისთვის გამოყოფილი ფართის მოდერნიზაციას გეგმავს. სავარაუდოდ, იგი თსუ-ის მეოთხე კორპუსში დაიდებს ბინას. ლისა ბრაუნი თვლის, რომ თსუ-ის გამომცემლობასთან სიახლოვე ხელს შეუწყობს მომავალში ერთობლივი გამოცემებისა და თარგმანების განხორციელებას.

„მჭიდრო ურთიერთობები გვაქვს ევროპის უნივერსიტეტებთან. ჩვენი ორგანიზაცია დასახელდა როგორც ექსპერტი ინგლისური ენის სწავლებაში ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებში, სლოვენიასა და საფრანგეთში. „ინგლისური წიგნი საქართველოში“ ტრენერებს თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლების თანამედროვე სასწავლო მეთოდოლოგიით მომზადების მიზნითაც მოავლენს, უზრუნველყოფს უნივერსიტეტს შესაბამისი სახელმძღვანელოებით და დამხმარე მასალებით, შეღავათიან ტარიფებში დავნერგავთ სტუდენტურ საკრედიტო ბარათებს“, — აღნიშნა ლისა ბრაუნმა.

მაღაზიაში გასაყიდი თუ გამოსაწერი წიგნების სიაში წარმოდგენილია სამეცნიერო ლექსიკონები, სახელმძღვანელოები, მეთოდური წიგნები, აკადემიური გამოცემები: ლინგვისტიკაში, მეთოდიკაში, სოციოლინგვისტიკაში, ტექსტის ლინგვისტიკაში. აღნიშნული წიგნები არა მხოლოდ ინგლისური ენის ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებს, არამედ პროფესორებსაც გამოადგებათ. თსუ-ის რამდენიმე ფაკულტეტი უკვე მომარაგდა კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“ მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელოებით.

თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გულნაზ გალდავას მიაჩნია, რომ კომპანიამ მისთვის გამოყოფილი ფართი მხოლოდ წიგნების რეალიზაციისთვის როდი უნდა გამოიყენოს — მათ უნდა ჩამოაყალიბონ ისეთი გარემო, სადაც მოეწყობა წიგნების პრეზენტაცია, გაიმართება ავტორებთან შეხვედრები იმის გათვალისწინებით, რომ დღეს დღეობით საქართველოში ლიტერატურული კაფეები ეფექტურად მუშაობენ.

„ჩვენ ჩამოვაყალიბებთ საგანმანათლებლო-კულტურულ ცენტრს და აუცილებლად გავითვალისწინებთ თქვენს შემოთავაზებებს, სურვილებს... უნივერსიტეტს არა მხოლოდ სახელმძღვანელოებით მოვამარაგებთ, არამედ მოვაწყობთ ფილმების ჩვენებას, საფუძველს ჩავუყრით ახალ პროექტებს. მოხარული ვარ, რომ თქვენი უნივერსიტეტი და რექტორი, ბატონი გიორგი ხუბუა ჩვენთან თანამშრომლობისთვის მზად არიან. მოგეხსენებათ, რომ სამოქალაქო საზოგადოების შენება და ევროკავშირთან ინტეგრირება თქვენი ქვეყნისა და ხელისუფლების სტრატეგიული პრიორიტეტია“, - განაცხადა დასასრულს ქალბატონმა ლისა ბრაუნმა.

უმცირესობასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს უმრავლესობაზე

თსუ-ში წიგნის – „სოციალური გავლენების ფსიქოლოგია“ პრეზენტაცია გაიმართა

19 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ გუგული მაღრაძის წიგნის — „სოციალური გავლენების ფსიქოლოგია“ პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნის მეცნიერ-რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი. იგი შედგება სამი თავისაგან: „უშუალო სოციალური გავლენის ინტერაქციული მოდელი“, „უმრავლესობისა და უმცირესობის გავლენის ექსპერიმენტული კვლევა“ და „უმცირესობისა და უმრავლესობის გავლენა და განწყობის თეორია“.

მაია ტორაძე

რედაქტორის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ გუგული მაღრაძის წიგნი ეხმიანება დღევანდელობის აქტუალურ პრობლემებს. მასში განხილულია სოციალური გავლენის ფენომენი, როგორც ადამიანის და საზოგადოების ურთიერთობის საფუძველმდებარე პროცესი. ეს არის მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში ერთერთი პირველი თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომელიც ასაბუთებს, რომ სოციალური გავლენის პროცესში უმცირესობასაც აქვს გავლენის ძალა და ამით სრულიად ახლებურად წარმოაჩენს სოციალური გავლენის ფენომენის შინაარსს. „ნიშანდობლივია, რომ წარმოდგენილი ნაშრომი ეყრდნობა რა ავტორის მიერ წლების განმავლობაში ჩატარებულ ექსპერიმენტულ და თეორიულ კვლევებს, ქვეყნდება დღეს, როცა ქართული საზოგადოების წინაშე სწორედ ასეთი გამოწვევები დგას.... დემოკრატიული საზოგადოების აშენება რთული პროცესია, მას ხალხის და ხელისუფლების პოლიტიკურ ნებასთან ერთად სჭირდება სათანადო ცოდნა. ვფიქრობ, გუგული მაღრაძის წიგნი — „სოციალური გავლენების ფსიქოლოგია“ ხელს შეუწყობს საქართველოსთვის უაღრესად საჭირო დემოკრატიული პროცესების სწორად გააზრებასა და მართვას“, - აღნიშნავს ბატონი შოთა ნადირაშვილი.

ნაშრომს მაღალ მეცნიერულ შეფასებას აძლევს წიგნის რეცენზენტი, პროფესორი რევაზ ქვარცხავა. იგი მიმოიხილავს საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმებს და მიანიშნებს, რომ „ადამიანები, როგორც წესი, დარწმუნებული არიან, რომ ძირითად ფსიქიკურ პროცესებს, როგორიცაა აზრი, სურვილი და ქცევითი ტენდენცია (კოგნიცია, ემოცია და კონაცია), თვითონ აკონტროლებენ, მაგრამ ხშირად ასე არ არის. რა თქმა უნდა, ადამიანები, გარკვეულწილად, ახორციელებენ კონტროლს თავიანთ ცხოვრებისეულ მოვლენებზე, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მიუხედავად უამრავი შესაძლებლობისა, რატომღაც ადამიანები თავიანთ არჩევანში ძალიან საეჭვოდ ემსგავსებიან ერთმანეთს. ხშირად ადამიანები თავიანთი მიზნის მისაღწევად სხვებს აიძულებენ გააკეთონ ის, რაც მათ უნდათ“.

წიგნის მეცნიერულ ღირებულებად რევაზ ქვარცხავა მიიჩნევს იმას, რომ მასში დეტალურადაა განხილული და გაანალიზებული სოციალური გავლენებისადმი მიძღვნილი თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გამოკვლევა და ნაცადია ფენომენის თავისებური გააზრება. „ნაშრომის უდავო ღირსებას წარმოადგენს ის, რომ ექსპერიმენტული კვლევების საგნადაა ქცეული როგორც უმრავლესობის უმცირესობაზე, ისე უმცირესობის უმრავლესობაზე გავლენის თითქმის ყველა ნიუანსი, რამაც მოითხოვა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ორიგინალური ექსპერიმენტის ჩატარება, რაც განხორციელდა და სრულყოფილადაა ასახული ნაშრომში. მაგალითად, უმცირესობის უმრავლესობაზე გავლენის პრობლემის განხილვამ დააყენა საკითხები, რომელთა გადაწყვეტას დასჭირდა მთელი რიგი ექსპერიმენტული კვლევების ჩატარება: ქცევის რა შესაძლო ფორმები შეიძლება გამოვლინდეს სოციალური ურთიერთობის სიტუაციაში, როდესაც ჯგუფში ერთმანეთს უპირისპირდება უმცირესობა და უმრავლესობა; რა შემთხვევაში ახერხებს უმცირესობა, მოიპოვოს გავლენის მეტი ხარისხი; როგორ აფასებს უმრავლესობა უმცირესობას სხვადასხვა კრიტერიუმით; აქვს თუ არა უმცირესობას შანსი, გახდეს ლიდერი და ა.შ.“, - აღნიშნავს პროფესორი რევაზ ქვარცხავა. მისი აზრით, წიგნი პრაქტიკულად გაუწევს დახმარებას მკითხველს და მისცემს ცოდნას სოციალური სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მას სოციალურ სამყაროსთან ადეკვატურ ურთიერთობაში.

გუგული მაღრაძე: „ადამიანი მთელი ცხოვრება განიცდის სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის – ოჯახის, თანამშრომლების, მეზობლების, მეგობრების, პოლიტიკური პარტიების და ა.შ. გავლენას. აქედან გამომდინარე, ტრადიციულად ცნობილი იყო, რომ უმრავლესობა ახდენს გავლენას უმცირესობაზე. უმცირესობას რა შეუძლია? მიიღოს ან არ მიიღოს უმრავლესობის გავლენა. დღეს ეს შეხედულება შეიცვალა, რადგან აღმოჩნდა, რომ უმცირესობა არის ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს უმრავლესობაზე. თავდაპირველად მისი აზრი მიუღებელია, არ უსმენენ, არ ენდობიან, მაგრამ შემდეგ ნელნელა ხდება ამ აზრის გათვალისწინება.

იქ, სადაც ავტოკრატიული მმართველობაა, უმცირესობის აზრი იკარგება, უმრავლესობა ჩლუნგდება და მისი გადაწყვეტილებების ხარისხი დაბლა იწევს. ზოგადად, შესაძლოა, უმცირესობის მოსაზრება არ იქნას გაზიარებული, მაგრამ როცა ის თანმიმდევრულია, უმრავლესობა იწყებს თავისი მოსაზრებების და გადაწყვეტილებების გადახედვას და თავის თავს უსვამს კითხვას — რატომ არის ამ აზრზე უმცირესობა? დემოკრატიულ ქვეყნებში უმცირესობის აზრს ითვალისწინებენ, რადგან ყოველგვარი პროგრესი და ნოვაცია სწორედ უმცირესობიდან მოდის“.

წიგნში განხილულია საკითხები, თუ რა უნდა გააკეთოს უმცირესობამ, რომ უმრავლესობაზე გავლენა მოახდინოს, როგორ აიგება უმრავლესობისა და უმცირესობის ურთიერთობა, როგორ უნდა შეირჩეს უმცირესობის მოსაზრებები, რა როლი აქვს უმრავლესობისადმი დადებით და უარყოფით განწყობას კონფორმისტულ და ანტიკონფორმისტულ ქცევაში, ქცევის რა განსხვავებული სტრატეგიები არსებობს უმცირესობის გავლენისას, რა თვისობრივი სხვაობაა უმცირესობისა და უმრავლესობის გავლენებს შორის.

პროფესორ გუგული მაღრაძის წიგნის პრეზენტაციას ესწრებოდნენ მეცნიერები და პოლიტიკოსები, რომელთა აზრით, „სოციალური გავლენების ფსიქოლოგია“ ფუნდამენტური ნაშრომია, რადგან თანადროულობას ეხმიანება.

სვანური ენის უნიკალურობა წიგნში — „სვანური ენა“

თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტისა და ქართული ენის ინსტიტუტის ინიციატივით, აკადემიკოს აკაკი შანიძის 121-ე დაბადების დღეს მიეძღვნა ახალი წიგნის — „სვანური ენა“ პრეზენტაცია, რომელიც ქართველური ენების სპეციალისტების შეფასებით, ამ დარგის თანამედროვე მკვლევარებისთვის უმნიშვნელოვანესი სიახლე და მომავალი წარმატებების წინაპირობაა.

ხათუნა ხატიაშვილი

მკვლევარების გარდა, სვანური ენის შესწავლის მსურველი სტუდენტებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო გრამატიკული მიმოხილვის, ტექსტებისა და ლექსიკონისგან შედგება, რომელიც აკადემიკოს ზურაბ ჭუმბურიძის, ქართული ენის სპეციალისტების: ლელა ნიჟარაძის, რამაზ ქურდაძის ავტორობითა და საქართველოში შვეიცარიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა.

თავად მისი შემდგენლებისა და დარგის მიმდევართა თქმით, ერთერთი ქართველური ენის ფუნდამენტური კვლევებისა და უკვე მიღწეული წარმატებების ლოგიკური შედეგია ერთ წიგნად დასტამბული „სვანური ენა“, რადგან ამ დრომდე არ არსებობდა არა თუ მთლიანი გრამატიკული მიმოხილვა, არამედ სვანური ენის სასწავლო სახელმძღვანელოც კი, მიუხედავად იმისა, რომ ის თსუ-ის დაარსების პირველივე წლიდან ისწავლება.

სახელმძღვანელოს ავტორების განმარტებით, იბერიულ ენათა შორის სვანურის შესწავლა ქართულთან და მეგრულ-ლაზურთან შედარებით გვიან დაიწყო, თუმცა კვლევის სფეროში ჩაღრმავებისას მეტად სარწმუნო გახდა, რომ სვანურს დღემდე ცოცხლად შემოუნახავს არაერთი ენობრივი თავისებურება, რაც სხვა ენებში უკვე გამქრალია.

მრავალმხრივ საინტერესოა უმლაუტიან ხმოვანთა არსებობა, რომელთა ბუნების ამოხსნამაც ქართველურ ენებში ბევრ ბუნდოვან საკითხს მოჰფინა ნათელი. ასევე მნიშვნელოვანია, სვანეთში დაცული ისტორიული ძეგლების წარწერები და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები, სადაც არაერთი ლექსიკურად თუ გრამატიკულად საინტერესო ფორმაა ფიქსირებული.

„ქართველისთვის საამაყოა იმის განცდა, რომ ჩვენმა ენა-კილოებმა სასწაულებრივად გაუძლეს წარსულის ბურუსიანი გზების სიძნელეს და დღემდე შემოინახეს ისინი. რადგან ქართველი ხალხი გადარჩა და მსოფლიოს ერთიან ოჯახში დამკვიდრების შესაძლებლობა მიეცა, იმედია, მის არსებობას საფრთხე არც მომავალში დაემუქრება, თუკი ღირსეულად დავაფასებთ და შევისწავლით საკუთარ სულიერ სიმდიდრეს“, — აღნიშნა ზურაბ ჭუმბურიძემ წიგნის პრეზენტაციაზე.

21-ე საუკუნეში მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი სათანადოდ იცნობს და აფასებს იმ ფაქტს, რომ III საუკუნის I ნახევრით დათარიღებულ ძველ ბერძნულ-რომაულ წყაროებში უძველესი დამწერლობის მქონე 15 ცივილიზებული ხალხის ენათა შორის იბერიული (ქართული) ენა მოიხსენიება. ამავე წყაროებში უმწერლობო ენათა შორის ნახსენებია კოლხური (მეგრულ-ლაზური) და სვანური ენებიც.

სწორედ ენის უნიკალურობა და მის მიმართ „იდუმალებით მოცული ინტერესი“ გახდა იმის საფუძველი, რომ პროფესიით ფილოლოგი, შვეიცარიის ელჩი საქართველოში ლორენცო ამბერგი, სამეცნიერო და საგანმანათლებლო თვალსაზრისით, ამ უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელოს ფინანსური მხარდაჭერით უშუალოდ დაინტერესდა.

„დასავლელი ადამიანისთვის სვანეთი მისტიური ეგზოტიკაა, რომლის ამოცნობაც დიდი მიზიდულობის მიუხედავად, უცხოელებს არ შეუძლიათ. ყველა წიგნს თავისი ბედი აქვს, დარწმუნებული ვარ, ამ წიგნის ბედი უნივერსიტეტის მსგავსად წარმატებული იქნება“, — თქვა შვეიცარიის ელჩმა.

ქართველური ენათმეცნიერების დარგის სპეციალისტების განმარტებით, „სვანური ენის“ მიზანია — მომდევნო ახალი წიგნის გამოსაცემად იმგვარი ნიადაგი შეამზადოს, რომელსაც წინამორბედთან შედარებით, უნიკალურობაზე მეტი პრეტენზია ექნება.

ლამარა ჭყონია მკითხველს სთავაზობს მოგონებებს თავისი მეტად საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრებიდან

ახლახან საგამომცემლო-სარეკლამო კომპანია „საუნჯემ“ გამოსცა წიგნი „ცხოვრების ტალღაზე (ნაწყვეტები დღიურიდან)“, რომელშიც მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მომღერალი, საქართველოს და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, უკრაინის დამსახურებული არტისტი, საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების ლაურეატი, პროფესორი ლამარა ჭყონია მკითხველს სთავაზობს მოგონებებს თავისი მეტად საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრებიდან. ავტორი საუბრობს განვლილ დიდ შემოქმედებით გზაზე, ოჯახის წევრებსა და კოლეგებზე, მოკრძალებულად გვაცნობს თავის ქალიშვილებს, გამოჩენილ მომღერლებს, რომლებიც მისივე მოწაფეები არიან — უფროსი, ნათელა ჭყონია ცხოვრობს და მოღვაწეობს ავსტრიაში, ხოლო უმცროსი, ეთერ ჭყონია — ესპანეთში. ორივეს ვოკალისტ-პროფესიონალთა საერთაშორისო კონკურსებზე მოპოვებული აქვთ ლაურეატის წოდებები და საერთაშორისო პრემიები. წიგნში შესულია ლამარა ჭყონიას მეუღლის, მორის ლეკიაშვილის საინტერესო მოგონებებიც. წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისთვის.

კონფერენცია

სამეცნიერო კონფერენცია ქართული ონომასტიკის საკითხების განხილვას მიეძღვნა

27 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართული ონომასტიკის სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, რომელიც პროფესორ ფარნაოზ ერთელიშვილის დაბადების 85 წლისთავს მიეძღვნა.

შურთხია გეროშვილი

სამეცნიერო კონფერენცია ქართული ონომასტიკის საკითხების განხილვას მიეძღვნა, სადაც ასევე გაიმართა 2007 წელს ონომასტიკის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ გამოცემული წიგნების: „ქართველური ონომასტიკა“, „მცხეთის რაიონის ტოპონიმია“ (ავტორი — სერგო მელიქიძე), „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, ზუგდიდის რაიონი“ (ავტორი — პაატა ცხადაია), „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, ხობის რაიონი“ (ავტორი — პაატა ცხადაია) პრეზენტაცია.

თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორის პაატა ცხადაიას ინფორმაციით, უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრი და ტოპონიმიკის ლაბორატორია ჯერ კიდევ 1969 წელს შეიქმნა, რომლის ძირითად მიზანს საქართველოს მთელი ტერიტორიის გეგმაზომიერი აღწერა, რეგიონების მიხედვით ლექსიკონების გამოცემა და კვლევა-ძიება წარმოადგენდა. ამ საქმეში მთავარი როლი პროფესორმა ფარნაოზ ერთელიშვილმა შეასრულა, რომელიც ახალგაზრდა, ორმოცდახუთი წლის ასაკში გარდაიცვალა. მოგვიანებით, ონომასტიკის სამეცნიერო კვლევით ცენტრს დამაარსებლის სახელი მიენიჭა. მას შემდეგ, ყოველწლიურად, მის დაბადების დღეს, 27 თებერვალს ლაბორატორია სამეცნიერო სესიას მართავს.

„არსებობის მანძილზე ცენტრმა საქართველოს ტერიტორიის ორი მესამედი აღწერა, რაც 3000 ტოპონიმიკური ერთეულით გამოიხატა, გამოიცა რვა სამეცნიერო კრებული, მონოგრაფიები, ტოპონიმთა რეგიონული ლექსიკონები, აგრეთვე ორი სახელმძღვანელო. სამწუხაროდ, 2007 წელს წარდგენილმა საგრანტო პროექტმა — „ქართული ტოპონიმიკა“ დაფინანსება ვერ მოიპოვა, რადგან იგი ინგლისურენოვანმა ექსპერტმა დაიწუნა და დაბალი შეფასება მისცა“, — აღნიშნა პაატა ცხადაიამ.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცენტრი ფაქტობრივად გაუქმებულია, ყოფილი თანამშრომლები არ წყვეტენ მუშაობას ონომასტიკაში.

სამეცნიერო სესიას ესწრებოდა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა ლაბორატორიის პრობლემების შესწავლა, რათა მომავალში საქართველოს ტოპონიმიკის აღწერა კვლავ გაგრძელდეს.

უნივერსიტეტმა 90 წლის იუბილე აღნიშნა

8 თებერვალს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლისთავთან დაკავშირებით საზეიმო სხდომა გაიმართა. საიუბილეო ღონისძიებას, უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებასთან ერთად, ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გია ნოდია, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ბიზნესმენები, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები.

საზეიმო სხდომა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ გახსნა. მან მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს, თანამშრომლობისა და თანადგომისთვის.

მისასალმებელ სიტყვაში აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი არასოდეს ყოფილა მხოლოდ აკადემიური სასწავლო დაწესებულება. ერმა მას ისტორიულად განსაკუთრებული მისია დააკისრა, რომელსაც დაარსების დღიდან ასრულებდა. ამ ეტაპზე უნივერსიტეტის უპირველესი ამოცანაა, გახდეს როგორც მოწინავე აკადემიური სასწავლებელი, ისე კვლევითი უნივერსიტეტი. მას აქვს ამბიცია – იყოს ერთერთი საუკეთესო უმაღლესი განათლების კერა არა მხოლოდ რეგიონში, არამედ ევროპაში, რისი მიღწევაც შესაძლებელია იმ პოტენციალის გათვალისწინებით, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია.

„უნივერსიტეტი ყველაზე ჯანსაღი სოციალური დაწესებულებაა. სამეცნიერო მიღწევებთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამაყობს იმ გარემოებით, რომ შარშან უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების 85 პროცენტს ჰქონდა სახელმწიფო გრანტი. მათგან უდიდესი ნაწილი 100 პროცენტიანი გრანტის მფლობელია, რაც ნიშნავს, რომ ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ირჩევს“, - განაცხადა გიორგი ხუბუამ.

მისასალმებელ სიტყვაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი დაარსების დღიდან ინტერნაციონალურია. მისმა პირველმა 18-მა პროფესორმა სწავლების დასავლური კულტურა შემოიტანა და ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა წარმატებულ უმაღლეს სასწავლებელთან, რაც ადასტურებს ამ უნივერსიტეტის სწრაფვას – დაიმკვიდროს ადგილი ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 90 წლის იუბილე მიულოცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, რომელმაც უნივერსიტეტის გახსნას ქართული სახელმწიფოებრიობისა და სულიერების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა უწოდა.

„სიმბოლურია, რომ უნივერსიტეტი გაიხსნა მაშინ, როცა საფუძველი ეყრებოდა ქართულ სახელმწიფოებრიობას. დაარსების დღიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე იყო ის ადგილი, სადაც იკრიბებოდა ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საუკეთესო ნაწილი, რომლებმაც ღირსეული თაობები აღზარდეს.

დაახლოებით ორი თვის წინ შევხვდი საუნივერსიტეტო საზოგადოებას. ამ შეხვედრებმა დამანახა, რა პრობლემები დგას უნივერსიტეტში და რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა მას სახელმწიფოს მხრიდან მეტი დახმარება გაეწიოს.

სიმბოლურია ისიც, რომ უნივერსიტეტი დაარსდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. ჩვენი მიზანია — თანამედროვე მოთხოვნების გათვალიწინებით შევძლოთ იმ ოცნების ასრულება, რომელიც დავით მეფის სახელთანაა დაკავშირებული და რომელსაც ერთიანი, ძლიერი, განათლებული საქართველო ჰქვია. იმედი მაქვს, რომ უნივერსიტეტში მალე ჩამოვლენ სტუდენტები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან და თითოეული მათგანი ერთიანი საქართველოს ღირსეული წარმომადგენელი იქნება“, — განაცხადა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ.

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გია ნოდიამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ქართველთა უმრავლესობისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უმაღლეს განათლებასთან და პროფესიონალიზმთან ასოცირდება. „ის განასახიერებს უმაღლესი განათლების სიმბოლოს საქართველოში და როგორც არ უნდა შეიცვალოს განათლების სისტემა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი არასოდეს შეიცვლება, რადგან იგი არის უნივერსალური ეროვნული უნივერსიტეტი ყველა ქართველისთვის. ჩვენ გავიარეთ რთული და მტკივნეული რეფორმების ეტაპი. დღეს უკვე ამ უნივერსიტეტს აქვს ამბიცია — შევიდეს მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების სიაში“, — განაცხადა გია ნოდიამ.

მისასალმებელ სიტყვაში საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეს უკვე შექმნილია სწავლისა და სწავლებისთვის შესაფერი გარემო – საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკები, რესურსცენტრები და აუდიტორიები... ყოველივე ეს სტუდენტს საშუალებას აძლევს — მიიღოს თანამედროვე სტანდარტების უმაღლესი განათლება. მანვე განაცხადა, რომ უზენაეს საბჭოს დაგეგმილი აქვს, გააღრმავოს თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან: „ის ინტელექტუალური პოტენციალი და სამეცნიერო მონაცემები, რაც უნივერსიტეტს აქვს, აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული პრაქტიკულ სამართალთან. ჩვენ ვიწყებთ მჭიდრო ურთიერთობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რისი დადასტურებაც იქნება პირველი ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც, დაახლოებით, ორი თვის შემდეგ გაიმართება. ეს ჩემი მშობლიური უნივერსიტეტია და მიხარია, რომ სტუდენტები, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაამთავრებენ, იქნებიან მართლაც მაღალი დონის, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული სპეციალისტები. სწორედ ისინი ჩაიბარებენ საქართველოს მომავალს“, - აღნიშნა კოტე კუბლაშვილმა.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა გაიხსენა 1978 წლის 14 აპრილი და ქართული ენის გადარჩენისთვის ბრძოლა, რომელიც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დაიწყო.

„დარბაზში ვხედავ ჩემი და ჩემი მეგობრების მასწავლებლებს, რომლებთან ერთადაც ვიბრძოდით ჩვენი ეროვნული იდენტურობის დასამკვიდრებლად. სწორედ სტუდენტისა და ლექტორის ერთიანობა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვაკუთხედი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. ამ ერთიანობამ გააძლებინა საქართველოს 70-წლიან უკუნეთში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა იყო ის ინტელიგენცია, რომელიც კარნახობდა დანარჩენ საქართველოს, როგორ უნდა მომხდარიყო „მამულისა ჩვეულებისაებრ სვლაი“.

დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტელექტუალური პოტენციალი მიმართული უნდა იყოს საქართველოს ნამდვილ სახელმწიფოდ ქცევისაკენ., რაშიც უნივერსიტეტს განსაკუთრებული მისია აკისრია“, — აღნიშნა ნოდარ გრიგალაშვილმა.

საზეიმო სხდომის დასასრულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ განაცხადა, რომ 2008 წელი გამოცხადებულია საუნივერსიტეტო წლად. შემოდგომაზე დაგეგმილია უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღის ფართო მასშტაბით აღნიშვნა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების დელეგაციებიც.

სისხლის სამართლის მიმართულების ბიბლიოთეკის გახსნა ცნობილი ქართველი ადვოკატის შალვა რჩეულიშვილის ხსოვნას მიეძღვნა

8 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90-ე წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში თსუ-ის II კორპუსში კომპიუტერული რესურსცენტრი დაარსდა. ამავე დღეს იურიდიულ ფაკულტეტზე ცნობილი ადვოკატის, შალვა რჩეულიშვილის ხსოვნის პატივსაცემად გაიხსნა სისხლის სამართლის მიმართულების ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე იურიდიული სასწავლო ლიტერატურითა და კომპიუტერული საშუალებებით, რაც „ცენტრპოინტის“ დამსახურებად შეიძლება ჩავთვალოთ.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მისასალმებელ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკის გახსნა უნივერსიტეტსა და მის კურსდამთავრებულებს შორის საქმიანი ურთიერთთანამშრომლობის ნათელი მაგალითია. „ეს არის სპეციალიზირებული ბიბლიოთეკა სისხლის სამართლის მიმართულებით. აქ წარმოდგენილია იურიდიული სასწავლო ლიტერატურა ქართულ და უცხოურ ენებზე, რომლებიც ყველა თანამედროვე სტანდარტს აკმაყოფილებს. მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ვახტანგ რჩეულიშვილს, რომელმაც უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეზე მართლაც შესანიშნავი საჩუქარი მოუმზადა იურიდიულ ფაკულტეტს, მის სტუდენტებს. სამომავლოდ, ფონდ „ქართუს“ ხელშეწყობით, უახლესი სტანდარტების შესაბამისად განახლდება უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსები. დაგეგმილია ისეთი ფუნდამენტალური სამუშაოები, რომელიც არ განხორციელებულა უნივერსიტეტის დაარსებიდან 90 წლის განმავლობაში. ბიბლიოთეკის გახსნა ცნობილი ქართველი ადვოკატის შალვა რჩეულიშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ამ მოვლენით ფაკულტეტის ისტორიაში და იურისტთა თაობებში მუდამ გაიხსენებენ და პატივს მიაგებენ ბატონი შალვა რჩეულიშვილის სახელს“, — განაცხადა რექტორმა.

ბიბლიოთეკის გახსნა მნიშვნელოვან მოვლენად შეაფასა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა. „ეს არის საქმე, რომელიც მუდმივად დარჩება და დაამახსოვრდება იურისტთა თაობებს. როდესაც უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ვოცნებობდი, ასეთი ბიბლიოთეკა გვქონოდა – მდიდარი წიგნადი ფონდით და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი. სასიხარულოა, რომ დღევანდელი სტუდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისეთივე პირობებში სწავლობს, როგორშიც ნებისმიერი უცხოური უნივერსიტეტის სტუდენტი. ასე რომ, ბიბლიოთეკის გარემონტება, რომელიც ამ შემთხვევაში ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილის ხელშეწყობით მოხდა, საშვილიშვილო საქმეა“, — განაცხადა მან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ნიკა გვარამიამ გაიხსენა პერიოდი, როცა ამ ფაკულტეტზე ცოდნის მიღება სტუდენტისა და პროფესორ-მასწავლებლების ენთუზიაზმზე იყო დამოკიდებული. „სრულფასოვანი განათლების მიღება თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სათანადო სასწავლო პირობების გარეშე თითქმის შეუძლებელია. დიდი მადლობა ბატონ ვახტანგ რჩეულიშვილს და „ცენტრპოინტს“, ვისი დახმარებითაც სტუდენტებს ეს ბიბლიოთეკა გადაეცა. მათ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, რადგან განათლებაში ჩადებული ინვესტიცია არის ყველაზე უფრო მყარი და პერსპექტიული“, — აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში.

ბიბლიოთეკის გახსნის ინიციატორმა, ბატონმა ვახტანგ რჩეულიშვილმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ფუნქციონირებას გააგრძელებს შალვა რჩეულიშვილის სახელობის ფონდი, რომელიც წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიებით უზრუნველყოფას და იურიდიული ფაკულტეტის მატერიალურ დახმარებას ისახავს მიზნად.

ილია II აღსაყდრების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ფოტოკონკურსში გამარჯვებული სტუდენტები დააჯილდოვეს

8 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90-ე წლისთავთან დაკავშირებულ საიუბილეო ღონისძიებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II აღსაყდრების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ფოტოკონკურსში — „ქართული კულტურის ძეგლები“ — გამარჯვებული სტუდენტები დააჯილდოვეს.

თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ დიპლომები და ფულადი პრემიები გადასცა მედიცინის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს რომა ლომიძეს (I პრემია და 300 ლარი); ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტს ნიკოლოზ ცქვიტინიძეს (II პრემია და 200 ლარი); ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს გიორგი დავითიანს (II პრემია და 200 ლარი); სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტს თეონა დალაქიშვილს (III პრემია და 100 ლარი); სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტს ლევან ხუციშვილს (III პრემია და 100 ლარი).

გვერდი მოამზადა მაია ტორაძემ

გაცილებით რთულია, ვიყოთ ინტეგრირებული ევროპულ სივრცეში ჩვენი აზროვნების წესისა და კულტურის მიხედვით

„ტემპუსის" პროგრამის მეოთხე ფაზის დაწყებას თსუ-ში სპეციალური კონფერენცია მიეძღვნა

მე-6 გვერდიდან

„ყველამ იცის, რომ ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ჩარჩო განსაზღვრულია ბოლონიის პროცესის პრინციპებით, რომლითაც უნდა მოვხვდეთ ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში. „ტემპუსი" ერთერთი ყველაზე ეფექტური და კარგი ინსტრუმენტია, რომელმაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის საშუალება მისცა. ამ პროგრამის მომდევნო ფაზა შესაძლებლობას იძლევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების გზაზე კიდევ მეტად წინ წავიდეთ", — განაცხადა მინისტრმა.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის გეგმის მიმდინარეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში თამარ ბერუჩაშვილმა და აღნიშნა, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განათლების სფეროს დაფინანსება საქართველოში პოზიტიური შედეგებით მიმდინარეობს.

ევროპული საუნივერსიტეტო სტანდარტების მიახლოებისკენ სწრაფვაში მიღწეული წარმატებები დადებითად შეაფასა თავად ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში, ელჩმა პერ ეკლუნდმა და დაარწმუნა კონფერენციაში მონაწილე აუდიტორია, რომ საგანმანათლებლო რეფორმის ყველა ეტაპზე, საქართველოს უნივერსიტეტებისადმი მხარდაჭერა ქვეყანაში მიმდინარე რეფორმის პოზიტიური შედეგებით არის განპირობებული.

„ტემპუსის" პროგრამების კოორდინატორმა თამარ წულუკიძემ დამსწრე აუდიტორიას ქრონოლოგიურად გააცნო ამ პროგრამის მიმდინარეობის ეტაპები და თითოეული მათგანის მეშვეობით მიღწეული შედეგები. მისი თქმით, უნივერსიტეტსა და საგანმანათლებლო სივრცეში აღნიშნული პროგრამის მიმდინარეობის წარმატებულობა განაპირობა კარგმა თანამშრომლობამ ევროპელ და ქართველ პარტნიორებს შორის, აკადემიური პერსონალის მონდომებამ, ბოლონიის პროცესის მოთხოვნების აქტუალურობამ, ახალმა კანონმა „უმაღლესი განათლების შესახებ".

პროგრამის კოორდინატორის განმარტებით, ბოლო 13 წლის განმავლობაში დაახლოებით 70 სხვადასხვა მოცულობის პროექტი განხორციელდა, რომელთა შორის 25-მდე გრძელვადიანი (2-3 წლიანი) იყო და თითოეულის ბიუჯეტი 300 ათას ევროს შეადგენდა. ამჟამად, „ტემპუსის" ფარგლები უკვე გაფართოებულია და მოიცავს არა მხოლოდ განათლების სამინისტროს, ან რომელიმე უნივერსიტეტს, არამედ ფართო გეოგრაფიულ რეგიონებს, სადაც შედის ბალკანეთის, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები, ცენტრალური აზია, რუსეთი.

მიმდინარე წლიდან „ტემპუსს" საკმაოდ მრავლისმომცველი პერსპექტივები აქვს. აქედან გამომდინარე, საუნივერსიტეტო კონფერენციის ნაწილი სრულად დაეთმო „ტემპუსის" პროგრამის ახალი (მეოთხე) ფაზის — მისი მიზნების, ამოცანების, პრიორიტეტების განხილვას და რჩევებს საპროექტო განაცხადების მოსამზადებლად, რომელიც დამსწრე აუდიტორიის წინაშე ევროკომისიის განათლებისა და კულტურის დირექტორატის განყოფილებიდან ელენე სკიკოსმა წარადგინა. მანვე ისაუბრა ევროკომისიის უმაღლესი განათლების პროგრამის "Erazmus Mundus External Cooperation Windows" და მასში მონაწილეობის შესახებ.

„ტემპუსი" ერთობლივი პროექტების (Joint Projeqts) და სტრუქტურული ღონისძიებების საშუალებით (Structural Measures) ხორციელდება. აღნიშნული ტიპის პროექტები შესაძლებელია იყოს როგორც ეროვნული (საქართველო + ევროკავშირის ქვეყნები), ასევე რეგიონალური (პარტნიორი ქვეყნები სხვადასხვა რეგიონებიდან + ევროკავშირის წევრი ქვეყნები).

საქართველოდან ეროვნული ერთობლივი პროექტების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ წინასწარ დადგენილი პრიორიტეტული სფეროების და სპეციალობების შესაბამისად, რაც მოიცავს: სასწავლო პროგრამების რეფორმირებას (Curriculum reform): - ბიოლოგია — მშენებლობა; კომუნიკაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიები; უნივერსიტეტის მმართველობის რეფორმას — უნივერსიტეტის მართვა და სტუდენტთა მომსახურება, ხარისხის უზრუნველყოფის დანერგვა, ინსტიტუციონალური და ფინანსური ავტონომია და ანგარიშგება, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება;

რეგიონალური ერთობლივი პროექტების წარსადგენად პრიორიტეტული სპეციალობები არ არის დადგენილი, თუმცა პროექტების წარდგენა განსაზღვრულია შემდეგი ზოგადპროგრამული პრიორიტეტული მიმართულების გათვალისწინებით: სასწავლო პროგრამის რეფორმა: სამსაფეხურიანი სისტემის განვითარება, სასწავლო პროგრამების მოდერნიზაცია, ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა და დიპლომების აღიარება; უნივერსიტეტის მმართველობის რეფორმა — უნივერსიტეტის მართვა და სტუდენტთა მომსახურეობა — ხარისხის უზრუნველყოფის დანერგვა, ინსტიტუციური და ფინანსური ავტონომია და ანგარიშგება; საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება, უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალება; უმაღლესი განათლება და საზოგადოება — უნივერსიტეტის გარეთ მომუშავე მასწავლებელთა ტრენინგი; უნივერსიტეტის საწარმოსთან პარტნიორობის განვითარება; ცოდნის სამკუთხედი: განათლება-კვლევები-ინოვაცია, სახელმწიფო სტრუქტურების და სახელმწიფო მოხელეთა ტრენინგები, განათლების განვითარება (უვადოდ), კვალიფიკაციათა ჩარჩო.

სტრუქტურული ღონისძიებების (S M) მიმართულებით ეროვნული პროექტებისთვის დადგენილია შემდეგი პრიორიტეტული სფეროები: სტუდენტთა თვითმმართველობა და უვადო განათლება. რეგიონალური პროექტებისთვის კი შემდეგი ზოგად-პროგრამული პრიორიტეტებია გათვალისწინებული: მმართველობის რეფორმა: უნივერსიტეტის მენეჯმენტი და სტუდენტთა მომსახურეობა, ხარისხის უზრუნველყოფა, ინსტიტუციონალური და ფინანსური ავტონომია და ანგარიშგება, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება, უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა; უმაღლესი განათლება და საზოგადოება — უნივერსიტეტის გარეთ მომუშავე მასწავლებელთა ტრენინგი უნივერსიტეტის საწარმოსთან პარტნიორობის განვითარება, ცოდნის სამკუთხედი: განათლება-კვლევები-ინოვაცია, სახელმწიფო სტრუქტურების და სახელმწიფო მოხელეთა ტრენინგები.

პროექტებში მონაწილეობის საშუალება აკრედიტებულ უნივერსიტეტებთან ერთად ეძლევათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, საწარმოებს, ინსტიტუტებს, განათლების სამინისტროს.

ერთობლივი და სტრუქტურული ღონისძიებების თითოეული პროექტისთვის განსაზღვრულია ბიუჯეტი 500-დან 1500 ევროს ოდენობით. ორივე ტიპის პროექტების წარდგენის ვადაა 2008 წლის 28 აპრილი.

სიახლე

„სტუდენტური მოძრაობა — 1978" დაიწყო...

ხათუნა ხატიაშვილი

ასეთი ხმამაღალი განაცხადით, 5 მარტს, თსუ-ის პირველი კორპუსის ბაღში ახალი სტუდენტური მოძრაობის წევრები გამოვიდნენ და საზოგადოებას თავი არასამთავრობო სტუდენტური კოალიციის შემადგენელ ნაწილად წარუდგინეს, რომლის მომავალი გეგმების განხორციელებაც რამდენიმე დღეში ენგურის ხიდიდან დაიწყება და ნაბიჯ-ნაბიჯ მასშტაბურ ხასიათს შეიძენს.

არასამთავრობო სტუდენტური კოალიციისა და „სტუდენტური მოძრაობა — 1978"-ის ლიდერის, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტის ლევან ჩიტაძის განცხადებით, თსუ-ის ბაღი ის ადგილია, საიდანაც პირველად ხდებოდა ქართული საზოგადოებისთვის მოსალოდნელი საფრთხეების გაჟღერება და თანამედროვე ახალგაზრდობის სურვილიც სწორედ ამ ტრადიციის გაგრძელებაა.

„1978 წლის 14 აპრილს ამ ბაღიდან დაიწყო მოძრაობა ქართული ენის გადასარჩენად, სადაც გაბედული, ბეჯითი და მოაზროვნე სტუდენტები ჩაერთვნენ და ქართველი ერი დაღუპვისგან იხსნეს. დღეს, ქართული ენის სახელმწიფოებრიობას, მართალია, კონსტიტუცია იცავს, მაგრამ საფრთხეები სულ სხვა ხერხით და ფორმებით გვიახლოვდება", — ნათქვამია მიმართვაში, რომელიც ახალი სტუდენტური მოძრაობის 20-მდე ლიდერმა საპრეზენტაციო ბრიფინგზე წარმოადგინა.

ლევან ჩიტაძის განცხადებით, სტუდენტური მოძრაობის საქმიანობა ქართული ენის დაცვასთან ერთად დაკავშირებული იქნება საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან. სტუდენტური მოძრაობის ლიდერების თქმით, მრავალრიცხოვანი მხარდამჭერების მიუხედავად, ჯერ ადრეა სამომავლო გეგმების გაჟღერება, მაგრამ პირველი, რასაც ისინი გააკეთებენ — ეს ენგურის ხიდზე აფხაზების მიერ ტელეკომპანია „მზის" გატაცებული ჟურნალისტის გათავისუფლების მოთხოვნა იქნება. სტუდენტური მოძრაობის ლიდერებმა თსუ-ისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს მოუწოდეს, შეუერთდნენ საპროტესტო მსვლელობას, რომელიც აფხაზეთის მიმართულებით რამდენიმე დღეში დაიწყება. „აფხაზურ მხარეს ჩვენს შეხედულებებს წერილობით და დემონსტრაციულად სწორედ ენგურის ხიდიდან გადავცემთ", — აღნიშნა ლევან ჩიტაძემ.

პრიორიტეტული მოთხოვნების შემდეგი ადრესატი კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა, რომელსაც სტუდენტური კოალიცია ოფიციალურად ერთ კვირაში მიმართავს და სახელმწიფო ენის დასაცავად სპეციალურ დაფინანსებას მოსთხოვს, რათა ქართული ენის მოამაგე პროფესორებმა თანამედროვე ენაში დამკვიდრებული ბარბარიზმების წინააღმდეგ საკუთარი ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება შეძლონ.

არასამთავრობო სტუდენტური კოალიციის საქმიანობის სამომავლო გეგმების გახმაურების შემდეგ სტუდენტებმა პირობის შესასრულებლად ორი კვირის ვადა ითხოვეს და აღნიშნეს, რომ მასში ჩართვის მსურველებისთვის ასაკობრივი ბარიერი არ არსებობს. „სტუდენტური მოძრაობა — 1978"-ის გარდა, არასამთავრობო კოალიციაში გაერთიანებულია სამი ორგანიზაცია: „სამართლიანი მომავალი", „ერთიანობისათვის" და „ქართული სახელმწიფოსათვის".

გუდაურში კომპანია „რედ ბულის" ინიციატივით ახალგაზრდებს შორის ციგებით შეჯიბრება გაიმართა

16 თებერვალს გუდაურში კომპანია „რედ ბულის" ინიციატივით ახალგაზრდებს შორის ციგებით შეჯიბრება (კინგ ოფ ბობ) გაიმართა. ამგვარი შეჯიბრება პირველად ავსტრიაში მოეწყო. მას შემდეგ მსგავსი ტიპის ტურნირები სისტემატურად ეწყობა იტალიაში, ბელორუსში და სხვა ქვეყნებში.

საქართველოში ბობებით შეჯიბრება პირველად გაიმართა. ციგები კომპანია „რედ ბულმა" ამ ტურნირისთვის სპეციალურად შეუკვეთა და ავსტრიიდან ჩამოიტანა. როგორც კომპანიის წარმომადგენელმა და ტურნირის ორგანიზატორმა ბექა გოლეთიანმა განაცხადა, შეჯიბრების მიზანია ახალგაზრდობაში ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, რასაც კომპანია „რედ ბული" ანალოგიური ღონისძიებებით უწყობს ხელს.

შეჯიბრისთვის მზადება ერთი თვის წინ დაიწყო. მონაწილეებმა რეგისტრაცია წინასწარ გაიარეს. თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლიდან 64 სტუდენტი შეირჩა.

ტურნირი ოლიმპიური სისტემით გაიმართა. ფინალში გასული ოთხეულიდან I ადგილზე გასული თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის VI კურსის სტუდენტი გიორგი ხვადაგიანი დიპლომით, 300 დოლარიანი სასაჩუქრე ბარათით და ორი ყუთი „რედ ბულით" დაჯილდოვდა. II ადგილზე გასულ ამავე უნივერსიტეტის სტუდენტს ოლეგ კალანტირს, დიპლომთან ერთად, ორი ყუთი „რედ ბული", ხოლო III ადგილზე გასულ თსუ-ის სტუდენტ მიხეილ ელიზბარაშვილს ერთი ყუთი „რედ ბული" გადაეცა.

კომპანია „რედ ბული" ახალგაზრდების აქტიურ ცხოვრებაში ჩაბმის მიზნით ანალოგიური ღონისძიებების მოწყობას კვლავაც გეგმავს.

გიორგი მრევლიშვილს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ბიოფიზიკის განვითარებაში

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი, ბიოფიზიკოსი **გიორგი მრევლიშვილი** საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც არაერთი მონოგრაფიის, სამეცნიერო ნაშრომის და სახელმძღვანელოს ავტორი, რისთვისაც მან საერთაშორისო პრემიები დაიმსახურა.*

შურთხია ბეროშვილი

მან, ჯერ კიდევ, სტუდენტობის პერიოდში დაიწყო მოღვაწეობა მსოფლიოში ცნობილი ბიოფიზიკოსის ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორის პეტრე პრივალოვის ლაბორატორიაში. მათ მიერ აღმოჩენილი მეთოდი ცნობილია, როგორც პრივალოვ-მრევლიშვილის მეთოდი. გიორგი მრევლიშვილს უდიდესი დამსახურება მიუძღვის საქართველოში ბიოფიზიკის განვითარებასა და უცხოელ და ქართველ ბიოფიზიკოსებს შორის სამეცნიერო ურთიერთობის გაღრმავებაში.

ქართველი მეცნიერი პეტრე პრივალოვთან ერთად აწარმოებდა ბიოლოგიური ობიექტების დაბალ-ტემპერატურულ კვლევებს, რამაც ისინი მიიყვანა ბიოლოგიურ ობიექტებში წყლის ფიზიკური მდგომარეობის დადგენის ახალ მეთოდამდე, რომელიც მსოფლიოში ცნობილია, როგორც ჰიდრატაციის კვლევის კალორიმეტრული მეთოდი (პრივალოვ-მრევლიშვილისა) და შესულია თითქმის ყველა ცნობილ მიმოხილვით შრომაში და მონოგრაფიაში ბიოპოლიმერების ფიზიკა-ქიმიაში.

1967 წლიდან გიორგი მრევლიშვილი ბიოპოლიმერების ფიზიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, სადაც თანამშრომლებთან ერთად შექმნა უნიკალური ხელსაწყო ბიოლოგიური მაკრომოლეკულების ზედაბალ ტემპერატურებზე შესასწავლად, რომლის მეშვეობითაც პირველად განხორციელდა სხვადასხვა ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ბიოპოლიმერების სითბოტევადობის ზუსტი გაზომვები.

მისი მონოგრაფია — „ბიოლოგიური მაკრომოლეკულების დაბალტემპერატურული კალომეტრია“ მსოფლიოში პირველი ცდა იყო ბიოპოლიმერების ყოფაქცევის აღწერისა დაბალ და ზედაბალ ტემპერატურაზე აბსოლუტური ნულის მახლობლობაში. ნაშრომი რამდენიმე თავის დამატებით და ახალი მონაცემებით იაპონურ ენაზე ითარგმნა, რაც უპრეცედენტო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ეს ერთადერთი შემთხვევაა ქართველი ფიზიკოს-მეცნიერის მონოგრაფიის თარგმნისა. წიგნი ოკაიდოს უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაიბეჭდა. ავტორი სპეციალური მიწვევით ჩავიდა იაპონიაში ნაციონალურ კონფერენციაზე და წიგნის პრეზენტაციაზე.

ამ წიგნისთვის გიორგი მრევლიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო — პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურა. იგი ექვსი წლის მანძილზე იყო ჯორჯ სოროსის პროფესორის საპატიო სახელის მფლობელი.

გიორგი მრევლიშვილი წლების განმავლობაში იყო ფიზიკის ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრის გამგე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს და პროფესორთა საბჭოს წევრი, ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, სადოქტორო დისერტაციების სამეცნიერო ხარისხის მიმნიშნებელი სპეციალიზებური საბჭოს თავჯდომარე, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-დამფუძნებელი, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-დამფუძნებელი და საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

გიორგი მრევლიშვილი ავტორია „ბიოპოლიმერების ფიზიკის“ სახელმძღვანელოსი, რომელიც ქართულ ენაზე პირველად გამოიცა და ფიზიკის ფაკულტეტის ბიოფიზიკის სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი.

ბოლო წლებში უნივერსიტეტში პროფესორმა გიორგი მრევლიშვილმა თანამშრომლებთან ერთად შექმნა მრავალი საინტერესო ნაშრომი, რომელთა მნიშვნელობა და აქტუალობა დღესაც უდავოა ბიოფიზიკოს-მეცნიერთა ფართო წრეში.

იგი პორტუგალიის სახელმწიფოს მიერ სპეციალურად გამოყოფილი გრანტის საფუძველზე, პორტოს უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე პორტუგალიაში ბიოლოგიური კალომეტრიის განვითარებისთვის სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა.

გიორგი მრევლიშვილს სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია კავშირი ახალგაზრდებთან. როგორც მისი ყოფილი სტუდენტები და კოლეგები იხსენებენ, მათთვის პედაგოგის დარიგებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ყოფილი სტუდენტის და კოლეგის თეა ტარიელაშვილის აზრით, გიორგი მრევლიშვილთან ურთიერთობა უდიდესი ბედნიერება იყო მის გარეშემყოფთათვის — სტუდენტი იქნებოდა ეს, კოლეგა თუ ოჯახის წევრი.



პირდაპირი და სამართლიანი, უსამართლობასთან მებრძოლი და დიდი იუმორის მქონე პიროვნება — ასეთი დაამახსოვრდა იგი ყველას.

„ბატონმა გიორგიმ დიდი გავლენა მოახდინა ჩემი მომავალი პროფესიის არჩევაზე. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მე ბიოფიზიკოსი გავხდი. მისი ხელმძღვანელობით ვიყავი წასული გერმანიაში და დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. იგი ბოლო პერიოდში მუშაობდა სახელმძღვანელოს განახლებულ ვარიანტზე, რომელიც სამწუხაროდ, ვეღარ დაასრულა“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში თეა ტარიელაშვილმა.

ფაკულტეტზე საკმაოდ თავისუფალი და დემოკრატიული ატმოსფერო სუფევდა

*ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლაზარე ზამბახიძე** უდიდესი ტრადიციების მქონე ქართული მათემატიკური სკოლის ღირსეული წარმომადგენელი იყო. როგორც მისი კოლეგები და ყოფილი სტუდენტები აღნიშნავენ, მის პიროვნებაში თანაბრად იყო შერწყმული მაღალი პროფესიონალიზმი და პიროვნული ღირსებები.*

პროფესორის ცხოვრებაზე გვესაუბრება ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ივანე წერეთელი:

— ლაზარე ზამბახიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ წარმატებით გაიარა ასპირანტურის კურსი თსუ-ის ალგებრა–გეომეტრიის კათედრაზე, ქართული ტოპოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის ხელმძღვანელობით.

1969 წლიდან იგი იყო თსუ-ის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის ასისტენტი. ამავე პერიოდში ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ფიზიკა-მათემატიკის და ქიმიის მეცნიერებათა რედაქციის უფროსი სამეცნიერო რედაქტორი. 1985 წლიდან გახლდათ ალგებრა-გეომეტრიის კათედრის პროფესორი, ხოლო 1998 წლიდან 2006 წლამდე ალგებრა გეომეტრიის კათედრის გამგე.

1978 წელს იგი აირჩიეს თსუ-ის მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობდა 2006 წლამდე.

ლაზარე ზამბახიძის სამეცნიერო ინტერესთა სფერო ძირითადად მოიცავდა თანამედროვე გეომეტრიის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგს, როგორიცაა ტოპოლოგია. ამ მიმართულებით მას ეკუთვნის ორმოცდაათამდე ფუნდამენტური სამეცნიერო გამოკვლევა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ლაზარე ზამბახიძის პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი წლების მანძილზე კითხულობდა ძირითად კურსებს ანალიზურ გეომეტრიაში, წრფივ ალგებრასა და გეომეტრიაში, აგრეთვე მიჰყავდა არაერთი სპეციალური კურსი და ხელმძღვანელობდა სამეცნიერო სემინარს ტოპოლოგიაში.

2004 წელს მიწვევით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ ოჰაიოს უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტში.

ბატონი ლაზო, როგორც მას ახლობლები და სტუდენტები ეძახდნენ, იყო შესანიშნავი პედაგოგი და სტუდენტების მეგობარი. მომთხოვნი იყო პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ, ვერ ეგუებოდა უსამართლობას და არაპროფესიონალიზმს.

გია ბარელიძე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელი:

— ბატონი ლაზარე მაშინ გავიცანი, როდესაც მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. უნივერსიტეტში გატარებული წლები სრულიად ახალი ეტაპი იყო ჩემს ცხოვრებაში. პედაგოგებს და სტუდენტებს შორის საოცრად საქმიანი და თბილი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ბატონ ლაზარესაც მიუძღვის.

მასთან ურთიერთობა მართლაც დაუვიწყარია არამარტო ჩემთვის, არამედ მისი ყველა სტუდენტისთვის და კოლეგისთვის. სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი, რომელიც პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებდა ჩვენს ჯგუფში, მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა. ახალბედა მათემატიკოსებს გვქონდა იმის ამბიცია, რომ ამ საგანში კარგად ვერკვეოდით, მაგრამ მასთან ურთიერთობამ მალე დაგვანახა, რომ ჯერ კიდევ ბევრი გვქონდა სასწავლი.

როდესაც ფაკულტეტის დეკანად დაინიშნა, მისი პასუხისმგებლობა ერთიორად გაიზარდა. ძალიან მოწესრიგებული ადამიანი იყო ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში — სხვისგანაც იგივეს ითხოვდა, ადვილად გენდობოდა და ეს მეტ პასუხისმგებლობას განიჭებდა.

ბატონი ლაზო დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც სტუდენტებში, ასევე თავის უფროს კოლეგებში და თანამშრომლებში. მკაცრი იყო, მაგრამ ამასთან, ძალიან ყურადღებიანი და, რაც მთავარია, კეთილგანწყობილი. ბატონი ლაზოს დამსახურება იყო ისიც, რომ ფაკულტეტზე საკმაოდ თავისუფალი და დემოკრატიული ატმოსფერო სუფევდა. სტუდენტს ცოდნის მისაღებად ყველანაირი პირობა ჰქონდა შექმნილი.

ლაზარე ზამბახიძე დიდი მეცნიერი და შესანიშნავი პიროვნება იყო. მას კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო თავისი ქვეყნისთვის.

შურთხია ბეროშვილი

მაღლივ კორპუსში წმიდა გიორგის სახელობის სამლოცველო ამოქმედდა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, თსუ-ის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციის ინიციატივით, ქველმოქმედი ადამიანებისა და ორგანიზაციების დახმარებით 2 თებერვალს თსუ-ის მაღლივი კორპუსის I სართულზე გაიხსნა წმიდა გიორგის სახელობის სამლოცველო, რომლის მოძღვარი გახლავთ თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის დეკანი, დეკანოზი მიქაელ გალდავა.

სამლოცველოს კურთხევას და წმიდა გიორგის სახელობის პარაკლისს დაესწრნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, მისი მოადგილეები, კათედრათა გამგეები, პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ასევე სხვა ფაკულტეტების ხელმძღვანელები, მედიის წარმომადგენლები.

სამლოცველოს დაფუძნებაში დიდი წვლილი მიუძღვით თსუ რექტორს გიორგი ხუბუას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გულნაზ გალდავას, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს ჯამლეტ ჯანჯღავას, ამავე ფაკულტეტის პროფესორებს გიორგი შიხაშვილსა და აბესალომ გაბრიჭიძეს.

„უნივერსიტეტში წმიდა გიორგის სახელობის სამლოცველოს გახსნამ კიდევ ერთხელ ცხადყო საეკლესიო და საუნივერსიტეტო ხედვის მთლიანობა. უნივერსიტეტი ყოველთვის იწოდებოდა ცოდნის ტაძრად და ამგვარი სახელდების მიზეზი იყო მისი, არა მხოლოს წმინდა მეცნიერული პროფილი, არამედ, ერთგულება იმ სულიერი ღირებულებებისა, რასაც საუკუნეების განმავლობაში ამკვიდრებდა ქრისტიანული კულტურა“, — ამბობს მამა მიქაელი.

მოსაზრებები გამოთქვეს ბატონებმა გიორგი ხუბუამ და ჯამლეტ ჯანჯღავამ, რომელთაც აღნიშნეს, რომ ახლო მომავალში მიზანშეწონილი იქნება მაღლივ კორპუსთან ეკლესიის აშენება.

დღეისთვის საქართველოს ეკლესიებში სულიერ ღვაწლს აღასრულებენ უნივერსიტეტის ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების კურსდამთავრებულები: ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი პეტრე ცაავა, მღვდელმსახურები: ტარიელ სიკინჭალაშვილი, გიორგი პაპიაშვილი, გიორგი სამსონიძე, გიორგი ჭილაშვილი და სხვები.

სამლოცველო მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. სამშაბათობით დეკანოზი მიქაელ გალდავა აღავლენს წმიდა გიორგის სახელობის პარაკლისს.

საკუთარი უფლებების არცოდნა ქალებს სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის

პოლიტიკური მოღვაწეობის არეალი, მართალია, ნებისმიერ მოქალაქეს თანაბრად ეკუთვნის, თუმცა მისი მონოპოლიური მფლობელები მაინც მამაკაცები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ქალები ამომრჩეველთა ნახევარს შეადგენენ, მსოფლიო მაჩვენებლებით ისინი პარლამენტის 10%-ს და ნაციონალური მთავრობის 6%-ს შეადგენენ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საზოგადოებრივი ცვლილებები პოლიტიკური პროცესების საშუალებით ხორციელდება, ქალების პოლიტიკური შესაძლებლობების სიმცირე სერიოზულად უნდა გვაფიქრებდეს.

სახალხო მმართველობის იდეა პირველად ძველ ათენში ჩაისახა და იგი აბსოლუტურად არ ითვალისწინებდა ქალების მონაწილეობას – ქალებს მაშინ მოქალაქეებადაც არ თვლიდნენ. რელიგიის განვითარება, დიდი კულტურული რენესანსი, რევოლუციები თუ ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლა მხოლოდ მამაკაცებზე გახლდათ ორიენტირებული. ხოლო დემოკრატიული მოწოდებები: „თავისუფლება! თანასწორობა! მეგობრობა!“ — ქალებს არ გულისხმობდა.

XIX საუკუნის ბოლოს პირველად წარმოიშვა ქალებისთვის ხმის უფლების მინიჭების იდეა. ახალი ზელანდია და ავსტრალია პირველი ქვეყნები იყო, რომლებმაც ქალის მოქალაქეობრივი სტატუსი აღიარეს, 1893 წლიდან კი ქალებს ხმის უფლებაც მიანიჭეს.

განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ქალთა უფლებები ძალზე გვიან სცნეს. ფინეთსა და ნორვეგიაში ქალებმა ხმის უფლება 1906 – 1907 წლებში მოიპოვეს, დანიაში - 1915 წელს, გერმანიაში, შვედეთსა და დიდ ბრიტანეთში - 1918 წელს, აშშ-ში კი 1920 წელს. საფრანგეთში ქალები ამ მომენტს 1944, იტალიაში 1945, ხოლო შვეიცარიაში 1971 წლამდე ელოდნენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებში ხმის უფლება პირველად მხოლოდ იმ ქალებმა მიიღეს, რომლებიც გარკვეულ კრიტერიუმებს ექვემდებარებოდნენ, კერძოდ კი იყვნენ მიწათმფლობელები, აკმაყოფილებდნენ ეთნიკურ მოთხოვნებს და ა. შ.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ქალებმა ხმის უფლება სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასთან ერთად მოიპოვეს, ვინაიდან ისინი თავისუფლებისთვის ბრძოლის აქტიური მონაწილენი იყვნენ. 1998 წელს ქალებმა ხმის უფლება მთელ მსოფლიოში მოიპოვეს, გარდა ახლო აღმოსავლეთის ხუთი ქვეყნისა. ეს ქვეყნები გახლდათ: ბაჰრეინი, კუვეიტი, ომანი, კატარი და საუდის არაბეთი.

მთავრობაში ქალების რაოდენობით პირველი ადგილი დიდი ხნის მანძილზე ფინეთს ეჭირა (39%), მეორე — ნორვეგიას (35%), მესამე — შვედეთს (34%), მეოთხე — ნიდერლანდებს და სეიშელის კუნძულებს (31%). მოგვიანებით პირველობა შვედეთმა მოიპოვა - იქ მსოფლიოში პირველად ჩამოყალიბდა მინისტრთა კაბინეტი, რომელშიც ქალები და მამაკაცები თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი.

1985 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიზნად დაისახა გაეროს თანამშრომლებში ქალთა რიცხვი 30%-მდე გაეზარდა. მიზანს 1991 წელს მიაღწიეს. 1998 წლის დეკემბერში კი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვეტილება მიიღო, 2000 წლამდე გაეროს სისტემაში მიეღწიათ გენდერული თანაფარდობისათვის - 50/

50. თუმცა, სტატისტიკა აჩვენებს, რომ ამ მიზნის მიღწევა სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს და იგი ჯერაც გადაუჭრელია.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, სახელმწიფოთა უმრავლესობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში ქალები მაინც აუტსაიდერებად რჩებიან. ამის მიზეზი მხოლოდ ის როდია, რომ ქალები ოჯახში ყოფითი საქმეებით უფრო მეტად არიან დაკავებულნი, ვიდრე კაცები, ან არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები — აწარმოონ პოლიტიკური თუ საარჩევნო კამპანიები, განიცდიან სოციალურ დისკრიმინაციას. ლიდერობის გზაზე ქალებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ადამიანთა უმრავლესობა ქალის დაბალ პოლიტიკურ სტატუსს სოციალურ უსამართლობად არ აღიარებს.

ხშირად ქალებს არ აინტერესებთ და აფრთხობთ კიდეც პოლიტიკა, ვინაიდან ცნება „პოლიტიკა“ მათთვის ისეთ ნეგატიურ მოვლენებთან ასოცირდება, როგორიცაა: „ინტრიგა“, „სიბინძურე“, „იარაღი“ და სხვა.

უმეტეს ქვეყნებში ქალების ლიდერობის პრობლემა, ქალთა და მამაკაცთა პარტნიორობის თემა პოლიტიკაში კვლავ გადაუწყვეტელი რჩება, რაც ხელს უშლის ქალებს — ეფექტურად ისარგებლონ ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარტებით განმტკიცებული უფლებებით. ამიტომ ამ უფლებების შესახებ საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელება ქალების მდგომარეობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ხდება.

ნორვეგიის გამოცდილება პოლიტიკაში ქალების აქტიურად ჩართვის კუთხით

60-იანი წლების ბოლოს ქალები ნორვეგიის პარლამენტის 9%-ს და ადგილობრივი მმართველობის 15%-ს შეადგენდნენ. საზოგადოებაში მწიფდებოდა აზრი, რომ პოლიტიკაში მოღვაწე ქალთა რიცხვი უნდა გაზრდილიყო. ამგვარი მოთხოვნის წარმოშობის მიზეზი ის გახლდათ, რომ ტრადიციულად, ნორვეგიულ კულტურაში სოციალური სამართლის პრინციპები კარგად იყო დამუშავებული - ანუ სახელმწიფო ხელს უწყობდა ნებისმიერი საზოგადოებრივი ჯგუფის, მათ შორის, ქალების მოთხოვნების გაფართოებას (ქალთა მოძრაობის გაძლიერება ლეგიტიმურად აღიქმებოდა სახელმწიფოს მიერ).

გარდა ამისა, ნორვეგიული საზოგადოება ისტორიულად ფორმირებული გახლდათ: ნორვეგიაში სოფლებშიც კი არსებობდა ე.წ. „ქალთა სათემო“ ორგანიზაციები, რომლებიც საგანმანათლებლო თუ სხვა სახის სოციალურ პრობლემებს აგვარებდნენ. ეს „ქალთა თემები“ იმისთვის კი არ შეიქმნა, რომ ქალები პოლიტიკაში მოსულიყვნენ, არამედ ნორვეგიელ ქალბატონებს არსებული გამოცდილება შემდგომში გამოეყენებინათ.

ნორვეგიაში ტიპიური პოლიტიკური კარიერის აგება სამი დონის გავლით ხდებოდა: ადგილობრივი, საოლქო და ცენტრალური. „დრამატული პოლიტიკური კარიერის“ შექმნა იქ ფაქტობრივად შეუძლებელი გახლდათ — ხელისუფლების ძირფესვიანი განახლება პრაქტიკულად არ ხდებოდა.

პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ორივე სახის კარიერას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები: „საფეხურებრივი კარიერა“ — ხელს უშლის ახალი პოლიტიკური ჯგუფის გამოჩენას, „დრამატული პოლიტიკური კარიერის“ შემთხვევაში კი არასაკმარის პროფესიონალიზმთან გვაქვს ხოლმე საქმე.

კარიერის საფეხურებგავლილი ნორვეგიელი ქალები თავიანთ ლეგიტიმურობას ამტკიცებდნენ და მათი პოლიტიკაში მოსვლა უცხოობის განცდას აღარ იწვევდა.

1967 წელს შეიქმნა „ქალთა ეროვნული საბჭო“, რომელშიც ერთ კონკრეტულ სფეროში ან პოლიტიკურ პარტიაში გაერთიანებული ქალები კი არ განევრიანდნენ, არამედ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, საზოგადო მოღვაწეები და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებიც იყვნენ. პოლიტიკური ნიშნით განსხვავებულმა ქალებმა კავშირები დაამყარეს და ერთი კონკრეტული მიზანი დაისახეს: „ქალი პოლიტიკაში უფრო ხილული და უფლებამოსილი გამხდარიყო!“

ეროვნული საბჭოს ინტერპარტიულ შეხვედრებზე ისინი კი არ კამათობდნენ იმ საკითხებზე, რომლებშიც მათი პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვეოდა, არამედ კონსესუსამდე მიდიოდნენ. გარდა ამისა, პოლიტიკოს ქალებს ჰქონდათ კავშირები მედიასთან, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებთან – ყველასთან, ვინც „გენდერულად მგრძნობიარე“ იყო. თავის მხრივ, მასმედია წარმოაჩენდა ამ ქალებს და მათ სახეებს ცნობადს ხდიდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ შიდაპარტიული დემოკრატიის დონის ამაღლება, რამაც პოლიტიკაში ქალების წინსვლას შეუწყო ხელი. როდესაც მხოლოდ პარტიის ლიდერია წარმოჩენილი, წევრები კი ნაკლებად ცნობადია, შიდაპარტიული დემოკრატია დაბალ დონეზეა. ქვეყანაში კი, სადაც პარტიის წევრობის ინსტიტუტი სათანადოდ არ არის განვითარებული, პრობლემების გადალახვა მხოლოდ ქალებს კი არა, მამაკაცებსაც უხდებათ.

ნორვეგიელმა ქალებმა პარლამენტის მუშაობაში დროის საკითხიც დააყენეს. მოითხოვეს - პარლამენტში მუშაობის საათები ჩვეულებრივი სამუშაო დღის ანალოგიური ყოფილიყო. გადაწყვეტილებების მიღება გვიან საღამოს არ მომხდარიყო, ვინაიდან მუშაობის ამგვარი ფორმა მიუღებელი გახლდათ ქალებისთვის – მათ არ შეეძლოთ დიდი ხნით მოშორებოდნენ საკუთარ ოჯახს.

პარტიული კულტურის შეცვლამ განაპირობა მეტი ქალის მოსვლა პოლიტიკაში. ქალებს აღარ უწევდათ ოჯახსა და პოლიტიკურ კარიერას შორის არჩევანის გაკეთება. იგივე შეიძლება ითქვას მამაკაცებზეც – განა კაცი არ არის მოწყვეტილი ოჯახს, როდესაც იგი პოლიტიკაში მოღვაწეობს? განა მისი შვილებთან არყოფნა ისევე არ აისახება ოჯახზე, როგორც ქალის მოუცლელობა?

გვერდი მოამზადა **მაკა ლდოკონენმა**

ციფრები და ფაქტები

გაერო და ქალები

გაერო თავისი არსებობის მანძილზე ყოველთვის ხელს უწყობდა ქალის სტატუსის ზრდას გლობალურ თუ ნაციონალურ დონეზე:

◆ 1947 წელს შეიქმნა გაეროს ქალთა კომისია, როგორც გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დამხმარე ორგანო;

◆ 1972 წელი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ქალთა საერთაშორისო წლად გამოაცხადა;

◆ 1975 წელს მეხიკოში გაიმართა გაეროს მსოფლიო კონფერენცია, რომელიც ქალთა საერთაშორისო წელს მიეძღვნა. 133 ქვეყნიდან ჩამოსულმა დელეგატებმა მიიღეს „მოქმედების მსოფლიო გეგმა“ – პირველი საერთაშორისო პაქტი, რომელშიც საუბარი იყო იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთებულიყო ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

◆ 1976 წლიდან 1985 წლამდე პერიოდი გაერომ ქალთა ათწლეულად გამოაცხადა;

◆ 1976 წელს ქალების უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის განმტკიცების მიზნით დაარსდა გაეროს განვითარების ქალთა ფონდი (UNIFEM). იგი ქალებისთვის ცდილობს ეროვნული, რეგიონული თუ გლობალური საკითხების მოგვარებას, მხარს უჭერს ისეთი პროექტების განვითარებას, რომლებიც ქალებისთვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებების მინიჭებას უზრუნველყოფს;

◆ 1976 წელს გაეროს პირველი მსოფლიო კონფერენციის რეკომენდაციით და გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით შეიქმნა გაეროს საერთაშორისო კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტი (INSTRAW). ამ დაწესებულების მანდატი მამაკაცებსა და ქალებს ერთნაირ უფლება-ვალდებულებებს აკსრებს. INSTRAW -ის ფუნქციას წარმოადგენს ქალთა როლის განვითარების სფეროში კვლევის და ტრენინგ-პროგრამების წარმოება საერთაშორისო დონეზე. ინსტიტუტს 11 წევრისგან შემდგარი სამეურვეო ორგანო მართავს და მისი ბიუჯეტი ნებაყოფლობითი შემოწირულობით ფინანსდება;

◆ 1979 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოსაფხვრელად. კონვენცია გაეროს წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს აღიარონ ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სამოქალაქო სფეროებში. ხელი შეუწყონ ამ უფლებების გაძლიერებას და უზრუნველყონ მათი დაცვა;

◆ 1980 წელს კოპენჰაგენში ქალთა მეორე მსოფლიო კონფერენცია შედგა. მასში მონაწილეობას იღებდა 1300 დელეგატი 145 ქვეყნიდან;

◆ 2001 წელს გაეროს განვითარების ქალთა ფონდი (UNIFEM) საქართველოში შეუდგა საქმიანობას. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს იმ ინიციატივების შემუშავებას, რომლებიც კონფლიქტის პრევენციის, მშვიდობის მშენებლობისა და ამ პროცესში ქალის როლის შემეცნების შესაძლებლობას გაზრდის.

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია

მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე

კომპიუტ. უზრუნველყოფა თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
ნოდარ ბელქანია, გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭიღლაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ.1

22 10 34